

ბაჩანა ჯიშკარიანი (რედ.)
Bachana Jishkariani (Hrsg.)

მარტინ პაულ ვაჰმერი (რედ.)
Martin Paul Waßmer (Hrsg.)

გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი
DEUTSCH-GEORGISCHER RECHTSDIALOG

სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები
STRAFRECHT UND MENSCHENRECHTE

კონფერენციის მასალები
TAGUNGSBAND
2024



თბილისი
TBILISI
2025

კრებული მომზადებულია ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის ფარგლებში, 2024 წლის 11-12 ოქტომბერს გამართული კონფერენციის მასალების საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებებს ეხებოდა. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს უნივერსიტეტის ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტისა (ხელმძღვ. პროფ. ბაჩანა ჯიშკარიანი) და ვიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის (პროფ. მარტინ პაულ ვასმერი) მიერ. პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ნუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით.

Dieser Band wurde aufgrund der Materialien vorbereitet, die im Rahmen der am 11-12. Oktober 2024 durchgeführten Tagung über Strafrecht und Menschenrechte bearbeitet wurden. Die Tagung fand in Zusammenarbeit zwischen dem Institut für georgisches, deutsches und internationales Strafrecht (Leiter: Prof. Dr. Bachana Jishkariani) der University of Georgia und dem Institut für Strafrecht und Strafprozessrecht der Universität zu Köln (Prof. Dr. Dr. h. c. Martin Paul Waßmer) statt.

Das Projekt des deutsch-georgischen Rechtsdialogs wurde mit finanzieller Unterstützung der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, Büro Südkaukasus, verwirklicht.

დამკაბადონებელი: თამარ ქიტუაშვილი
მთარგმნელები: ლაშა კალანდაძე, ეთუნა ჩაჩანიძე
Übersetzt von: Lasha Kalandadze, Etuna Chachanidze

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რედაქტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, 2025



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9947-1-5

კრეზულის ავტორები

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München), კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ქართული გერმანული და საერთაშორისო სისხლი სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი

მარტინ პაულ ვასმერი, კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, საპატიო დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა – გერმანული, ევროპული, საერთაშორისო, ეკონომიკური, საგადასახადო და მედიცინის სისხლის სამართალი, კიოლნის უნივერსიტეტი

ბესიკ ქვარცხავა, საქართველოს პროკურატურა, მონვეული ლექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევა კილი, სამართლის დოქტორი, ჰამბურგის პროკურატურა, მონვეული ლექტორი, კიოლნის უნივერსიტეტი

ირაკლი დვალიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლასლო ბაკი, LL.M. (München), უნგრეთის კონკურენციის სააგენტო

ტილ ციმერმანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტი

ფრანკ ციმერმანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, გერმანული და ევროპული სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და დიგიტალიზაციის სისხლის სამართლის კათედრა, ფრაიბურგის უნივერსიტეტი

ჰანეს კლოპმაიერი, ესენ-შტეველეს პირველი ინსტანციის სასამართლო მოსამართლე

AUTORENVERZEICHNIS

Prof. Dr. **Bachana Jishkariani**, LL.M. (München), Herausgeber, Leiter des Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht, University of Georgia

Prof. Dr. Dr. h.c. **Martin Paul Waßmer**, Herausgeber, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht - deutsches, europäisches und internationales Wirtschafts-, Steuer- und Medizinstrafrecht, Universität zu Köln

PD **Besik Kvartskhava**, Staatsanwaltschaft Georgiens, Staatliche Ilia Universität

PD Dr. **Eva Kiel**, Staatsanwältin, Hamburg, Universität Köln

Prof. Dr. **Irakli Dvalidze**, Staatliche Ivane Javakhishvili Universität Tbilissi

László Bak, LL.M. (München), Hungarian Competition Authority

Prof. Dr. **Till Zimmermann**, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Heinrich-Heine-Universität Düsseldorf

Prof. Dr. **Frank Zimmermann**, Lehrstuhl für Deutsches, Europäisches und Internationales Straf- und Strafprozessrecht sowie Strafrecht der Digitalisierung, Universität Freiburg

Hannes Klopmeier, Richter am Amtsgericht Essen-Steele

სარჩევი

კრებულის ავტორები	3
AUTORENVERZEICHNIS	4
ბერბანის მინოდების ჯაჭვის შესახებ კანონიდან	
ევროკავშირის მინოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივამდე	7
VOM DEUTSCHEN LIEFERKETTENGESETZ ZUR EU-LIEFERKETTENRICHTLINIE	29
კორუფციასთან ბრძოლა „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების“ დასაბამობით?	47
KORRUPTIONSBEKÄMPFUNG DURCH DIE BESTRAFUNG VON „AMTSMISSBRAUCH“?	59
სამოხელეო დანაშაულები ქართულ სისხლის სამართალში და ევროკავშირის სამართლის კოტენციური გავლენები კორუფციასთან ბრძოლის დირექტივის კრემეტიის მიხედვით	69
AMTSDELIKTE IM GEORGISCHEN STRAFECHT UND POTENZIELLER EINFLUSS DES EU-RECHTS NACH DEM RICHTLINIENENTWURF ZUR BEKÄMPFUNG DER KORRUPTION	82
კონკურენციის სამართლის სისხლისსამართლებრივი და ძირითადი უფლებების ასკვეტები – უნგრეთის გამოცდილება	92
STRAFRECHTLICHE UND GRUNDRECHTLICHE ASPEKTE DES KARTELLRECHTS – AUSBLICK UNGARN	109
სისხლის სამართალი და კოლიტიკური კრემეტი – ევროკული ძირითადი უფლებების კერსკვეტივა	123

DER UMGANG DES STRAFRECHTS MIT POLITISCHEM PROTEST – AUS DER PERSPEKTIVE DER EUROPÄISCHEN GRUNDRECHTE	139
ქონების დაუფლება კორუფციული გარიგებით	153
ERWERB VON VERMÖGEN DURCH KORRUPTIVE ABSPRACHEN	169
წინასწარი პატიმრობა და უდანაშაულობის პრეზუმფცია – მოსაზრებები სამართლებრივი პრინციპის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მოსამართლის პრობლემატან ურთიერთკავშირში	182
UNTERSUCHUNGSCHAFT UND UNSCHULDSVERMUTUNG – ÜBERLEGUNGEN ZUR STÄRKUNG EINES RECHTSPRINZIPS IM ZUSAMMENHANG MIT HAFTRICHTERLICHEN PROGNOSEN	198
პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ბრალის წარდგენისას	212
DAS ERMESSEN DER STAATSANWALTSCHAFT BEI DER ANKLAGEERHEBUNG	220
პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას ქართულ სისხლის სამართლის პროცესში	227
ERMESSEN DES STAATSANWALTS BEI DER EINLEITUNG DER STRAFVERFOLGUNG IM GEORGISCHEN STRAFPROZESS	245

გერმანიის მინოდების ჯაჭვის შესახებ კანონიდან ევროკავშირის მინოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივამდე

პროფ. დოქტ. მარტინ გასმერი, კიოლნის უნივერსიტეტი

I. შესავალი

Corporate Sustainability Due Diligence Directive (CSDDD ან CS3D), ანუ, ევროკავშირის „კომპანიების მდგრადობის ბრუნვისა და წინდახედულების ვალდებულებების“ შესრულებად წოდებული, მინოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა ((EU) 2024/1760,¹ *EU-Lieferkettenrichtlinie*), მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვასა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფას, ასევე პასუხისმგებლიანი სანარმოო მართვის ხელშეწყობას.² 2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპარლამენტმა და წევრი სახელმწიფოების შუამავლებმა მიაღწიეს კონკრეტულ შეთანხმებას, რომელიც ეფუძნებოდა 2022³ წლის თებერვლის წარდგინებას. თუმცა, ყველასდა გასაოცრად, მან ვერ მოიპოვა ევროკავშირის მინიმუმ 15 წევრი სახელმწიფოს სახით აუცილებელი კვალიფიციური უმრავლესობა, ევროკავშირის საბჭოს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის სხდომაზე (COREPER), რომელთა მოსახლეობის ნაწილის ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს 65 %-ს. ამის მიზეზი იყო, მათ შორის, გერმანიაც, რომელმაც, *FDP*-ს (თავისუფალი დემოკრატიული პარტია) მოთხოვნით, თავი შეიკავა კენჭისყრაზე. ლიბერალები მიიჩნევდნენ, რომ კომპანიები, ბიუროკრატიის შიშისა და სამართლებრივი რისკის გამო, დატოვებდნენ ევროპას.⁴ 2024 წლის 15 მარტს კი, გერმანიის გარეშე, მიღებულ იქნა შედარებით შესუსტებული პროექტისთვის აუცილებელი მხარდაჭერა.⁵ ამის შემდგომ,

1 Abl. EU L 2024/1760.

2 <https://www.bmz.de/de/themen/lieferketten>.

3 Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates über die Sorgfaltpflichten von Unternehmen im Hinblick auf Nachhaltigkeit vom 23.2.2022, COM(2022) 71 final.

4 <https://www.spiegel.de/politik/deutschland/lieferkettengesetz-verfehlt-mehrheit-unter-eu-laendern-a-78b3b519-7a75-4a03-8630-2bb203527a71>.

5 <https://www.zeit.de/wirtschaft/2024-03/eu-staaten-stimmen-fuer-lieferkettengesetz>.

ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა ძალაში შევიდა 2024 წლის 25 ივლისს. ეს ნიშნავს, რომ ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანერგოს აღნიშნული დირექტივა. გერმანია კი ვალდებულია, დირექტივას მიუსადაგოს 2023 წლის 1 იანვრიდან მოქმედი, მიწოდების ჯაჭვში სამეწარმეო წინდახედულობის ვალდებულების შესახებ კანონი („Gesetz über die unternehmerischen Sorgfaltspflichten in Lieferketten (Lieferkettensorgfaltspflichtengesetz – LkSG)“ 16.7.2021),⁶ მოკლედ: *მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი*.

II. მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი (LkSG)

1. ისტორია

მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის მიღებით, გერმანელმა კანონმდებელმა განიზრახა, ადამიანის უფლებათა და დასაქმებულთა დაცვის დანერგვის კანონისმიერი საფუძვლის შექმნა.⁷ ძალიან რთული იყო კანონის მიღებისკენ მიმავალი გზა. 2011 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ შეიმუშავა *ეკონომიკის, ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პრინციპები*⁸. ეს „რბილი ძალა“ („Soft Law“) ავალდებულებს სახელმწიფოებს და კომპანიებს, უზრუნველყონ ადამიანის უფლებების დაცვა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამეთუ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 80% წარმოადგენს გლობალურ მიწოდების ჯაჭვებს.⁹ ბევრი საქონელი იწარმოება იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია სახიფათო სამუშაო პირობები.

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების ფონზე, ევროკომისიამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს *ეროვნული სამოქმედო გეგმების* შემუშავებისაკენ.¹⁰ გერმანიის მმართველმა დიდმა კოალიციამ (CDU/

6 Gesetz über die unternehmerischen Sorgfaltspflichten in Lieferketten vom 16.7.2021, BGBl. I 2959.

7 BT-Drs. 19/28649, 23.

8 UN Guiding Principles on Business and Human Rights (UNGPs), UN doc A/HRC/17/31.

9 შუად. https://www.destatis.de/DE/Themen/Wirtschaft/Aussenhandel/_inhalt.html.

10 *Europäische Kommission*, Eine neue EU-Strategie (2011-14) für die soziale Verantwortung der Unternehmen (CSR), KOM(2011) 681 endgültig.

CSU, SPD, ანუ, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალური კავშირი, სოციალ-დემოკრატიული პარტია) განსაზღვრა კოალიციის ხელშეკრულებაში, რომ 2013 წლის ნოემბრიდან განეხორციელებინა გარკვეული აქტივობები.¹¹ „ეკონომიკის და ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა“ მიღებულ იქნა 2016 წლის დეკემბერში.¹² აღნიშნული გეგმის საფუძველზე, იმ კომპანიებს, რომლებსაც ჰყავთ 500 დასაქმებულზე მეტი, დაეკისრათ, მიწოდების ჯაჭვებში, ადამიანის უფლებათა სტანდარტების „ნებაყოფლობით“ უზრუნველყოფა.¹³ კვლავ არჩეულმა დიდმა კოალიციამ, 2018 წლის კოალიციის შეთანხმებაში განსაზღვრა აქტივობების გაგრძელება, იმ შემთხვევაში, თუ ეს თვითვალდებულება არ აღმოჩნდებოდა საკმარისი.¹⁴ ამან იჩინა თავი 2020 წელს, როდესაც მონიტორინგმა აჩვენა, რომ კომპანიების მხოლოდ 17% აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.¹⁵

მანამდე, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრომ (BMZ), 2019 წელს, შეიმუშავა ე.წ. „მდგრადი ფასწარმოქმნის ჯაჭვის“ კანონპროექტი, „წინდახედულობის ვალდებულების კანონი“¹⁶, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ დებულებებსა და ფულად სახდელებს. თუმცა, კანონპროექტი უკან იქნა გახმობილი.¹⁷ 2020 წლის მარტში კი, გერმანიის შრომისა და სოციალურ საკითხთა ფედერალურმა სამინისტრომ (BMAS) გამოაქვეყნა „წინდახედულობის ვალდებულების კანონის“ საკვანძო საკითხების პროექტი, რომლიდანაც

11 *CDU Deutschlands/CSU Landesleitung/SPD*, Deutschlands Zukunft gestalten, Koalitionsvertrag zwischen CDU, CSU und SPD, 18. Legislaturperiode, S. 124 f.

12 *Die Bundesregierung*, Nationaler Aktionsplan, Umsetzung der VN-Leitprinzipien für Wirtschaft und Menschenrechte 2016–2020.

13 კრიტ. *Amnesty International*, *Brot für die Welt, Misereor u.a.*, Kein Mut zu mehr Verbindlichkeit, 6.2.2017, 2 ff.

14 *CDU Deutschlands/CSU Landesleitung/SPD*, Ein neuer Aufbruch für Europa. Eine neue Dynamik für Deutschland. Ein neuer Zusammenhalt für unser Land, Koalitionsvertrag zwischen CDU, CSU und SPD, 19. Legislaturperiode, 2018, S. 156.

15 Monitoring des Umsetzungsstandes der im Nationalen Aktionsplan Wirtschaft und Menschenrechte 2016-2020 beschriebenen menschenrechtlichen Sorgfaltspflicht von Unternehmen, Abschlussbericht, 2020, S. 5.

16 <https://www.business-humanrights.org/de/neuste-meldungen/text-des-gesetzentwurfs-f%C3%BCR-verbindliche-menschenrechtliche-sorgfaltspflichten-von-unternehmen>.

17 *Breckheimer*, jurisPR-IWR 6/2020 Anm. 1.

ამოღებული იყო სისხლისსამართლებრივი ნორმები.¹⁸ აღნიშნულმა სამინისტრომ მოახდინა რეფერენტების პროექტის¹⁹ პრეზენტაცია 2021 წლის თებერვალში, რის შემდეგაც, აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2022 წლის ივლისში. მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი კი სრულად ამოქმედდა მისი ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ, 2023 წლის პირველი იანვრიდან.

2. მიზნები და ზოგადი კრიტიკა

მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონმა უნდა გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მდგომარეობა, აწესებს რა მოთხოვნებს *მიწოდების ჯაჭვის მართვის* მიმართ.²⁰ ამ უზენაესი მიზნის მიუხედავად, კანონი მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში. კრიტიკოსთა აზრით, ეს ნიშნავდა, საერთაშორისო დონეზე, *კონკურენციის შემცირებას*,²¹ მეტ ბიუროკრატიასა და ხარჯებს, რთული რეგიონებიდან გასვლას, საზღვარგარეთ „ასპარეზის დათმობას საქმონებისთვის“.²² ასევე აუცილებელია იმაზე მითითება, რომ სხვა სახელმწიფოებმაც განახორციელეს გარკვეული აქტივობები. მაგალითად, საფრანგეთმა დანერგა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, მიიღო რა „Loi de vigilance“ (2017)²³; დიდმა ბრიტანეთმა - „Modern Slavery Act 2015“,²⁴ ავსტრალიამ - „Modern Slavery Act 2018“²⁵, ხოლო ნიდერლანდებმა კი, 2019 წელს - „Wet zorgplicht kinderarbeid“.²⁶ ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი უნდა იყოს

18 *BMAS und BMZ*, Entwurf für Eckpunkte eines Bundesgesetzes über die Stärkung der unternehmerischen Sorgfaltspflichten zur Vermeidung von Menschenrechtsverletzungen in globalen Wertschöpfungsketten (Sorgfaltspflichtengesetz).

19 <https://perma.cc/QK5T-WZHS>.

20 BT-Drs. 19/28649, 2.

21 *Schmidt*, EuZW 2021, 273, 274.

22 *Brockhaus*, in Graf/Jäger/Wittig (Hrsg.), Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 3. Aufl. 2024, Vor § 24 LkSG Rn. 15; *DAV-Ausschüsse*, NZG 2021, 546, 547; *Schmidt*, EuZW 2021, 273, 274.

23 LOI n° 2017-399 du 27 mars 2017 relative au devoir de vigilance des sociétés mères et des entreprises donneuses d'ordre; hierzu *Wagner*, ZIP 2021, 1095, 1098.

24 <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2015/30/contents>.

25 <https://www.legislation.gov.au/Details/C2018A00153>.

26 <https://zoek.officielebekendmakingen.nl/stb-2019-401.html>.

ბაზრის ჩამოშლის საპირწონე. ნედლეული, პროდუქტები და მომსახურება ხშირად ბევრად უფრო ხელსაყრელია დაბალი ხელფასების მქონე ქვეყნებში, რამეთუ იქ არ მოქმედებს სამრეწველო ქვეყნების მაღალი სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტები.²⁷

3. გამოყენების სფერო

მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის *საგნობრივი* გამოყენების სფერო ძალიან ფართოა. მიწოდების ჯაჭვი ვრცელდება „კომპანიის ყველა პროდუქტსა და მომსახურებაზე“ (§ 2 პ. 5 ნ. 1), მოიცავს რა „გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ ყველა ნაბიჯს, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, დაწყებული ნედლეულის მოპოვებიდან, ვიდრე საბოლოო მომხმარებელთან მიწოდებამდე;“ მოიაზრება ყველა მიმწოდებელი (§ 2 პ. 5 ნ. 2).

მიწოდების ჯაჭვის კანონის *პერსონალური* გამოყენების სფერო კი ერთობ შეზღუდულია. ერთის მხრივ, ეს მოქმედებს მხოლოდ იმ კომპანიების მიმართ, რომლებსაც აქვთ მთავარი ოფისი, მთავარი ფილიალი, ასევე ადმინისტრაციული და იურიდიული მისამართი გერმანიაში (§ 1 პ. 1 Nr. 1 მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი). ის ასევე ვრცელდება იმ უცხოურ კომპანიებზე, რომლებსაც აქვთ გერმანიაში ფილიალი (§ 1 პ. 1 ნ. 2). კანონის მოქმედება არ ვრცელდება სხვა უცხოური კომპანიებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ აქვთ მაღალი ბრუნვა.²⁸ მეორეს მხრივ, კომპანიასა თუ კონცერნს, კანონის ამოქმედებისას, კერძოდ, 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, უნდა ჰყოლოდა მინიმუმ 3 000 დასაქმებული გერმანიაში. 2024 წლის პირველ იანვარს კი, დასაქმებულთა მინიმალური რაოდენობის ნიშნული შემცირდა 1 000 დასაქმებულამდე, რამაც განაპირობა აღნიშნული რეგულაციის 2 200-მდე კომპანიაზე გავრცელება.²⁹ ეს არ არის დამაკმაყოფილებელი, რამეთუ გერმანიაში, 2024 წელს, რეგისტრირებული იყო 3,61 მილიონი საწარმო. მათ შორის, ევროკომისიის განმარტებით,³⁰ მათი 99,3% იყო მიკრო,

27 *Ehmann*, ZVertriebsR 2021, 205, 207.

28 *Valdini*, BB 2021, 2955, 2958.

29 BT-Drs. 19/28649, 63.

30 Empfehlung 2003/361/EG: Kleinunternehmen (10 Mitarbeiter); kleine Unternehmen

მცირე და საშუალო საწარმოები. საბოლოოდ, მათი არგათვალისწინება დაბალანსდება იმით, რომ უამრავი კომპანია, რომელიც 1000-ზე ნაკლებ თანამშრომელს ასაქმებს, მსხვილი საწარმოების მომწოდებლად მუშაობს. ამით შედარებით დიდი კომპანიები ახდენენ კანონისმიერი მოთხოვნების სახელშეკრულებო დელეგირებას (*trickledown-Effekt*) მათ მიმწოდებლებზე, რითაც კანონის გამოყენების სფერო, ფაქტობრივად, ფართოვდება.³¹

4. დაცული სამართლებრივი პოზიციები

მატერიალური შეზღუდვა გამომდინარეობს იქიდან, რომ კანონი იცავს მხოლოდ იმ სამართლებრივ პოზიციებს, რომლებიც გამომდინარეობს კანონის დანართში ჩამოთვლილი ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებიდან (§ 2 პ. 1- მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი). ამაში მოიაზრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ცხრა საერთაშორისო ხელშეკრულება, გაეროს სამოქალაქო უფლებების პაქტი და გაეროს სოციალური პაქტი. დაცული ადამიანის უფლებები გამომდინარეობს მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის § 2 პ. 2 Nr. 1–12-დან. *ადამიანის უფლებათა რისკი* არის იმგვარი მდგომარეობა, „როდესაც, ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკმარისი ალბათობით“, მოსალოდნელია 11 აკრძალვის დარღვევა: 15 წლამდე ასაკის ბავშვების დასაქმება; ბავშვთა შრომის მძიმე ფორმები; იძულებითი შრომა; მონობა; ეროვნული შრომის დაცვის უგულვებელყოფა; გაერთიანებების თავისუფლების უგულვებელყოფა; არათანასწორი დამოკიდებულება დასაქმებისას; გონივრული გასამრჯელოს გადაუხდელობა; ნიადაგის, წყლის, ჰაერის დაბინძურება, მავნე, ხმაურის გამომწვევი ემისიებისა და გადაჭარბებული წყლის მოხმარებით; უკანონო იძულებითი გასახლება და მიწის ნაკვეთის, ტყისა და წყლის რესურსების უკანონო ჩამორთმევა; სპეცდანიშნულების ძალების გამოყენება, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებს. ამას გარდა, კანონის *მოგადი დებულება*³² კრძალავს ნებისმიერი სახის იმგვარ მოქმედებას, „რომელსაც უშუალოდ ხე-

(unter 50 Mitarbeiter); mittlere Unternehmen (unter 250 Mitarbeiter).

31 BT-Drs. 19/28649, 23.

32 კრიტ. *Wagner/Rutloff*, NJW 2021, 2145, 2147.

ლენიფება, განსაკუთრებით, მძიმე სახით, შეზღუდოს დაცული სამართლებრივი სტატუსი და რომლის უკანონობა თვალსაჩინოა, ყველა შესაძლო გარემოების გასაგები შეფასებისას“. *გარემოსდაცვითი რისკები* განსაზღვრულია კანონის § 2-ის მე-3 პუნქტით, რომელიც ეფუძნება სამ სხვადასხვა კონვენციას, კერძოდ, ვერცხლისწყლის კონვენციას, სტოკჰოლმის მდგრადი ორგანული მავნე ნივთიერებების კონვენციასა და ბაზელის სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის კონვენციას.

5. წინდახედულობის ვალდებულებები

მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის მე-2 თავი აყალიბებს წინდახედულობის მნიშვნელოვან ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიები ვალდებული არიან, მათი მიწოდების ჯაჭვებში, გაითვალისწინონ ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული სტანდარტები, რათა აირიდონ თავიდან და შეამცირონ რისკები ან შეწყვიტონ ვალდებულებების დარღვევა (§ 3 პ. 1 წ. 1). კომპანიებმა უნდა ჩამოაყალიბონ *რისკმენეჯმენტი* და *დაასახელონ ადამიანის უფლებათა საკითხებში რწმუნებულო*³³ (§ 4). სისტემატურად უნდა ჩატარდეს რისკის ანალიზი (§ 5). რისკის გამოვლენის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები (§ 6), დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა გატარდეს დამხმარე ზომები (§ 7), შესაძლოა, ასევე შეწყდეს საქმიანი ურთიერთობა (§ 7 პ. 3). ასევე, უნდა განხორციელდეს შიდა ადმინისტრაციული წარმოება (§§ 8, 9), რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, მივუთითოთ რისკებსა და დარღვევებზე, რომლებიც წარმოიშვა საკუთარ სამეწარმეო თუ მიმწოდებლის საქმიანობაში. საქმისწარმოების განხორციელება უნდა დაეკისროს საჩივრის რწმუნებულს (§ 8 პ. 1 წ. 4)³⁴. წინდახედულების ვალდებულების შესრულება არა მხოლოდ უნდა გადაინომროს და აღირიცხოს, არამედ უნდა შედგეს წლიური ანგარიში, რომელიც საჭაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს (§ 10) და მიეწოდოს ბიზნესისა და ექსპორტის კონტროლის ფედერალური ზედამხედველობის

33 ამის შესახებ იხ. *Bertke/Sandbrink*, NJW 2024, 319, 320 ff.; კრიტიკ. *Teichmann*, ZWH 2022, 133, 136.

34 *Bertke/Sandbrink*, NJW 2024, 319, 323 ff.

უნყებას (BAFA; § 12 მიწოდების ჯაჭვის კანონი). ამგვარად, კომპანიებმა უნდა შექმნან შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა (*Compliance*).³⁵

შემზღვევები გამომდინარეობს იქიდან, რომ რისკების ანალიზი (§ 5) ძირითადად საჭიროა მხოლოდ საკუთარი ბიზნეს სფეროსთვის და პირდაპირი მომწოდებლებისთვის (§ 2 პ. 7). არაპირდაპირ მომწოდებლებთან მიმართებაში (§ 2 პ. 8) რისკების ანალიზი უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღებული იქნება „დასაბუთებული ინფორმაცია“ შესაძლო დარღვევების შესახებ (§ 9 პ. 3). გარდა ამისა, კომპანიებმა წინდახედულობის ვალდებულებები (მხოლოდ) „სათანადო წესით უნდა დაიცვან“ (§ 3 პ. 1), რითაც დადგინდა მხოლოდ მცდელობის ვალდებულება.³⁶

6. სპეციალური საპროცესო წარმომადგენლობა და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონმა მისცა შესაძლებლობა პროფკავშირებსა და არასამთავრობო სექტორს, დაიცვას დაინტერესებულ პირთა უფლებები *სპეციალური საპროცესო წარმომადგენლობის* გზით (§ 11). თუმცა უფლებამოსილება ეხება მხოლოდ იმ ტიპის სარჩელებს, რომელთა საგანია ადამიანის უფლებების დარღვევა.³⁷ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემზღვევა გამომდინარეობს იქიდან, რომ წინდახედულობის ვალდებულების დარღვევა არ წარმოშობს „*სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას*“ (§ 3 პ. 3 ნ. 1). ამის შედეგია ის, რომ მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონს არ აქვს დამცავი ხასიათი.³⁸ კანონმა ვერ გააუმჯობესა, ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგად დაზარალებულთა სამართლებრივი მდგომარეობა,³⁹ ვინაიდან „უცვლელი“ რჩება მოქმედი საერთაშორისო კერძოსამართლებრივი რეგულაციები.⁴⁰ შესაბამის შემთხვევებში, კვლავინდებურად გამოიყენება უცხოური სამართალი,

35 *Leuering/Rubner*, NJW-Spezial 2021, 399.

36 BT-Drs. 19/28649, 2; *Ehmann/Berg*, GWR 2021, 287, 288; *Hübner*, NZG 2020, 1411.

37 *Wagner/Rutloff*, NJW 2021, 2145, 2151.

38 იხ. მხოლოდ *Beck*, ZIP 2022, 1471, 1475; *Wagner/Rutloff*, NJW 2021, 2145, 2150.

39 *Kamann/Irmscher*, NZWiSt 2021, 249, 251.

40 BT-Drs.19/28649, 53.

რომლის საფუძველზე, გერმანიაში დაზარალებულს არ ეძლევა ზიანის ანაზღაურება.

7. დანერგვა და სანქციები

BAFA აკონტროლებს წინდახედულობის ვალდებულებების შესრულებას (მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის § 19).⁴¹ იგი ამოწმებს ანგარიშებს (§ 13 პ. 1), აქვს მათი ჩასწორებების მოთხოვნის უფლება (§ 13 პ. 2) და ასევე, დარღვევების გამოსავლენად, თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, მასშტაბური ღონისძიებების გატარების უფლება (§ 15). უწყებას აქვს შესვლისა და დათვალიერების უფლება, ასევე ინფორმაციის გაცემისა და დოკუმენტაციის გადაცემის დაკისრების უფლებამოსილება (§§ 16–18). ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია *ფულადი სახდელის დაკისრება* (§ 24), ხოლო, მიღებული ქონებრივი სარგებელი კი, ექვემდებარება კონფისკაციას (§ 17 ნაწ. 4, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი). რეგულაციის საგანია როგორც *განზრახ*, ისე *გაუფრთხილებლობით ჩადენილი* დარღვევები.

ფიზიკური პირების მიერ პრევენციული და გამოსასწორებელი ზომების, ასევე საჩივრების პროცედურის შექმნასთან დაკავშირებული დარღვევები (§ 8 პ. 1 ნ. 1) შეიძლება იქნას სანქცირებული 800 000 ევროს ოდენობით (§ 24 პ. 2 Nr. 1 a, b). დარღვევები რისკების მართვის, რისკების ანალიზის, ღონისძიებათა ეფექტურობის შემოწმების, საჩივრების პროცედურების, ღონისძიებების განახლების პროცესში, ასევე აღსრულებადი ბრძანებების წინააღმდეგ შეიძლება დაჯარიმდეს 500,000 ევრომდე თანხით (§ 24 პ. 2 Nr. 2). სხვა დარღვევებზე, შესაძლებელია 100 000 ევროს ოდენობის სახდელის დაწესება (§ 24 პ. 2 Nr. 3). გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მაქსიმალური თანხები უნდა განახევრდეს (§ 17 ნაწ. 2 - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი). ამასთან, მოსალოდნელია სახელმწიფო დაკვეთების აკრძალვა (§ 22). *იურიდიული პირებისა და პირთა გაერთიანებებისათვის*, ფულადი სახდელი იზრდება ათმაგ ოდენობამდე (§ 24 პ. 2 ნ. 2). 400 მილიონ ევროზე მეტი საშუალო წლიური

41 *Ehmann, ZVertriebsR 2021, 141, 150; Koch, MDR 2022, 1, 4 f.*

ბრუნვის შემთხვევაში, სახდელმა შეიძლება შეადგინოს წლიური ბრუნვის 2%-ს (§ 24 პ. 3). კანონმდებელი ამ მაღალ სახდელს იმით ამართლებს, რომ საქმე ეხება ადამიანის უფლებათა დაცვასა და მსხვილ კომპანიებს.⁴² მიწოდების ჯაჭვის კანონის კრიტიკა ეხება იმას, რომ მოთხოვნილია რისკის „გონივრული“ ანალიზი, რაც ნიშნავს განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევას (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი).⁴³ სასამართლო პრაქტიკის მხრიდან ამ კრიტერიუმის დაკონკრეტებამდე, დასაშვებია, მხოლოდ ცალსახა და მძიმე დარღვევების დასაწესიერება.⁴⁴ ამას გარდა, ფულადმა სახდელებმა შეიძლება მიაღწიონ მილიარდებსა და სახელმწიფო შეკვეთებიდან ამორიცხვამ კი, შესაძლოა, შექმნას ეგზისტენციალური პრობლემები.⁴⁵ პრაქტიკაში, დაუშვებელია გადაჭარბებულად მაღალი ფულადი სახდელების დაწესება. ამავდროულად, კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, თავი აარიდონ სანქციებს ასიმილაციის გზით (კონკურენციის შემღუდვის კანონის § 125; მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის § 22 პ. 1). კრიტიკის საგანია ის ფაქტიც, რომ ბევრი ღონისძიება უნდა განხორციელდეს საზღვარგარეთ, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის §§ 5, 7 პუნქტი 1-ით დადგენილი ტერიტორიული შემღუდვის გამო, სანქციები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის ადგილი არის ქვეყნის შიგნით.⁴⁶ ესეც არ არის დამატებელი, რადგან გერმანული კომპანიის ხელმძღვანელმა პირებმა თავდაპირველად გერმანიიდან უნდა მოსთხოვონ მომწოდებლებს ადამიანის უფლებების დაცვა, რის გამოც სათანადო ვალდებულებები გერმანიაში უნდა შესრულდეს და დანაშაულის ჩადენის ადგილი ქვეყნის შიგნით მდებარეობს.⁴⁷

42 BT-Drs. 19/28648, 58.

43 *Brosthaus/Schefer*, wistra 2023, 410, 413; *Kamann/Irmscher*, NZWiSt 2021, 249, 254.

44 *Neuhöfer*, in Johann/Sangi (Hrsg.), LkSG, 2023, § 24 Rn. 34.

45 *Nietsch/Wiedmann*, CCZ 2021, 101, 109.

46 *Brosthaus/Schefer*, wistra 2023, 410, 415; *Mitsch*, NZWiSt 2021, 409, 410.

47 BT-Drs. 19/28649, 28 und 48 f.

III. ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა

1. მიზნები და დაცული სამართლებრივი პოზიციები

ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივისა და მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის მიზანია, მდგრადი და პასუხისმგებლიანი მოქმედების ხელშეწყობა და სამენარმეო საქმიანობასა და სანარმოო მართვაში, ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვითი ასპექტების ასახვა. კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ ნეგატიური ზეგავლენა მათი „აქტივობების ჯაჭვებში“ (chain of activities). ის უფლებები და აკრძალვები, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებიდან (შეად. მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის § 2 პ. 2), ასევე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ინსტრუმენტები (შეად. მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის დანართი), შესულია პირველი ნაწილის დანართში. შესაბამისად, დირექტივის მეორე ნაწილი მოიცავს, გარემოს დაცვის სფეროში, ინსტრუმენტებში შემავალ ვალდებულებებსა და აკრძალვებს (შეად. მიწოდების ჯაჭვის კანონის § 2 პ. 2; ასევე მიწოდების ჯაჭვის კანონის დანართი). მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის პარალელური სტრუქტურა კი არის გაურკვეველი, მაშინ როცა, ადამიანის უფლებათა ვალდებულებების ჩამონათვალი, ბევრად უფრო მასშტაბურია, მათ შორის, პირად ცხოვრებაში თვითნებური და უკანონო ჩარევის აკრძალვა (გაეროს სამოქალაქო უფლებების პაქტის მე-17 მუხლი), სიტყვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება (გაეროს სამოქალაქო უფლებების პაქტის მე-18 მუხლი). აკრძალვა მოიცავს ასევე, დასაქმებულის მხრიდან, გონივრულ საცხოვრებელ ფართთან ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას (გაეროს სამოქალაქო უფლებების პაქტის მე-11 მუხლი). გარემოსდაცვითი აკრძალვებისა და ვალდებულებების ჩამონათვალიც მოიცავს დამატებით შეთანხმებებსა და კონვენციებს, როგორც, მაგალითად, ვაშინგტონის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციას (CITES). ამას გარდა, აკრძალულია გარემოს მძიმე დაზიანება ნიადაგის ცვლილებით, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, ემისიები და წყლის გადაჭარბებული მოხმარება. მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონთან შედარებით, გასათვალისწინებელია მეტი უფლება, აკრძალვა და

ვალდებულება, რაც ბრდის აღრიცხულ კომპანიებზე გენოლას.⁴⁸

2. გამოყენების სფერო

მონესრიგების საგანია ის კომპანიები, რომლებიც დაფუძნებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სამართლის საფუძველზე, ჰყავთ რა 1 000 დასაქმებულზე მეტი და 450 მილიონი ევროს ოდენობით ნეტო წლიური ბრუნვა (დირექტივის მუხლი 2 პ. 1a). 2023 წლის დეკემბრის პროექტით კი, გათვალისწინებული იყო კომპანიებისათვის 500 დასაქმებულზე მეტი და 150 მილიონი ევროს ოდენობით ნეტო ბრუნვის დათქმა. ამ მაღალი მოთხოვნების ქვეშ, მოექცა მხოლოდ 5 400 კომპანია, ანუ, ყველა კომპანიის მხოლოდ 0,05%.⁴⁹ ჯამური ბრუნვის გათვალისწინების მოთხოვნა სცილდება მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის ფარგლებს. სხვათა შორის, აღნიშნული რეგულაცია ეხება ასევე იმ ევროკავშირის გარეთ დაფუძნებულ კომპანიებსაც, რომლებსაც ევროკავშირში აქვთ 450 მილიონი ევროს ოდენობის წლიური ნეტო ბრუნვა (დირექტივის მუხლი 2 პ. 2 a).

დირექტივაში ასევე გათვალისწინებულია *ძალიან გრძელი გარდამავალი ვადები*. მისი ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში, რეგულაცია ვრცელდება ევროკავშირის იმ კომპანიებზე, რომელთა დასაქმებულთა საერთო რაოდენობა აღემატება 5 000-ს, ხოლო წლიური ბრუნვა კი - 1,5 მილიარდ ევროს; ოთხი წლის შემდეგ კი, ზღვარი ეცემა 3 000 დასაქმებულამდე და 900 მილიონ ევრომდე, ხოლო, ხუთი წლის შემდეგ კი - 1 000 დასაქმებულსა და 450 მილიონ ევრომდე (მუხლის 37 პ. 1 a, b და e). იგივე წესი ვრცელდება არაევროპულ კომპანიებზე (მუხლი 37 პ. 1 c, d და e).

კიდევ ერთი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა, განსხვავებით გერმანიის მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონისგან, ვრცელდება მხოლოდ *კომპანიების გარკვეულ ფორმებზე*. ესენია: სააქციო საზოგადოებები, კომანდიტური

48 Lutz-Bachmann/Vorbeck/Wengenroth, BB 2022, 835, 838 f.

49 <https://www.hrw.org/de/news/2024/05/24/neues-eu-lieferkettengesetz-fuer-unternehmen-fragen-und-antworten>.

საზოგადოებები აქციებზე, შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და ღია სავაჭრო საზოგადოებები და კომანდიტური საზოგადოებები (მუხლი 3 პ. 1 a Ziff. i ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა ბალანსის შესახებ დირექტივის (2013/34/EU) პირველ და მეორე დანართებთან ურთიერთკავშირში). სხვა წევრ სახელმწიფოებშიც (მუხლი 3 პ. 1 a Ziff. ii), რეგულაცია ვრცელდება ანალოგიურ სამართლებრივ ფორმებზე. სამართლებრივი ფორმებისაგან დამოუკიდებლად, მოწესრიგებულია მხოლოდ *მედამხედველი ფინანსური კომპანიები* (მუხლი 3 პ. 1 a. Ziff. iii). 2023 წლის დეკემბრის პროექტისაგან განსხვავებით, ამოღებულია *რისკიანი სექტორების* სპეციალური რეგულაციები. ეკონომიკისა და ბიზნესის იმ სფეროებში, სადაც უფრო მაღალია ადამიანის უფლებათა დარღვევისა და გარემოს დაცვის ზიანის მიყენების რისკი, სოფლის მეურნეობაში, სატყეო და თევზის მრეწველობაში, ტექსტილისა და მინერალების მრეწველობაში, მოწესრიგება უნდა შეხებოდა ასევე ნაკლები რაოდენობის მქონე საწარმოებს.⁵⁰

აღრიცხულ კომპანიებს ეკისრებათ, *მათი საერთო აქტივობების ჯაჭვში*, ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვითი რისკების იდენტიფიცირების, შემცირებისა და ანგარიშგების ვალდებულება. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა ბევრად სცილდება მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის რეგულაციებს. ერთის მხრივ, რეგულაციის საგანია ყველა საქმიანი პარტნიორი, რომელიც კავშირშია საქონლის წარმოებასა და მომსახურების განწევასთან (upstream; მუხლი 3 პ. 1 g ქვეპ. i), ანუ, ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მიმწოდებელი. მეორეს მხრივ, აქტივობის ჯაჭვი (downstream) ვრცელდება საქმიანი პარტნიორების საქმიანობაზე, გასაღებას, გადაზიდვასა და დასაწყობებასთან ურთიერთკავშირში (მუხლი 3 პ. 1 g ქვეპ. ii). რეგულაციის საგანს არ წარმოადგენს, როგორც ამას ითვალისწინებდა 2023 წლის დეკემბრის პროექტი, კომპანიის მომსახურება და პროდუქტის გატანა ან გადაამუშავება.

50 ob. https://commission.europa.eu/business-economy-euro/doing-business-eu/corporate-sustainability-due-diligence_en.

3. რისკზე დაფუძნებული წინდახედულობის ვალდებულება

რისკზე დაფუძნებული წინდახედულობის ვალდებულება (მუხ. 5) მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც, ძირითადად, მონესრიგებულია დოკუმენტში „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები წინდახედულობის ვალდებულების შესასრულებლად პასუხისმგებლიანი სამეწარმეო საქმიანობისათვის“⁵¹ და ასევე განსაზღვრულია ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივის მე-7-16 მუხლებში. ესენია:

- წინდახედულობის პრინციპის ჩართვა სანარმოო პოლიტიკასა და რისკის მართვის სისტემებში (მუხ. 7);
- ფაქტობრივი და პოტენციური ნეგატიური ზეგავლენის გამოძიება და შეფასება (მუხ. 8) და საჭიროების შემთხვევაში პრიორიტეტულ საკითხად დაყენება (მუხ. 9);
- პოტენციური ნეგატიური ზეგავლენის თავიდან აცილება, შემცირება და ფაქტობრივი ნეგატიური ზეგავლენის შეწყვეტა (მუხ. 10-11);
- დახმარება ფაქტობრივი ნეგატიური ზეგავლენის დროს (მუხლი 12)
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (მუხლი 13);
- შეტყობინების სისტემის, ანგარიშგების მექანიზმისა და საჩივრების პროცედურების შექმნა და შენარჩუნება (მუხლი 14);
- სტრატეგიისა და ღონისძიების ეფექტურობის მონიტორინგი (მუხლი 15);
- წინდახედულობის ვალდებულების შესრულების შესახებ საჯარო კომუნიკაცია (მუხლი 16).

კომუნიკაციის თვალსაზრისით, კომპანიებმა, მათ ვებ-გვერდებზე, უნდა გამოაქვეყნონ ყოველწლიური ანგარიში (მუხლი 16 პ. 1), რომელიც 2029 წლის პირველი იანვრიდან წლიდან უნდა მიეწოდოს ეროვნული საკოორდინაციო უწყებას, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ცენტრალური ევროპული პორტალის გზით (European Single Access Point,

51 <https://mneguidelines.oecd.org/OECD-leitfaden-fur-die-erfullung-der-sorgfaltspflicht-fur-verantwortungsvolles-unternehmerisches-handeln.pdf>.

ESAP; მუხლი 17). ამ პორტალმა უნდა უზრუნველყოს, ინვესტორებისათვის საჭარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურებაზე, კაპიტალის ბაზრებსა და მდგრადობაზე. გარდა ამისა, კომპანიებმა უნდა შეუქმნან და დანერგონ კლიმატის დაცვის გეგმები, „ყველა ღონე იხმარონ“, რათა მათი კომერციული მოდელი თავსებადი იყოს მდგრად ეკონომიკაზე გადასასვლელად, გლობალური დათბობის 1,5°C-ით შესაზღუდად, როგორც ამას განსაზღვრავს პარიზის კონვენცია, ასევე იმ მიზნით, რათა, 2050 წლამდე, შენარჩუნდეს კლიმატური ნეიტრალიტეტი (მუხლი 22). და ბოლოს, თითოეულმა კომპანიამ უნდა დანიშნოს უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საზედამხედველო ორგანოებისგან შეტყობინებების მიღებაზე და აღჭურვილი იქნება საჭირო უფლებამოსილებებითა და საშუალებებით (მუხლი 23).

4. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურება და საპროცესო წარმომადგენლობა

ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა, განსხვავებით მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონისაგან, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, ითვალისწინებს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევების შემთხვევაში (მუხლი 29). დირექტივა მიჰყვება *combined public-private enforcement*-ის სულისკვეთებას.⁵² თუმცა, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ცალკეული დარღვევებით. პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, თუ ზარალი გამოწვეულია მხოლოდ საქმიანი პარტნიორების მიერ აქტივობების ჯაჭვში (მუხლი 29 პ. 1 ნ. 2). დარღვევებისას დადგენილია *სრული კომპენსაციის* მოთხოვნის წამოყენების უფლება ეროვნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე (მუხლი 29 პ. 2). მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონის მსგავსად, შესაძლებელია *საპროცესო წარმომადგენლობის* უფლების მინიჭება, რათა სავარაუდო დაზარალებულმა სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება მიანიჭოს პროფკავშირებს, ადამიანის უფლებათა თუ გარემოს დამცველ ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს (მუხ. 29 პ. 3d).

52 Lutz-Bachmann/Vorbeck/Wengenroth, BB 2022, 835, 842.

ყოველივე ეს ხელს უწყობს ე.წ. კოლექტიური სარჩელების აღძვრას,⁵³ რომლებიც ესკალაციისა და დიდ რეპუტაციულ რისკებს შეიცავენ საქმესთან შემხებლობაში მყოფი კომპანიების მიმართ.⁵⁴

5. აღსრულება და სანქციები

ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაანესონ ისეთი *სანქციები* დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში (მუხლი 27), რომლებიც უნდა იყოს ქმედითი, თანაბომიერი და პრევენციული (მუხლი 27 პ. 1 ნ. 2). ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია: დარღვევის სახეობა, სიმძიმე, ხანგრძლივობა და შედეგები; თანამშრომლობა შედეგების დასაძლევად; წინა დარღვევები; გამოსასწორებელი ზომების მოცულობა; დარღვევის შედეგად მიღებული ფინანსური სარგებელი ან თავიდან აცილებული ზარალი (მუხლი 27 პ. 2). სანქციის სახით *აუცილებელია სულ მცირე ფულადი სახდელეების დაწესება* (მუხლი 27 პ. 3). მაქსიმალურ სანქციად შეიძლება დაინიშნოს წინა სამეურნეო წლის მსოფლიო ნეტო ბრუნვის მინიმუმ 5 %, სადაც, კონცერნის შემთხვევაში, გადამწყვეტია მთლიანი კონცერნის ბრუნვა და არა რომელიმე ცალკეული საზოგადოების ბრუნვა (მუხლი 27 პ. 4). აუცილებელია *გამოქვეყნდეს და გასაჯაროვდეს* ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სანქციებს („Naming and Shaming“). ისინი მინიმუმ ხუთი წელი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი და წარდგენილი ზედამხედველობის ორგანოთა ევროპულ ქსელისთვის (მუხლი 20 პ. 5). და ბოლოს, უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რომ *ვალდებულებების შესრულება* გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო დაკვეთებისა და ტენდერების პროცედურისას (მუხლი 31).

სანქციები *ბევრად უფრო მკაცრია*, ვიდრე ეს მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონშია. თუმცა, ევროკავშირის დირექტივა, ადგენს მხოლოდ ჯარიმების დაკისრების ვალდებულებას, რომელიც გაუქმდება ვალდებულების მოგვიანებით შესრულების შემთხვევაში. მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონით გათვალისწინებულ სახდელეებს კი, აქვთ რეპრესიული ხასიათი,

53 *Jaspers, GmbH* 2024, R52, R53.

54 *Wüstemann/Büchner*, BB 2024, 579, 584.

ვინაიდან გადახდა სავალდებულოა ვალდებულებების შესრულების შემთხვევაშიც კი.⁵⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი დიდი ალბათობით განავრცობს მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონს, გაითვალისწინებს რა ფულადი სახდელების შესახებ უკვე არსებულ დებულებებსაც, რაც გაზრდის ფულადი სახდელების ოდენობას.

6. კრიტიკა

კრიტიკას ევროკავშირის დირექტივის მისამართით, გამოთქვამს, ერთის მხრივ, ზოგიერთი მომხრე, რომლებიც თვლიან, რომ ის საკმაოდ შორს არ მიდის. მაგალითად, გერმანიის გარემოს დაცვის ორგანიზაციამ განაცხადა, რომ დირექტივა შერბილებულია და მხოლოდ შემდგომში მოხდება სრული ძალით გამოყენება.⁵⁶ მოწინააღმდეგეები კი, პირიქით, დირექტივის ტექსტში, ხედავენ ზედმეტ რეგულაციებსა და გადაჭარბებულ ბიუროკრატias. დირექტივა განიხილება, როგორც ევროპის კონკურენტუნარიანობის „დამატებითი უკუსვლა“⁵⁷ და „ბიუროკრატის გამარჯვება“.⁵⁸

IV. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დარღვევებისას

მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი და ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა არ ითვალისწინებენ არანაირ სისხლისსამართლებრივ სანქციებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შესაბამისი კომპანიების ხელმძღვანელი პირები სისხლის სამართლებრივად პასუხისმგებელი არიან მომწოდებლების მიერ

55 შუად. *Waßmer*, in Dicken/Fehrenbacher/Henrichs/Kleindiek/Watrin (Hrsg.), Bilanzrecht, 2024, § 331 Rn. 64.

56 Pressemitteilung der Deutschen Umwelthilfe vom 15. 3. 2024, <https://www.duh.de/presse/pressemitteilungen/pressemitteilung/deutsche-umwelthilfe-zu-eu-lieferkettengesetz-zum-gluock-laesst-sich-europa-im-gegenatz-zur-bundes>.

57 <https://bdi.eu/artikel/news/eu-lieferkettengesetz-weiterer-rueckschlag-fuer-europas-wettbewerbsfaehigkeit>.

58 <https://bga.de/im-fokus/artikel/lieferkettenrichtlinie-zu-recht-ohne-mehrheit-1>.

ჩადენილი ადამიანის უფლებების და გარემოს წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევებისთვის. გარდა ამისა, არსებობს შესაძლებლობა, რომ კომპანიებს, რომლებიც დაფუძნებულნი არიან როგორც იურიდიული პირები და პირთა გაერთიანებები, დაეკისროთ ჯარიმები (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის 30-ე პარაგრაფი), მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ კანონმდებლობაში კომპანიების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯერ არ არსებობს.

1. საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი

შესაძლებელია ასევე დასჯადობა საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თუმცა, როდესაც მომწოდებლები ადამიანის უფლებებს არღვევენ, ეკონომიკური კავშირების გამო დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იქნება განხორციელებული.⁵⁹ ამისათვის საჭირო იქნება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართო და სისტემატური თავდასხმა (§ 7 საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი) ან შეიარაღებული კონფლიქტის (§§ 8, 9 საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი) არსებობა. თუ ხდება სამოქალაქო მოსახლეობაზე ასეთი თავდასხმა, შესაძლოა, დახმარების (beneficial complicity) გამო მოხდეს დასჯა⁶⁰, შეკვეთილი საქონლის მიწოდების და განუელი მომსახურების გამო.⁶¹ საამისოდ კი, ხელმძღვანელი პირები უნდა მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით.⁶²

2. ძირითადი და დამატებითი სისხლის სამართალი

გარდა ამისა, დასაშვებია ხელმძღვანელი პირების დასჯადობა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ან დამატებითი სისხლის სამართლის დებულებების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ გახსნილია

59 *Oehm*, in: *Krajewski/Oehm/Saage-Maaß* (Hrsg.), *Zivil- und strafrechtliche Unternehmensverantwortung für Menschenrechtsverletzungen*, 2018, 177, 183 f.

60 *Brockhaus*, in: *Graf/Jäger/Wittig* (Hrsg.), *Wirtschafts- und Steuerstrafrecht*, 3. Aufl. 2024, Vor § 24 LkSG Rn. 14; *Kamann/Irmscher*, *NZWiSt* 2021, 249, 252.

61 შეად. *Momsen/Willumat*, *KriPoZ* 2019, 323, 326.

62 *Oehm*, in: *Krajewski/Oehm/Saage-Maaß* (Hrsg.), *Zivil- und strafrechtliche Unternehmensverantwortung für Menschenrechtsverletzungen*, 2018, 177, 185.

გერმანული სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები (გსსკ § 3-9). განსაკუთრებით, ეს ეხება *ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების* დაცვას.⁶³

შეიძლება განვიხილოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იძულებითი შრომისთვის (გსსკ § 232b). შრომითი ექსპლუატაცია გულისხმობს, რომ „დასაქმება ხორციელდება მოგების მიზნით ისეთ სამუშაო პირობებში, რომლებიც მკვეთრად შეუსაბამოა იმ თანამშრომელთა სამუშაო პირობებთან, რომლებიც ასრულებენ იგივე ან მსგავს სამუშაოს“ (გსსკ § 232 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება). შესაბამისად, არ არის საკმარისი, თუ სამუშაო პირობები ზოგადად მნიშვნელოვნად უარესია, ვიდრე გერმანიაში. ასევე შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამუშაო ძალის ექსპლუატაციისთვის (§ 233 StGB), რაც მოითხოვს იძულებითი მდგომარეობის ან უმწეობის გამოყენებას, რაც დაკავშირებულია უცხო ქვეყანაში ყოფნასთან, ან 21 წლამდე პირთან მიმართებაში.⁶⁴

შრომის დაცვის სტანდარტების უგულვებელყოფისას, შესაძლებელია *ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისა და მკვლელობის შემადგენლობების განხორციელება* (გსსკ §211 და შემდგომი, 223 და შემდგომი). გერმანული კომპანიის ხელმძღვანელი პირების, როგორც *ორგანიზატორის*, დასჯადობის წინაპირობაა შესაბამისი ორგანიზაციული პასუხისმგებლობა.⁶⁵ თუმცა, როდესაც საქმე ეხება უცხოელ მიმწოდებელს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის კომპანია, უმეტეს შემთხვევაში, სამართლებრივად დამოუკიდებელი ერთეული იქნება. შესაბამისად, გერმანული კომპანიის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კომპანია, „ფაქტობრივად“, ბატონობს მიმწოდებელზე.⁶⁶ ხელმძღვანელი პირების დასჯა *დახმარების* გამო, შესაბამის დამტკიცებას მოითხოვს.

63 შვად. *Waßmer*, in: Wollenschläger (Hrsg.), Handbuch des Ausländerrechts, 92. Aktualisierungslieferung 2022, 2J Rn. 40 ff.

64 *Waßmer*, in: Bross (Hrsg.), Handbuch Arbeitsstrafrecht, 2016, Kap. 17 Rn. 26.

65 *Momsen/Willumat*, KriPoZ 2019, 323, 327f.

66 *Wittig*, in: Krajewski/Oehm/Saage-Maaß (Hrsg.), Zivil- und strafrechtliche Unternehmensverantwortung für Menschenrechtsverletzungen, 2018, 195, 208.

უშუალოდ ძირითადი დარღვევების გამოსავლენადაც კი აუცილებელია ადგილობრივი პოლიციისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების თანამშრომლობა. დაბალი სახელფასო განაკვეთების მქონე ქვეყნებში, სამართლებრივი სისტემა კი საკმაოდ სუსტია.⁶⁷ ასევე რთულია, დამხმარე პირის განზრახვის დადასტურება.⁶⁸ როგორც წესი, ხელმძღვანელი პირები განაცხადებენ, რომ არაფერი იცოდნენ დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ყოველდღიურ „ნეიტრალურ“ ქცევებზე არგასავრცელებლად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ⁶⁹ განავითარა შემლუღული მიდგომა. კერძოდ, ხელმძღვანელი პირი დახმარებისთვის პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ მან იცის, რომ დანაშაულის ჩადენა ხდება, რამეთუ ამის ფონზე მისი ქცევა უკვე კარგავს „ყოველდღიურ ხასიათს“. იმ შემთხვევაში, თუ ის მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევდა დანაშაულის ჩადენას, დასჯადი ქმედების შეცნობილი რისკი იმდენად მაღალი უნდა ყოფილიყო, რომ მას უნდა გაეცნობიერებინა ქმედებისაკენ მიდრეკილი პირის ქცევა, ანუ, დანაშაულის ჩადენა „აუცილებლად დასაშვებად“ უნდა მიეჩნია.⁷⁰ შესაბამისი მტკიცებულების წარდგენა ამ დრომდე თითქმის შეუძლებელი იყო, რამეთუ ხელმძღვანელ პირებს არ ეკისრებოდათ მიმწოდებლებში რისკის მოძიების ვალდებულება. მიწოდების ჭაჭვის შესახებ კანონმა და ევროკავშირის დირექტივამ კი ეს ყველაფერი შეცვალა. კომპანიებმა უნდა განახორციელონ მასშტაბური რისკის მართვა, ასევე რისკის ანალიზი ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვითი თვალსაზრისით და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.

ეფექტური *რისკის მართვა* უმაღვე შეიცნობს არსებულ რისკებს. თუ მენეჯმენტისთვის უკვე ცნობილი რისკები არ შემცირდება, დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენილი რისკი იმდენად მაღალია, რომ ისინი „ეთანხმებიან“ აშკარად დანაშაულისკენ მიდრეკილი დამნაშავის ხელშეწყობას. მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი

67 Müller-Hoff, in: Krajewski/Oehm/Saage-Maaß (Hrsg.), Zivil- und strafrechtliche Unternehmensverantwortung für Menschenrechtsverletzungen, 2018, 223, 233 m.w.N.

68 Wittig, in: Krajewski/Oehm/Saage-Maaß (Hrsg.), Zivil- und strafrechtliche Unternehmensverantwortung für Menschenrechtsverletzungen, 2018, 195, 200.

69 საფუძვლიანად BGHSt 46, 107, 112.

70 BGHSt 46, 107, 113.

პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი პირები თავს შეიკავებენ „პრობლემური“ მომწოდებლების გამოყენებისგან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიებს ბევრად უფრო დაბალი სანქციები ემუქრებათ (§ 30, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი), ვიდრე მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონითა და ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმებია. მაქსიმალური ჯარიმის ოდენობა, განზრახ ქმედებებისას, შეიძლება იყოს მხოლოდ 10 მილიონი ევრო. დამატებით შეიძლება მოხდეს მოგების ჩამორთმევა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის § 17 ნაწ. 4). თუ კომპანიაში დანერგილი რისკების მართვა არაეფექტურია, ხელმძღვანელ პირებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ მათთვის რისკები უცნობი იყო, რითაც გამოირიცხება მათი მხრიდან დახმარების ჩადენა. თუმცა, ამ შემთხვევაში სათანადო წინდახედულობის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელმძღვანელი პირებისა და მათი კომპანიების მიმართ შეიძლება დაწესდეს მნიშვნელოვანი ჯარიმები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისთვის, რომელიც უკავშირდება სულ მცირე არაპირდაპირ განზრახვას. დასჯადობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დელიქტების გამო (განსაკუთრებით, გსსკ §§ 229, 222), რომელიც უკავშირდება წინდახედულობის ვალდებულების დარღვევას, ვერ მოხერხდება, ვინაიდან ამ ვალდებულებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ფულადი ჯარიმები და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის კონტექსტში კანონისა და დირექტივის გამოყენება ეწინააღმდეგება სამართლებრივი ინსტრუმენტების დაცვის მიზანს.

V. დასკვნა და სამომავლო პერსპექტივები

ევროკავშირის დირექტივა და მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონი არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, რამეთუ ისინი ავალდებულებენ მსხვილ კომპანიებს, ჩამოაყალიბონ რისკის მართვის სისტემა ადამიანის

უფლებებისა და გარემოს დაცვითი თვალსაზრისით. დედამიწის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზონის ერთიანი მოდელი ხელს შეუწყობს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვას ბიზნესისა და ადამიანის უფლებებისათვის. თუმცა, ყოველივე ეს ეხება კომპანიების მხოლოდ ნაწილს. *შინაარსობრივად*, ევროკავშირის მიწოდების ჯაჭვის შესახებ დირექტივა მნიშვნელოვნად სცილდება მიწოდების ჯაჭვის შესახებ გერმანულ კანონს. წინდახედულობის ვალდებულება უფრო მოცულობითია, რამეთუ არ ხდება მიწოდებლებს შორის განსხვავება და ასევე გათვალისწინებულია საქმიანი პარტნიორები. ცალსახად გათვალისწინებულია *სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა სრული კომპენსაციის სახით*. დირექტივით დადგენილი სანქციები უფრო მკაცრია. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმის გამო, რომ წინდახედულობის ვალდებულებები ძალიან ფართოა. საბოლოოდ, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ წარმოიქმნას კომპანიებისთვის არაპროპორციული წნეხი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მხრივ, ვერც მიწოდების ჯაჭვის შესახებ კანონსა და ვერც ევროკავშირის დირექტივაში შევხვდებით დათქმებს. მიუხედავად ამისა, ეს საერთო სურათზე მაინც იქონიებს ზეგავლენას. *ხელმძღვანელმა პირებმა* სამომავლოდ უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, მოსალოდნელია თუ არა, მიწოდებისა ჯაჭვებში, გარკვეული დარღვევები. საქმიანი პარტნიორების ჩართულობისას, როდესაც რისკის ანალიზი ავლენს ამ მხრის პრობლემების პოტენციალს, მოსალოდნელია ფულადი ჯარიმები და თავისუფლების აღკვეთა დახმარების გამო. კომპანიებსაც დაეკისრებათ ფულადი სახდელები. იმ შემთხვევაში, თუ რისკის მართვა ზოგადად არაეფექტურია, ასევე მოსალოდნელია მაღალი ფულადი სახდელები.

VOM DEUTSCHEN LIEFERKETTENGESETZ ZUR EU-LIEFERKETTENRICHTLINIE

Prof. Dr. Dr. h.c. **Martin Paul Waßmer**, Universität zu Köln

I. Einführung

საინტერესოა, რომ გერმანული სისხლის სამართალი ამ სპეციალურ შემთხვევებზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შებლულულ *ultima ratio* მიდგომას თანმიმდევრულად არ იცავს. მართლმსაჯულების არასწორად განხორციელების შემადგენლობა (გსსკ §339) მოითხოვს, რომ ზოგადად, თანამდებობის პირის მიღებული ნებისმიერი განზრახ არასწორი გადაწყვეტილება საქმის წარმართვისას ან გადაწყვეტისას დანაშაულად დაკვალიფიცირდეს. არსებითად, ეს არის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სპეციალური შემადგენლობა, რომელიც ეხება მოსამართლეებს.⁸ მოსალოდნელი მაღალი სასჯელის ზომის გამო, სასამართლო პრაქტიკა ცდილობს ამ შემადგენლობის ვიწრო განმარტებას. კერძოდ, „ყველა ობიექტური და სუბიექტური გარემოების მთლიანი შეფასების“ ფარგლებში, სასამართლო სვამს კითხვას, კონკრეტული საქმის განხილვისას, არის თუ

8 *Überhofen, Korruption und Bestechungsdelikte im staatlichen Bereich, 1999, S. 231.*

არა სახეზე დასჯადი „ელემენტარული სამართალდარღვევა“.⁹ ეს მიდგომა უკიდურესად კაზუსტურია და განაპირობებს იმას, რომ ძალიან რთულად პროგნოზირებადია, არის თუ არა ჩადენილი მართლმსაჯულების განზრახ არასწორად განხორციელების შემადგენლობა.

ამას გარდა, გერმანული სისხლის სამართალი აწესრიგებს აქტიური და პასიური მექთამეობის შემადგენლობებს, სადაც საკმარისია, ქრთამის მიმღების მხრიდან, სამსახურებრივი მოვალეობების ნებისმიერი სახის დარღვევა, როგორც საპასუხო ქმედება (§§ 332, 334 თანამდებობის პირთა მიმართ) ან კერძო კომპანიის წინაშე, მისი შრომითსამართლებრივი ვალდებულებების დარღვევა (§ 299 ნაწ. 1 Nr. 2, ნაწ. 2 Nr. 2). ეს ნიშნავს, რომ გერმანული სისხლის სამართალი დასჯად ქმედებად აწესრიგებს ნებისმიერი სახის სამსახურებრივი თუ შრომითსამართლებრივი ვალდებულებების დარღვევას, თუ პირის ქმედება სარგებლის დაპირების სანაცვლოდ ხორციელდება.

III. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება = კორუფცია?

ბოლოს განხილული საკითხი უშუალოდ უკავშირდება სხვა საკითხს, არის თუ არა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება კორუფციული დანაშაული. პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ კორუფციის რომელი ცნება დაედება მსჯელობას საფუძვლად. იმ შემთხვევაში, თუ ამოსავალი წერტილია არასამთავრობო ორგანიზაციის, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ცნობილი „catch all“ განმარტება, რომ კორუფცია არის „მინდობილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, პირადი სარგებლის მისაღებად“,¹⁰ მაშინ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გამოდის, როგორც კორუფციული შემადგენლობის ერთ-ერთი მაგალითი.¹¹ გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციისა და ევროკავშირის ანტიკორუფციული დირექტივის პროექტის ავტორები

9 ბოლო გადაწყვეტილება BGH NStZ 2024, 683 Rn. 20.

10 ფუნდამენტურად *Pope*, TI Source Book 2000, S. 1 Fn. 2 (<https://bsahely.com/wp-content/uploads/2016/10/the-ti-source-book-20001.pdf>).

11 *T. Zimmermann*, Das Unrecht der Korruption – Eine strafrechtliche Theorie, 2018, S. 88.

ამოდიან სწორედ ამ სულისკვეთებიდან.¹² გერმანულ სისხლის სამართლის დოქტრინაში, უპირატესობა მეტწილად ენიჭება კორუფციის უფრო ვიწრო კონცეფციებს.¹³ სტატიის ავტორმა განმარტა კორუფცია, როგორც არაკორექტული გადაწყვეტილების ყიდვა ან გაყიდვა.¹⁴ ამ ვიწრო გაგებით, კორუფცია არის სარგებელზე ორიენტირებული სპეციალური შემთხვევა, რომელიც მიზნად ისახავს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაკენ წაქეზებას.¹⁵ უკუდასკვნის სახით კი, უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ყოველი შემთხვევა, არ წარმოადგენს კორუფციას. არსებითად, ამ ტერმინოლოგიურ დავას, არ აქვს სისხლის სამართლის დოგმატიკისათვის არანაირი მნიშვნელობა. მიზეზი, თუ რატომ დაუჭირა ევროკავშირმა მხარი ამ ტერმინის ფართო განმარტებას, არის კომპეტენციურ-სამართლებრივი ბუნების; ანტიკორუფციული დირექტივის პროექტის ნაწილობრივ ძალიან ფართო კონტექსტუალური წინადადებები თავსებადია, მხოლოდ კორუფციის ექსტენსიური გაგების საფუძველზე, ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენციასთან, ტრანსნაციონალური მძიმე დანაშაულის კონტექსტში (ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი პუნქტი).¹⁶

IV. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კრიმინალიზაცია და კანონის უზენაესობა

დასასრულ, განვიხილავ კიდევ რამდენიმე საკითხს, რომლებიც

12 *EU-Kommission/Hoher Vertreter der Union für Außen- und Sicherheitspolitik, Gemeinsame Mitteilung über die Bekämpfung der Korruption v. 3.5.2023, JOIN(2023) 12 final, S. 2* (<https://t1p.de/21dgg>).

13 მიმოხილვა იხ. *Yumak*, *Korruptionsbekämpfung und das Bestechungsstrafrechtssystem*, 2020, S. 87 ff.; *T. Zimmermann* (Fn. 11), S. 100 ff.

14 *T. Zimmermann*, *Die Universalgrammatik der Korruptionsdelikte* (Teil 1), GA 2024, 301, 312.

15 *T. Zimmermann* (Fn. 11), S. 398.

16 შეად. *Kubiciel*, *Richtlinien-Entwurf zur Korruptionsbekämpfung: Eine Problemübersicht*, *jurisPR-StrafR*, 21/2023, Anm. 1.

აუცილებლად გასათვალისწინებელია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის შემოღების კონტექსტში.

1. კონცეფციის დადებითი მხარეები

განზრახ არასწორი თანამდებობრივი მოქმედების მოცულობითი კრიმინალიზაციის ამ კონცეფციის ყველაზე დიდი სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ არ რჩება არანაირი დასჯადობის ხარვეზი. აქტუალური მაგალითი ეხება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, დონალდ ტრამპის მიმართ ბრალდებას (მოხსნილია მისი ხელახალი არჩევის შემდეგ), მისი მცდელობის გამო, უკანონო მეთოდებით, აერიდებინა მისი გადარჩევა 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ზეწოლა ცალკეულ ხმოსნებზე, „იზოვონ“ ტრამპის ხმები, ან კიდევ მისი მცდელობა, დაერწმუნებინა მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი, მაიკ პენსი, გამოეცხადებინა არასწორი საარჩევნო შედეგები, შესაძლოა, ამერიკული სამართლით, განხილულ იქნას, როგორც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნაქმების მცდელობა.¹⁷ გერმანული სამართალი აქ ავლენს გარკვეულ ხარვეზს, რამეთუ, მის საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების დარღვევისაკენ ნაქმება დასჯადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაქმების საშუალებად გამოყენებულია სარგებლის დაპირება.

ბუნებრივია, განმარტებას საჭიროებს ის ფაქტი, თუ რატომ არის დასჯადი მშენებლობის უკანონო ნებართვის გაცემაზე ზეგავლენა, იმ შემთხვევაში, თუ ნებართვა გაცემულია ქრთამის გადახდის შედეგად, ხოლო, რატომ არ უნდა იყოს დასჯადი იმგვარი ქმედება, რომლის საფუძველიც არის „მხოლოდ“ პოლიტიკური კავშირის არსებობა ან პირადი სარგებლის მიღება. ეს, შესაძლოა, განხილულ იქნას, როგორც ბრძნული თავშეკავება და მიუთითებდეს სისხლის სამართლის დაქსაქსულობაზე. თუმცა, ვერ ვიხსენებ, რომ ამ საკითხზე გერმანიაში დისკუსია გამართულიყო.

გარდა ამისა, გერმანული სამართლებრივი სისტემისთვის მნიშვნელოვან

17 დაწვრ. იხ. *T. Zimmermann, USA v. Donald Trump – Zur Strafbarkeit lügnerischer Wahlergebnisanfechtung*, NSW 2024, 412, 419 ff. (<https://nsw-online.com/article/usa-v-donald-trump-zur-strafbarkeit-luegnerischer-wahlergebnisanfechtung/>).

სირთულეს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე სულ უფრო აღიარებული დანაშაულის - ზეგავლენით ვაჭრობის (ინგლ. trading in influence) დასჯადობის ახსნა. ეს დანაშაული გათვალისწინებულია, მაგალითად, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის მე-18 მუხლსა და ევროპარლამენტის დირექტივის პროექტის მე-10 მუხლში. დოგმატური თვალსაზრისით, საქმე ეხება სამრგოლიანი ნაქმების ჯაჭვის პირველ ორ რგოლს შორის უკანონო შეთანხმების კრიმინალიზაციას, რომელიც საბოლოოდ მიმართულია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისკენ.¹⁸ ჯაჭვის ბოლო რგოლი - ანუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებელი თანამდებობის პირი - ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობით საერთოდ არ არის მოცული, შესაბამისად, ეს არის მოსამზადებელი დანაშაული. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მომზადების დასჯადობა კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დასჯადია თავად ძირითადი ქმედება - ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

2. კონცეფციის უარყოფითი მხარეები

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის შემოღება უკავშირდება ორ ძირითად რისკს. პირველი, ეს არის ზედმეტი კრიმინალიზაციის საფრთხე, რამეთუ, თუ სამომავლოდ, შიდა სამსახურებრივი წესებიდან, ნებისმიერი განზრახ გადახვევა (თუნდაც ე.წ. „დრესკოდიდან“) დასჯადი იქნება,¹⁹ დანამდვილებით „დავხოცავთ ბელურებს ქვემეხებით“.²⁰

მეორე პრობლემას წარმოადგენს ნორმის განსაზღვრულობის საკითხი. რას ნიშნავს „სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევა“? ეს ტერმინი ფრიად დაუზუსტებელი და ბუნდოვანია. განსაკუთრებით, ეს ეხება შეფასებისა და დისკრეციის უფლებამოსილებას. გერმანიაში, კლასიკური

18 *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, wistra 2023, 353, 358.

19 ამასთან დაკავშირებით, მაგ. *Rönnau/Golombek*, Die Aufnahme des „Geschäftsherrenmodells“ in den Tatbestand des § 299 StGB, ZRP 2007, 193, 194 (zur arbeitsrechtlichen Pflichtverletzung bei § 299 StGB).

20 შუად. *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“? ZRP 2023, 211, 213 f.

მექრთამეობის დანაშაულების სფეროში, ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა იმის შესახებ, თუ როდის არის მოსყიდული დისკრეციული გადაწყვეტილება «მოვალეობის საწინააღმდეგო²¹ და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებობს კანონისმიერი რეგულაცია (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 332 ნაწ. 3 Nr. 2 და §334 ნაწ. 3 Nr. 2), მაინც სადავოა ცალკეული კომპონენტები – ე.წ. დაჩქარებული კორუფციის სფეროში (expediting payments).²² იგივე ეხება მართლმსაჯულებისათვის ხელშეშლის დელიქტის კონტექსტს, სადაც ჯერ კიდევ სადავოა, ქმნის თუ არა წმინდა საპროცესო დარღვევები ქმედების შემადგენლობას.²³

უფრო რთულად არის საქმე აღმასრულებელი და სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების კონტექსტში, რომლებსაც ახასიათებთ ფართო შეფასებითი ფარგლები. რა თქმა უნდა, ამ სფეროშიც შესაძლებელია განზრახი არასათანადო ქცევა - თუნდაც გავიხსენოთ თიურინგიის პარლამენტში უხუცესი პრეზიდენტის მიერ სხდომის წარმართვა.²⁴ თუმცა, ასეთი პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კრიმინალიზაცია - ირონიულად - თავად შეიცავს ბოროტად გამოყენების პოტენციალს. არ არის შემთხვევითი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების უმეტესობა, რომლებიც ეხება პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებულ სისხლის სამართლის საქმეებს, გამოტანილია პოლიტიკოსების მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო.²⁵

21 დაწვრ. იხ. *T. Zimmermann* (Fn. 11), S. 329 ff.

22 დაწვრ. *T. Zimmermann/Stolz*, Die Strafbarkeit von Beschleunigungskorruption am Beispiel von Airport Fast Lanes, JZ 2024, 233, 235 f.

23 მხოლოდ პროცედურული წესების დარღვევის არდასჯადობასთან მიმართებით იხ. მაგ. *Hoven/Rostalski*, Grenzen der Rechtsbeugung bei der Annahme von Befangenheit, NSTZ 2024, 65, 68 ff.; დისკუსიებთან მიმართებით იხ. *Kuhlen/T. Zimmermann*, in: *Kindhäuser/Neumann/Paeffgen/Saliger* (Hrsg.), *NomosKommentar StGB*, 6. Aufl. 2023, § 339 Rn. 75 ff.

24 შეად. ThürVerfGH NVwZ 2024, 1916.

25 EGMR NJW 2014, 283 (თვითნებურად წარმოებული სისხლის სამართლის საქმე უკრაინელი პოლიტიკოსის, იულია ტიმოშენკოს წინააღმდეგ, „თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების“ გამო, რუსეთთან დადებული გამზის მიწოდების ხელშეკრულება); EGMR NJW 2013, 2409 (უკრაინის ერთ-ერთი ყოფილი მინისტრის თვითნებური პატიმრობა).

3. საკითხის გადაწყვეტის გზები

დასასრულ, რამდენიმე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება, სამართლებრივი სახელმწიფოს გადმოსახედიდან, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მოწესრიგება.

პირველ რიგში, მსგავსი ქმედების შემადგენლობა, როგორც ამას აქვს ადგილი ცალკეულ სამართლებრივ სისტემებში, შეიძლება უკავშირდებოდეს ბიანის დადგომას, რის გამოც, „უწყინარი“ დარღვევები შეიძლება ამოვარდეს ქმედების შემადგენლობიდან. თუმცა, ეს სრულიად არაფერს ცვლის, რამეთუ ყველაზე ხშირად, არასწორი გადაწყვეტილებები განაპირობებს, რომელიმე მონაწილე პირის ინტერესების დარღვევას.

ქმედების შემადგენლობის დაკონკრეტების თვალსაზრისით, დიდად არც მაგალითად, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია გამოდგება, რომლის მიხედვით, ქმედების შემადგენლობა უკავშირდება სარგებლის მიღებას. რამეთუ, თითქმის ყოველთვის, არსებობს ვინმე, რომელიც იღებს გარკვეულ სარგებელს არასწორი თანამდებობრივი ქმედებიდან.²⁶ თუმცა, დასაშვებია, რომ ეს კონცეფცია შემოიფარგლოს სარგებლის მიმღებ პირთა წრის შემზღვევით, მაგალითად, ბოროტმოქმედი და მასთან დაახლოებული პირები.²⁷ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის შემოღების მიზანია, როგორც ამას ევროკავშირიც ისურვებდა, ე.წ. grand corruption-თან ბრძოლა, მაშინ გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ აღნიშნული შემადგენლობა უნდა შემოიფარგლოს ევროკავშირის დირექტივის პროექტიდან გამომდინარე, მხოლოდ „მაღალჩინოსანთა“ კატეგორიით (შეად. მუხლი 2, Nr. 8).

რესტრიქციული (შეზღუდული) შემადგენლობის შემოღების კიდევ ერთი ვარიანტია ის, რომ მოწესრიგდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დარღვევები. მსგავს მიდგომას ვხვდებით ესპანურ მოდელში, რომლის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ „თვინებური“ ან შეგნებულად არასწორი, მიზანმიმართული გადაწყვეტილებები.²⁸ ეს შემზღვევა მოდელი გერმანიაში გამოიყენება

26 შეად. T. Zimmermann (Fn. 11), S. 432.

27 ემხრობა El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann, wistra 2023, 353, 360.

28 ამასთან დაკავშ. იხ. F. Zimmermann (Fn. 2), 31, 41 f.

მართლმსაჯულების სფეროში არასწორი გადაწყვეტილებების მიღების დასჯადობის კონტექსტში.²⁹ იგივე ითქმის გაფლანგვის შემადგენლობაზეც, რომელიც შემოიფარგლება „ვალდებულებების სერიოზული დარღვევებით“.³⁰ ამ მარეგულირებელი სისტემის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს საიმედო კრიტერიუმი მძიმე და «ჩვეულებრივი» ვალდებულებების დარღვევის გასამიჯნად. პრობლემები, რომლებიც გერმანულ სისხლის სამართალს დღესაც აქვს ამ გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელებისას დარღვევებისა და გაფლანგვის შემადგენლობების მიმართ, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გამწვავდება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ ნორმის შემოღებით. ნებისმიერ შემთხვევაში, კვლავ მოგვიწევს მასიურად განსაზღვრულობის პრობლემასთან გამკლავება.

ავტორი ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, თუ რომელი გზაა საუკეთესო სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით. უნივერსალური მოდელი ნამდვილად არ ჩანს. შუალედური დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ გერმანულ სამართალში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობა განხილულ უნდა იქნას მხოლოდ ვიწრო განმარტებასთან კავშირში და მხოლოდ საჭარო და არა კერძო სექტორში. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის საბჭომ დირექტივის პროექტზე სამხმრივი მოლაპარაკებების წინ განაცხადა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობას არ გაავრცელებს კერძო სექტორზე და, გარდა ამისა, მას დაიყვანს მხოლოდ ფაქულტატურად შემოსადებელ დანაშაულამდე,³¹ სავარაუდოა, რომ გერმანია მომავალშიც შეინარჩუნებს თავის ფრაგმენტულ მიდგომას და უარს იტყვის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ზოგადი შემადგენლობის შემოღებაზე.

29 *Kuhlen/T. Zimmermann*, in: NK-StGB, § 339 Rn. 42, 59 ff.

30 *Waßmer*, in: Graf/Jäger/Wittig (Hrsg.), *Wirtschafts- und Steuerstrafrecht*, 3. Aufl. 2024, § 266 Rn. 133 ff.; *T. Zimmermann*, in: Minkoff/Sahan/Wittig (Hrsg.), *Konzernstrafrecht*, 2020, § 13 (Konzernuntreue), Rn. 95.

31 *Rat der Europäischen Union*, Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption v. 17.6.2024, 2023/0135(COD), S. 38 (<https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-11272-2024-INIT/de/pdf>).

KORRUPTIONSBEKÄMPFUNG DURCH DIE BESTRAFUNG VON „AMTSMISSBRAUCH“?

Prof. Dr. **Till Zimmermann**, Heinrich-Heine-Universität Düsseldorf

I. Einleitung

Vielen Rechtsordnungen ist ein allgemeiner Amtsmisbrauchstatbestand geläufig. Entsprechende Delikte finden sich z.B. in Art. 19 UNCAC, im österreichischen Strafrecht (§ 302 öStGB), in der Schweiz (Art. 312 schweizStGB) und in der Türkei (Art. 257 türkStGB). Demgegenüber kennt das deutsche Strafrecht keinen Amtsmisbrauchstatbestand. Die Frage, ob es sinnvoll oder zumindest möglich wäre, einen solchen Tatbestand einzuführen, ist in Deutschland bislang auch kaum diskutiert worden. Neben einer Handvoll apodiktisch-ablehnender Stellungnahmen¹ existiert aus neuerer Zeit lediglich eine vornehmlich rechtsvergleichende Untersuchung von *Frank Zimmermann*.²

Anlässlich eines aktuellen Vorschlags der Europäischen Kommission zur Verabschiedung einer Anti-Korruptionsrichtlinie³ sind allerdings sowohl der deutsche Gesetzgeber als auch die nationale Strafrechtswissenschaft dazu gezwungen, sind mit dieser Frage auseinanderzusetzen.⁴ Denn es ist

1 Vgl. *Fischer*, Strafbarkeit beim Dealen mit dem Recht?, HRRS 2014, 324, 327 Fn. 36 (online abrufbar unter www.hrr-strafrecht.de/hrr/archiv/14-09/index.php?sz=6); *Kaiser*, „Eine Hand wäscht die andere ...“ – Korruption in Politik und Wirtschaft, Universitas 1991, 1062, 1064.

2 *F. Zimmermann*, Ergänzung der Bestechungsdelikte durch einen Tatbestand des Amtsmisbrauchs?, in: T. Zimmermann (Hrsg.), *Korruptionsstrafrecht*, 2023, 31 ff. (www.nomos-elibrary.de/10.5771/9783748933304/korruptionsstrafrecht?page=1).

3 Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption v. 3.5.2023, COM(2023) 234 final, S. 4 (<https://t1p.de/322i9>)

4 S. dazu *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, *wistra* 2023, 353 ff.; *F. Zimmermann*, Hauptsache strafbar? Eine Bewertung des Kommissionsvorschlags für eine EU-Richtlinie zur Bekämpfung der Korruption (COM[2023] 234 final), *ZfStw* 2023, 383 ff. (https://www.zfistw.de/dat/artikel/2023_6_1588.pdf); *Friedrich/Gierok*, Mit wenig Maß, aber wichtigem Ziel – Der neue Vorschlag für eine EU-Korruptionsbekämpfungsrichtlinie, *NZWSt* 2024, 165 ff.; *Wegner*, in *Jishkariani/Waßmer* (Hrsg.), *Strafrecht und Menschenrechte, Deutsch-Georgischer Rechtsdialog, Tagungsband 2023, 2024*, S. 16 ff.

absehbar, dass die Richtlinie den EU-Mitgliedstaaten die Einführung eines Amtsmissbrauchstatbestandes anempfehlen wird. Der in deutscher Übersetzung mit „Amtsmissbrauch“ (engl.: „Abuse of functions“) überschriebene Art. 11 des Richtlinien-Entwurfs (im Folgenden: RiLi-E) hat folgenden Wortlaut:

Die Mitgliedstaaten treffen die erforderlichen Maßnahmen, um sicherzustellen, dass die folgenden Handlungen unter Strafe gestellt werden, wenn sie vorsätzlich begangen wurden:

(1) Handlungen, die ein öffentlicher Bediensteter in Ausübung seines Dienstes rechtswidrig durchführt oder unterlässt, um sich selbst oder einem Dritten einen ungerechtfertigten Vorteil zu verschaffen;

(2) Handlungen, die eine Person, die für ein Unternehmen im privaten Sektor in leitender oder sonstiger Stellung tätig ist, im Rahmen von wirtschaftlichen, finanziellen, geschäftlichen oder gewerblichen Tätigkeiten, unter Verletzung ihrer Pflichten durchführt oder unterlässt, um sich selbst oder einem Dritten einen ungerechtfertigten Vorteil zu verschaffen.

Der nachfolgende Text geht auf drei mit diesem Vorschlag zusammenhängende Themenkomplexe näher ein. Nämlich erstens, was „Amtsmissbrauch“ überhaupt ist und worin sein Unrecht liegt (dazu II.); zweitens, was dieser Unrechtstypus mit „Korruption“ zu tun hat (dazu III.); und drittens, wie ein solcher Straftatbestand ausgestaltet werden könnte, um rechtsstaatlichen Ansprüchen zu genügen (dazu IV.).

II. Das Konzept des „Amtsmissbrauchs“ als Straftat

1. Anwendungsbereich

Unter dem Begriff „Amtsmissbrauch“ versteht man üblicherweise die vorsätzlich inkorrekte Aufgabenerfüllung durch einen Funktionsträger innerhalb einer Organisation. Mit anderen Worten, es geht um Machtmissbrauch. Fraglich ist dabei zunächst, auf welche Art von Organisation sich das Konzept bezieht. Auf der Basis der deutschen Terminologie liegt es nahe, dass es ausschließlich um die Mitarbeiter *von Behörden* geht; denn der Begriff des Amtes bzw. derjenige des Amtsträgers (vgl. § 11 Abs. 1 Nr. 2 StGB) ist im deutschen Strafrecht für Personen reserviert, die als Bedienstete des Staates öffentliche Aufgaben wahrnehmen.

Dieses enge Verständnis liegt auch dem Amtsmissbrauchs-Mustertatbestand in Art. 19 der UNCAC zugrunde, der auf das Fehlverhalten von „Amtsträgern“ (engl.: „public officials“) beschränkt ist.

Indes wird der hier in Rede stehende Deliktstypus im internationalen Bereich zumeist als „Abuse of functions“ bezeichnet; die amtliche deutsche Übersetzung der Überschrift von Art. 19 UNCAC lautet dementsprechend auch nicht „Amtsmissbrauch“, sondern „Missbräuchliche Wahrnehmung von Aufgaben“. So verstanden, kann der titelgebende Machmissbrauch theoretisch auch in *privatwirtschaftlichen* Organisationen stattfinden. Es ist daher durchaus konsequent, dass der von der EU-Kommission vorgeschlagene Straftatbestand nicht auf staatliche Funktionsträger beschränkt ist, sondern auch Personen erfasst, die „im privaten Sektor“ tätig sind. Dass dieser Tatbestand in der amtlichen deutschen Übersetzung gleichwohl „Amtsmissbrauch“ heißt, ist insoweit irreführend.⁵ Festzuhalten ist jedenfalls, dass das Konzept des Amtsmissbrauchs bzw. der missbräuchlichen Aufgabenwahrnehmung nicht per se auf *staatliche* Funktionsträger begrenzt ist.

2. Unrecht des Amtsmissbrauchs

Staatsdiener sind „an Gesetz und Recht gebunden“ (Art. 20 Abs. 3 GG).⁶ Vorsätzlich falsches Amtshandeln stellt in den allermeisten Fällen ein Unrecht dar. Soweit ein Staatsdiener die ihm übertragene Aufgabe bewusst unrichtig wahrnimmt, verstößt er damit in aller Regel gegen seine beamten- oder dienstrechtlichen Pflichten zur rechtstreuen Aufgabenwahrnehmung;⁷ sind konkrete Bürger davon nachteilig betroffen, wird auch ein Verstoß gegen das Verwaltungsrecht hinzukommen. Ähnliches gilt hinsichtlich der Bediensteten im Privatsektor. Hier geht vorsätzliches Fehlverhalten typischerweise mit einem arbeitsrechtlichen Pflichtverstoß einher; sind zudem Dritte, etwa Kunden des Unternehmens, betroffen, können diesen gegenüber Vertragspflichten verletzt sein.

5 Vgl. *F. Zimmermann*, ZfStw 2023, 383, 389: „Etikettenschwindel“.

6 Auf EU-Ebene ist das Rechtsstaatsprinzip u.a. in Art. 2 S. 1 EUV verankert; näher *Payandeh*, Das unionsverfassungsrechtliche Rechtsstaatsprinzip, JuS 2021, 481 ff.

7 Vgl. § 36 BeamtStG, wonach Beamte „für die Rechtmäßigkeit ihrer dienstlichen Handlungen die volle persönliche Verantwortung [tragen]“.

Die aus strafrechtlicher bzw. kriminalpolitischer Sicht entscheidende Frage ist, ob es ausreicht, auf derartige Pflichtverstöße mit den Mitteln des Disziplinar- bzw. des Arbeitsrechts zu reagieren, oder ob zusätzlich eine strafrechtliche Sanktion angebracht ist. Länder, die einen allgemeinen Amtsmisbrauchstatbestand geschaffen haben, bejahen durch seine Schaffung diese Frage (zumindest implizit). Die deutsche Antwort fällt hingegen differenzierend aus. Eine vorsätzliche Amtspflichtverletzung ist, wie erwähnt, nach deutschem Recht nicht per se strafbar. Aber das Fehlen eines allgemeinen Amtsmisbrauchstatbestands darf nicht darüber hinwegtäuschen, dass auch in Deutschland vorsätzlich falsches Amtshandeln in zahlreichen Spezialregelungen sektoriell unter Strafe gestellt ist. Voraussetzung ist dabei jedoch jeweils, dass durch den Amtsmisbrauch ein bestimmtes, hinreichend gewichtiges rechtliches Interesse beeinträchtigt wird. Entsprechend werden bspw. durch Amtsträger begangene Körperverletzungen (§ 340 StGB), Strafreitelungen (§ 258a StGB) bzw. – spiegelbildlich – Verfolgungen Unschuldiger (§ 344 StGB), Geheimnisverletzungen (§§ 353b, 355 StGB), Falschbeurkundungen im Amt (§ 348 StGB) oder amtsmissbräuchliche Steuerhinterziehungen (§ 370 Abs. 3 S. 2 Nr. 2 AO) bzw. sonstige ungetreue Schädigungen der Staatskasse (§ 266 i.V.m. § 263 Abs. 3 S. 2 Nr. 4 StGB) pönalisiert.

Interessant ist, dass das deutsche Strafrecht diesen auf Spezialfälle missbräuchlichen Amtshandelns beschränkten Ultima ratio-Ansatz jedoch nicht konsequent durchhält. Zum einen bedingt der Tatbestand der Rechtsbeugung (§ 339 StGB), dass grds. jede vorsätzliche Fehlentscheidung eines Amtsträgers bei der Leitung oder Entscheidung einer Rechtssache als Verbrechen strafbar ist. Der Sache nach handelt es sich hierbei um einen Amtsmisbrauchstatbestand speziell für Richter.⁸ Vor allem aufgrund der hohen Strafdrohung ist die Rspr. allerdings um eine restriktive Interpretation des Rechtsbeugungstatbestands bemüht. Diese fragt im Rahmen einer „wertenden Gesamtbetrachtung aller objektiven und subjektiven Umstände“ danach, ob im Einzelfall ein strafwürdiger „elementarer Rechtsbruch“ gegeben ist.⁹ Dieser Ansatz ist freilich extrem kasuistisch und hat dazu geführt, dass sich in Bezug auf konkrete Einzelfälle nur schwer vorherzusagen lässt, ob eine Rechtsbeugung vorliegt oder nicht.

8 *Überhofen*, Korruption und Bestechungsdelikte im staatlichen Bereich, 1999, S. 231.

9 So zuletzt BGH NStZ 2024, 683 Rn. 20.

Des Weiteren kennt das deutsche Strafrecht Tatbestände der aktiven und passiven Bestechung, die als vereinbarte Gegenleistung des Bestochenen jegliche Verletzung seiner Dienstpflichten (§§ 332, 334 StGB in Bezug auf Amtsträger) bzw. seiner arbeitsvertraglichen Pflichten gegenüber einem Privatunternehmen (§ 299 Abs. 1 Nr. 2, Abs. 2 Nr. 2 StGB) ausreichen lassen. Das bedeutet also, dass das deutsche Strafrecht prinzipiell jegliche dienst- oder arbeitsrechtliche Pflichtverletzung für strafwürdig erachtet, soweit der Funktionsträger hierzu qua Vorteilsversprechen angestiftet worden ist.

III. Amtsmissbrauch = Korruption?

Der zuletzt angesprochene Punkt leitet über zu der Frage, ob ein Amtsmissbrauchstatbestand eigentlich ein Korruptionsdelikt ist. Die Antwort darauf hängt davon ab, welchen Korruptionsbegriff man zugrunde legt. Geht man mit der bekannten catch all-Definition der NGO Transparency International davon aus, dass unter Korruption jeder „Missbrauch anvertrauter Macht zum privaten Vorteil“ zu verstehen ist,¹⁰ dann handelt es sich beim Tatbestand des Amtsmissbrauchs geradezu um das Musterbeispiel eines Korruptionstatbestands.¹¹ Auch die Verfasser der UNCAC und des Entwurfs der EU-Antikorruptions-Richtlinie gehen von diesem Verständnis aus.¹² In der deutschen Strafrechtswissenschaft werden allerdings mehrheitlich engere Korruptionskonzepte befürwortet.¹³ *Verf.* hat Korruption als den Kauf bzw. Verkauf einer inkorrekten Entscheidung definiert.¹⁴ Nach diesem engen Verständnis ist Korruption der Spezialfall einer vorteilsgestützten Anstiftung zu einem Amtsmissbrauch.¹⁵ Im Umkehrschluss

10 Grundlegend *Pope*, TI Source Book 2000, S. 1 Fn. 2 (<https://bsahely.com/wp-content/uploads/2016/10/the-ti-source-book-20001.pdf>).

11 *T. Zimmermann*, Das Unrecht der Korruption – Eine strafrechtliche Theorie, 2018, S. 88.

12 *EU-Kommission/Hoher Vertreter der Union für Außen- und Sicherheitspolitik*, Gemeinsame Mitteilung über die Bekämpfung der Korruption v. 3.5.2023, JOIN(2023) 12 final, S. 2 (<https://t1p.de/21dgg>).

13 Überblicke bei *Yumak*, Korruptionsbekämpfung und das Bestechungsstrafrechtssystem, 2020, S. 87 ff.; *T. Zimmermann* (Fn. 11), S. 100 ff.

14 *T. Zimmermann*, Die Universalgrammatik der Korruptionsdelikte (Teil 1), GA 2024, 301, 312.

15 *T. Zimmermann* (Fn. 11), S. 398.

bedeutet das aber, dass nicht jeder Amtsmissbrauch etwas mit Korruption zu tun hat. In der Sache hat dieser Streit um Begriffe aber für die Strafrechtsdogmatik keine unmittelbare Bedeutung. Der Grund dafür, dass sich zuletzt die EU für das weite Begriffsverständnis ausgesprochen hat, dürfte übrigens kompetenzrechtlicher Natur sein; so sind nämlich die teils sehr weitreichenden Vorschläge in der Anti-Korruptions-Richtlinie nur auf der Basis eines extensiven Korruptionsverständnisses mit der EU-Kompetenz zur Strafrechtsharmonisierung in Bezug auf die grenzüberschreitender Schwerekriminalität (Art. 83 Abs. 1 AEUV) vereinbar.¹⁶

IV. Kriminalisierung von Amtsmissbrauch und Rechtsstaatlichkeit

Abschließend seien einige Punkte hervorheben, die es bei der Frage zu beachten gilt, ob man einen allgemeinen Amtsmissbrauchstatbestand einführen sollte.

1. Vorteile des Konzepts

Der größte Vorteil dieses Konzepts der umfassenden Kriminalisierung von vorsätzlich unrichtigem Amtshandeln liegt darin, dass keine Strafbarkeitslücken zurückbleiben. Ein aktuelles Beispiel betrifft die – nach seiner Wiederwahl allerdings fallengelassenen – Anklagen gegen den ehemaligen US-Präsidenten Donald Trump wegen des Versuchs, seine Abwahl im Jahr 2020 mit unlauteren Mitteln zu verhindern. Die Einwirkungen auf einige Wahlleiter, Wahlstimmen für Trump zu „finden“ oder sein Bemühen, den damaligen Vize-Präsidenten Mike Pence dazu zu überreden, ein unrichtiges Wahlergebnis zu verkünden, können nach US-Recht als Versuch der Anstiftung zum Amtsmissbrauch bestraft werden.¹⁷ Das deutsche Recht weist an dieser Stelle möglicherweise eine bedenkliche Leerstelle auf. Denn nach deutschem Recht sind Anstiftungen zu Dienstpflichtverletzungen eben

16 Vgl. *Kubiciel*, Richtlinien-Entwurf zur Korruptionsbekämpfung: Eine Problemübersicht, *jurisPR-StrafR*, 21/2023, Anm. 1.

17 Näher *T. Zimmermann*, USA v. Donald Trump – Zur Strafbarkeit lügnerischer Wahlergebnisanfechtung, *NSW* 2024, 412, 419 ff. (<https://nsw-online.com/article/usa-v-donald-trump-zur-strafbarkeit-luegnerischer-wahlergebnisanfechtung/>).

meistens nur dann strafbar, wenn als Anstiftungsmittel ein Vorteilsversprechen eingesetzt worden ist.

Es ist jedoch generell zumindest erklärungsbedürftig, warum etwa das Bestimmen bzw. Sich-bestimmen-Lassen zur Erteilung einer rechtswidrigen Baugenehmigung dann strafbar ist, wenn dies mit einer Geldzahlung bewirkt worden ist, das Bestimmen bzw. Sich-bestimmen-Lassen jedoch straflos bleibt, wenn die Anstiftung z.B. „nur“ auf politischer Verbundenheit oder dem Schulden eines persönlichen Gefallens beruht. Man mag dies als weise Zurückhaltung betrachten und insoweit auf die Fragmentarität des Strafrechts verweisen. Es ist allerdings nicht feststellbar, dass hierzu in Deutschland bisher eine nennenswerte Diskussion stattgefunden hätte.

Ferner bereitet es der deutschen Rechtsordnung erhebliche Schwierigkeiten, die Strafwürdigkeit des international zunehmend anerkannten Delikts der missbräuchlichen Einflussnahme (engl.: trading in influence) zu erklären. Dieses Delikt findet sich z.B. in Art. 18 UNCAC und Art. 10 des RiLi-E. Dogmatisch betrachtet handelt es sich dabei um die Kriminalisierung des Unrechtspakts zwischen den ersten beiden Gliedern einer dreiteiligen Kettenanstiftung, die an ihrem Ende auf die Begehung eines Amtsmissbrauchs durch einen Amtsträger gerichtet ist.¹⁸ Das letzte Glied der Kette – also der missbräuchlich handelnde Amtsträger – wird von dem Delikt der Einflussnahme allerdings gar nicht erfasst, sodass es sich um ein Vorbereitungsdelikt handelt. Die Pönalisierung der Vorbereitung eines Amtsmissbrauchs ist jedoch nur dann ohne größere kriminalpolitische Friktionen möglich, wenn auch die Haupttat – also der Amtsmissbrauch selbst – unter Strafe gestellt ist.

2. Nachteile des Konzepts

Die Einführung des Amtsmissbrauchsdelikts ist mit zwei erheblichen Risiken verbunden. Das erste ist die Gefahr einer Überkriminalisierung. Denn wenn künftig jedes vorsätzliche Abweichen von einer internen Dienstvorgabe – und sei dies nur

18 *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, wistra 2023, 353, 358.

die organisationsinterne Kleiderordnung¹⁹ – unter Strafe steht, wird ersichtlich mit Kanonen auf Spatzen geschossen.²⁰

Das zweite Problem ist dasjenige der hinreichenden Bestimmtheit. Was bedeutet eigentlich „Verletzung der Dienstpflicht“? Der Begriff ist höchst unscharf und vage. Die Frage stellt sich insbesondere bei Beurteilungs- und Ermessensspielräumen. Im Bereich der klassischen Bestechungsdelikte hat man in Deutschland um die Frage, wann eine gekaufte Ermessensentscheidung „pflichtwidrig“ ist, jahrzehntelang gerungen;²¹ und obwohl es dazu heute sogar eine gesetzliche Klarstellung gibt (in § 332 Abs. 3 Nr. 2 bzw. § 334 Abs. 3 Nr. 2 StGB), sind die Randbereiche dazu immer noch umstritten – etwa im Bereich der sog. Beschleunigungskorruption (expediting payments).²² Dasselbe gilt im Kontext des Delikts der Rechtsbeugung, bei dem nach wie vor umstritten ist, inwieweit auch bloße Verfahrensverstöße tatbestandlich sind.²³

Noch schwieriger ist die Feststellung im Bereich gubernativer und sonstiger politischer Entscheidungen, die wesensmäßig von einem breiten Beurteilungsspielraum geprägt sind. Selbstverständlich ist auch in diesem Bereich vorsätzliches Fehlverhalten denkbar – man denke nur an die Sitzungsführung des Alterspräsidenten im thüringischen Parlament.²⁴ Solche politischen Machtmissbräuche unter Strafe zu stellen ginge aber – ironischerweise – seinerseits mit einem Missbrauchspotenzial einher. Es ist kein Zufall, dass die meisten EGMR-Entscheidungen zu missbräuchlich politisch instrumentalisierten Strafverfahren gegen Verurteilungen von Politikern wegen Amtsmissbrauchs

19 Vgl. zu diesem Bsp. bereits *Rönnau/Golombek*, Die Aufnahme des „Geschäftsherrenmodells“ in den Tatbestand des § 299 StGB, ZRP 2007, 193, 194 (zur arbeitsrechtlichen Pflichtverletzung bei § 299 StGB).

20 Vgl. *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“?, ZRP 2023, 211, 213 f.

21 Nachzeichnung der Entwicklung bei *T. Zimmermann* (Fn. 11), S. 329 ff.

22 Näher *T. Zimmermann/Stolz*, Die Strafbarkeit von Beschleunigungskorruption am Beispiel von Airport Fast Lanes, JZ 2024, 233, 235 f.

23 Für Tatbestandslosigkeit bloßer Verfahrensverstöße etwa *Hoven/Rostalski*, Grenzen der Rechtsbeugung bei der Annahme von Befangenheit, NStZ 2024, 65, 68 ff.; zum Diskussionsstand *Kuhlen/T. Zimmermann*, in: *Kindhäuser/Neumann/Paeffgen/Saliger* (Hrsg.), *NomosKommentar StGB*, 6. Aufl. 2023, § 339 Rn. 75 ff.

24 Vgl. ThürVerfGH NVwZ 2024, 1916.

ergangen sind.²⁵

3. Lösungsvorschläge

Abschließend seien ein paar Vorschläge skizziert, wie sich die Kriminalisierung von Amtsmissbrauch rechtsstaatlich einhegen ließe.

Als erstes kann ein solcher Tatbestand, wie es in manchen Rechtsordnungen auch der Fall ist, an den Eintritt eines Schadens geknüpft werden, sodass im Wortsinn harmlose Bagatellen aus dem Tatbestand herausfallen. Allerdings ist damit wenig gewonnen. Denn die allermeisten Fehlentscheidungen führen bei irgendeinem Beteiligten zu einer nachteiligen Interessenbeeinträchtigung.

Keine nennenswerte Restriktionswirkung dürfte zudem von der – z.B. von der UNCAC favorisierte – Variante ausgehen, wonach der Tatbestand auf das Erlangen eines Vorteils abstellt. Denn fast immer gibt es irgendjemanden, der von der inkorrekten Amtsführung etwas hat, d.h. einen Vorteil erlangt.²⁶ Denkbar wäre es immerhin, dieses Konzept durch eine Verengung des Kreises der Vorteilsempfänger, z.B. auf den Täter selbst und ihm nahestehende Personen, zu reduzieren.²⁷ Zielt man mit dem Amtsmissbrauchstatbestand zudem, wie auch die EU dies andeutet, vornehmlich auf die sog. grand corruption ab, wäre daran zu denken, den Tatbestand auf die – im EU-Entwurf ohnehin bereits legaldefinierte – Gruppe der „hochrangigen Beamten“ (vgl. Art. 2 Nr. 8 RiLi-E) zu beschränken.

Eine weitere Möglichkeit der restriktiven Tatbestandsfassung besteht darin, nur besonders schwerwiegende Amtspflichtverletzungen zu erfassen. Nicht strafwürdige „kleinere“ Verstöße wären damit aus der Strafbarkeit herausgenommen. Dieses Regelungsmodell liegt etwa dem spanischen Amtsmissbrauchstatbestand zugrunde, wonach nur „willkürliche“ oder absichtliche Fehlentscheidungen strafbar sind.²⁸ Der Sache nach wird dieser Restriktionsansatz auch in Deutschland

25 S. EGMR NJW 2014, 283 (willkürlich geführtes Strafverfahren gegen die ukrainische Politikerin Julia Timoschenko wegen „Amtsmissbrauchs“ durch Abschluss von Gaslieferungsverträgen mit Russland); EGMR NJW 2013, 2409 (willkürliche Haft eines ukrainischen Ex-Ministers).

26 Vgl. T. Zimmermann (Fn. 11), S. 432.

27 Dafür El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann, wistra 2023, 353, 360.

28 Dazu F. Zimmermann (Fn. 2), 31, 41 f.

schon heute im Bereich der Rechtsbeugung bemüht.²⁹ Dasselbe gilt hinsichtlich des Tatbestands der Untreue, der vielfach auf „gravierende Pflichtverletzungen“ beschränkt wird.³⁰ Das Problem dieser Regelungstechnik besteht allerdings darin, dass es keinen verlässlichen Maßstab dafür gibt, schwere von „normalen“ Pflichtverletzung zu unterscheiden. Die Probleme, die das deutsche Strafrecht schon heute mit diesem Abgrenzungsproblem in Bezug auf die Tatbestände der Rechtsbeugung und der Untreue hat, dürften sich beim Amtsmissbrauch noch einmal verschärfen. In jedem Falle hätte man also weiterhin mit einem massiven Bestimmtheitsproblem zu kämpfen.

Der *Verf.* ist sich selbst noch nicht schlüssig, welcher Weg unter kriminalpolitischen Gesichtspunkten der beste ist. Ein Königsweg ist jedenfalls nicht zu erkennen. Das einstweilige Fazit zur Problematik besteht darin, dass im deutschen Recht ein Amtsmissbrauchstatbestand nur in Verbindung mit einem überzeugenden Restriktionsansatz und auch nur für den Bereich der Amtsträger, nicht aber für denjenigen der Privatwirtschaft überhaupt erwogen werden sollte. Angesichts der Tatsache, dass der Rat der EU im Vorfeld der Trilog-Verhandlungen zum Richtlinienentwurf bekannt gegeben hat, den Amtsmissbrauchstatbestand doch nicht auf den Privatsektor erstrecken und diesen zudem zu einem lediglich fakultativ einzuführenden Delikt herabzustufen zu wollen,³¹ steht es am ehesten zu vermuten, dass Deutschland auch künftig seinen fragmentarischen Ansatz beibehalten und auf die Einführung eines allgemeinen Amtsmissbrauchstatbestands verzichten wird.

29 S. Kuhlen/T. Zimmermann, in: NK-StGB, § 339 Rn. 42, 59 ff.

30 Waßmer, in: Graf/Jäger/Wittig (Hrsg.), Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 3. Aufl. 2024, § 266 Rn. 133 ff.; T. Zimmermann, in: Minkoff/Sahan/Wittig (Hrsg.), Konzernstrafrecht, 2020, § 13 (Konzernuntreue), Rn. 95.

31 Rat der Europäischen Union, Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption v. 17.6.2024, 2023/0135(COD), S. 38 (<https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-11272-2024-INIT/de/pdf>).

**სამოხელეო დანაშაულები ქართულ სისხლის
სამართალში და ევროკავშირის სამართლის კოტენციური
გავლენები კორუფციასთან ბრძოლის დირექტივის
პროექტის მიხედვით**

პროფ. დოქტ. **ბაჩანა ჯიშკარიანი**, საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი

სამოხელეო დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე, 39-ე თავში არის თავმოყრილი და აერთიანებს მთელ რიგ შემადგენლობებს, იქნება ეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ქრთამის აღება თუ სხვა. ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის მიზანია ორი სამართლებრივი სისტემის ძირითადი ასპექტების ერთმანეთთან შედარება, მათ შორის საერთაშორისო და ევროპული სამართლის გავლენების გათვალისწინებით, რათა ამის საფუძველზე ხელი შეეწყოს ქართული სისხლის სამართლის კიდევ უფრო მეტ ინტერნაციონალიზაციას. ყოველივე აქედან გამომდინარე, მოხსენება არ შეეხება სსკ-ის 39-ე თავში ასახულ ყველა დანაშაულს და მხოლოდ ცალკეული პრობლემატური ასპექტების შეჭერება მოხდება. მიმოვიხილავთ კორუფციასთან დაკავშირებულ ნორმებს. ასევე, ყურადღებას დაგუთმობთ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საკითხს, ვინაიდან ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული ახალი დირექტივის პროექტი სწორედ ამ დანაშაულთან მიმართებაში დისკუსიის საგანია. ნაშრომის შედარებით მოკლე ფორმატიდან გამომდინარე შევხებით არა დეტალურად ყველა დანაშაულს და მის ასპექტებს, არამედ მხოლოდ ცალკეულ საკითხებს ქართული და ევროპული სამართლის ჭრილში, რათა პერსპექტივაში დავინახოთ, თუ პოტენციურად რა ცვლილებების განხორციელება მოგვიწევს შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართალში.

II. ევროკავშირის ახალი დირექტივის პროექტი

ევროკომისიამ 2023 წლის 5 მაისს გამოაქვეყნა კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ახალი დირექტივის პროექტი,¹ რომლის ზოგადი საფუძველი იყო კორუფციასთან უკეთესი გამკლავება ევროკავშირისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით.² აღნიშნული ნაბიჯი იმით იქნა დასაბუთებული, რომ კორუფციის ტრანსნაციონალური მასშტაბიდან გამომდინარე, ცალკეულ სახელმწიფოებში გატარებულ ღონისძიებებთან შედარებით, ევროკავშირის ფარგლებში ახალი დირექტივის გამოცემა და ერთიანი სისხლისსამართლებრივი სტანდარტების დადგენა ბევრად უფრო ეფექტური იქნება.³ ევროკომისიის მოსაზრებით, გაერთიანების ფარგლებში აქამდე მოქმედი სისხლისსამართლებრივი მექანიზმები⁴ არ არის საკმარისი, არ მოიცავს ყველა რელევანტურ ქმედებას და შესაბამისად, განვითარებას საჭიროებს.⁵

პროექტის მიხედვით, რამდენიმე მიმართულების გამოყოფა შეიძლება, რომლებიც არის როგორც ზოგადი, არასისხლისსამართლებრივი ხასიათის და პრევენციას ემსახურება, ასევე კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სტანდარტების. ესენია, მაგალითად, საჯარო სექტორის გამჭვირვალობის მეტად უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ინტერესთა კონფლიქტების ჭრილში, საგანმანათლებლო ღონისძიებათა ხელშეწყობა კორუფციის მიმართ ცნობიერების ამაღლების გზით, კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური უწყებების შექმნა და მათი შესაბამისი რესურსებით აღჭურვა. რაც შეეხება წმინდა სისხლისსამართლებრივ საკითხებს, გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი დეფინიციების ჰარმონიზაცია ყველა წევრ სახელმწიფოში და აქამდე ჰარმონიზებული, კორუფციასთან დაკავშირებული შემადგენლობების სია ბევრად ფართოვდება. განსაკუთრებით საინტერესოა ის მომენტი, რომ კორუფცია საჯარო და კერძო სექტორში ერთ აქტშია მოხსენიებული. მასში საუბარია მთელ რიგ დანაშაულებზე: ქრთამის აღება, გაფლანგვა, ზეგავლენის მოხდენა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა და კორუფციასთან დაკავშირებული ქმედებებით შემოსავლის მიღება.

პროექტის შემუშავებამდე, ყველა წევრ სახელმწიფოში მოქმედი შესაბამისი ნორმების ანალიზი მოხდა და დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი

დეფიციტებია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, გაფლანგვასა და ზეგავლენით ვაჭრობასთან მიმართებით. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები კი (ზოგან ისჯება, ზოგან არა, ზოგან სხვა ნორმის ქვეშ არის ნაგულისხმევი) ხელს უშლის ტრანსნაციონალური შემთხვევების დროს სისხლისსამართლებრივ დევნას.⁶

ახლა კი მოკლედ შეგვხოთ დირექტივის პროექტით გათვალისწინებულ ცალკეულ შემადგენლობებს, რათა მომდევო თავში ისინი უფრო დეტალურად შევადაროთ ქართულ სისხლისსამართლებრივ რეგულაციებს. მე-7 მუხლი ეხება საჯარო სექტორში, განზრახ ჩადენილი, მექრთამეობის საკითხს და მასში გაერთიანებულია საჯარო მოსამსახურის მხრიდან ქრთამის აღება და მისთვის ქრთამის მიცემა. დანაშაული დამთავრებულია მოთხოვნის ან შეთავაზების გაკეთების მომენტიდანვე. იქვე, მე-8 მუხლი, უკვე კერძო სექტორში კორუფციის საკითხზე გადადის. მასშიც, როგორც მომსყიდველის, ასევე მოსყიდულის დასჯადობის ვალდებულებაზეა საუბარი. უშუალოდ ქმედება საწარმოში ხელმძღვანელის ან სხვა ფუნქციის მატარებელმა პირმა უნდა განახორციელოს ან ის მის მიმართ უნდა განხორციელდეს, რათა მან თავისი ვალდებულებების დარღვევით რაიმე მოქმედება ან უმოქმედობა ჩაიდინოს.

საინტერესოა დირექტივის პროექტის მე-9 მუხლი, რომელიც გაფლანგვას ეხება. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს იმის აღნიშვნა, რომ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მუხლის სახელწოდება არ უნდა გავაიგივოთ წევრ სახელმწიფოებში არსებულ მსგავს ტერმინებთან. სხვადასხვა სახელმწიფოში, თავიანთი სისხლისსამართლებრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ბევრი ტერმინი, სიტყვასიტყვით იდენტური შეიძლება იყოს, მაგრამ შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული.⁷ დირექტივების გამოცემის გზით, ევროკავშირის პარლამენტი და საბჭო წევრ სახელმწიფოებს მხოლოდ ჰარმონიზაციის მინიმალურ სტანდარტებს უდგენენ და გამოყენებული ტერმინოლოგიაც უფრო ზოგადია.⁸ სხვა შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს პირდაპირ მოუწევდათ ყველა დანაშაულის ერთი-ერთში გადატანა შიდა კანონმდებლობაში, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა მათ სისხლის სამართალთან ფრთხილად

მოპყრობის პრინციპთან.⁹ წვერი სახელმწიფოების სამართლისადმი პატივისცემის პრინციპს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მეორე ნაწილიც ადგენს.¹⁰

შესაბამისად, თავიდანვე რომ ავიცილოთ გაუგებრობები ქართულ სისხლის სამართალთან მიმართებით, ევროკავშირის განსახილველ დოკუმენტში გამოყენებული გაფლანგვის ტერმინი, ქართული სისხლის სამართლის გადმოსახედიდან, უფრო მითვისებასა და გაფლანგვის ერთიანობას ქმნის საჯარო და კერძო სექტორში,¹¹ ვინაიდან ღირექტივის პროექტის მე-9 მუხლის მიხედვით, დასჯადია, როგორც საჯარო სექტორში დასაქმებული პირის, ასევე კერძო სექტორში ხელმძღვანელობითი ან სხვა უფლებამოსილებების მატარებელი პირის მიერ მისთვის მინდობილი, მის განკარგვაში მყოფი ქონების განზრახ, არამიმზობრივად გამოყენება, მითვისება ან გაცემა.

პირველად, სისხლისსამართლებრივი შინაარსის ღირექტივის ფარგლებში, ევროკავშირის დონეზე ჩნდება ზეგავლენით ვაჭრობის ცნებაც. მე-10 მუხლი, ორივე მხარის, როგორც ზეგავლენით მოვაჭრის, ასევე მისთვის მიმმართველი პირის სანქცირების ვალდებულებას ითვალისწინებს. ქმედება განზრახ უნდა იყოს ჩადენილი და არა აქვს მნიშვნელობა, შედეგი გამოიღო თუ არა მან (მუხ. 10, ნაწ. 2). ისევ ტერმინოლოგიურ საკითხს თუ მივუბრუნდებით, ღირექტივის პროექტის გერმანულ ვერსიაში მისი სათაური იკითხება, როგორც „აკრძალული ზეგავლენის მოხდენა“ (Unerlaubte Einflussnahme), ინგლისური ვერსია „ზეგავლენით (ან შეიძლება ტერმინი „გავლენაც“ გამოვიყენოთ) ვაჭრობითა“ (Trading in influence) დასათაურებული. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე გულისხმობს, ძალიან მოკლედ რომ

9 ეს პრინციპი გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც ახსენა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში - BVerfG NJW 2009, 2274.

10 დაწვრ. იხ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 10. Aufl., 2022, § 9 Rn. 9.

11 დაწვრ. მითვისება/გაფლანგვასთან დაკავშ. იხ. *ჭიშკარიანი*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, 2024, აბზ. 376 და შემდეგი. ასევე, *დვალაიძე*, კომენტარებში: დვალაიძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2023, 162 და შემდეგი.

შევაჯამოთ, ნებისმიერი სახის უპირატესობის შეთავაზებას ან ასეთი დაპირების მიღებას, რათა ზეგავლენა მოხდეს სახელმწიფო მოხელეზე. საუბარია რეალურად შუამავლის მსგავს პერსონაზე. მაგალითად, ა მიმართავს ბ-ს, რათა მან ზეგავლენა მოახდინოს მის ნაცნობ მოხელე გ-ზე გარკვეული დოკუმენტის მისაცემად. ამის სანაცვლოდ კი ბ ა-სგან საჩუქარს მიიღებს. ასეთ დანაშაულს ქართული სისხლის სამართლის კოდექსი, უკვე დიდი ხანია იცნობს, თუმცა, ქართულ სამართალთან შედარებით ანალიზს მომდევნო თავში მივუბრუნდებით.

ღირექტივის პროექტში საკმაოდ ფართოდ არის ჩამოყალიბებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობა (მუხ. 11). როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში, დასაქმებული პირის მიერ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის მისაღებად განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, საკუთარი ვალდებულებების დარღვევით, უკვე დამთავრებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ქმედების განხორციელებისთანავე. რამე კონკრეტული შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი.

ევროკომისიამ, ახალი ღირექტივის პროექტში, კონკრეტულად აქ განხილულ დანაშაულებთან დაკავშირებით, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის დასჯადობის ვალდებულებაც გაითვალისწინა. კერძოდ, მე-12 მუხლის მიხედვით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სათანადო სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პირადად თუ სხვა პირების მეშვეობით მიმართავენ მუქარას, ძალადობას ან დაპირებას, რათა გავლენა მოახდინონ მოწმის ჩვენებაზე ან ზოგადად მტკიცებულებების მოპოვებაზე (მუხ. 12, ნაწ. 1). დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ასევე მართლმსაჯულების სფეროში დასაქმებულ პირებზე ზეწოლა ფიზიკური ძალადობის ან დამუქრების სახით (მუხ. 12, ნაწ. 2).

კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარე, ღირექტივის პროექტი კიდევ უფრო შორს მიდის და კორუფციული დანაშაულების საფუძველზე მოპოვებულ ქონებასაც მოიცავს. კერძოდ, ყველა ის საჯარო მოსამსახურე უნდა დაისაჯოს, რომელის განზრახ, წინასწარი შეცნობით, შეიძენს, ფლობს ან სარგებლობს ზემოთ განხილული დანაშაულების ჩადენის საფუძველზე, სხვის მიერ მოპოვებული

ქონებით (მუხ. 13) და ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, ის უშუალოდ ჩართული იყო თუ არა წინარე დანაშაულის ჩადენაში.

ამავდროულად, პროექტი, წევრ სახელმწიფოებს თავიანთ სისხლის სამართალში მთელი რიგი დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებასაც ავალდებულებს. დამამძიმებელია მაგ. დანაშაულის ჩადენა მაღალი რანგის მოხელის მიერ, მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა, მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება და ა.შ. (მუხ. 18, ნაწ. 1). შემამსუბუქებელ გარემოებად კი ჩაითვლება მაგ. გამოძიებასთან თანამშრომლობა (მუხ. 18, აბზ. 2).

III. ევროპული სამართლის არსებული გავლენები ქართულ სისხლის სამართალზე

ქართული სისხლის სამართალი, უკვე დიდი ხანია, საბჭოთა კავშირის დაშლიდანვე მალე მოექცა საერთაშორისო გავლენების ქვეშ და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მთლიანობაში შეიცვალა სახელმწიფო იდეოლოგია. წინა პლანზე წამოვიდა კერძო სექტორის მნიშვნელობა. სახელმწიფო უკვე აღარ ითვლებოდა სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირატეს ინტერესად და მთლიანობაში, მიდგომები სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის მიმართ შეიცვალა. მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, უფრო მკაცრად იცავდა სახელმწიფო საკურთების ინტერესს, ვიდრე პირად საკურთებას¹². 1999 წელს მიღებული, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი კი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ასეთ ხისტ დიფერენცირებას არ ახდენს.

ეს პირდაპირ ეხება ჩვენს მიერ განსახილველ საკითხსაც, ვინაიდან სამოხელეო დანაშაულების ჩადენის შედეგად, ზიანი აღგება არა მხოლოდ საჯარო ინტერესებს, არამედ ცალკეული პირების ინტერესებსაც.

ევროპულ სამართლის გავლენები ევროგაერთიანების ჭრილში აქტუალური გახდა 1996 წლიდან, როდესაც საქართველოსა და აღ-

12 *ლევკეიშვილი*, წიგნში: *ლევკეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, წიგნი პირველი, 2023, 27.

ნიშნულ გაერთიანებს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.¹³ მოგვიანებით ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა და 2014 წელს დაგვირგვინდა ასოცირების შეთანხმებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის.¹⁴

ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, ბუნებრივია, ევროსაბჭოს ფარგლებშიც მიმდინარეობდა და ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, თუმცა, ეს გავლენები შედარებით სხვა სპეციფიკისაა, ვიდრე ეს ევროგაერთიანების სამართლის შემთხვევაშია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, სისხლის სამართლის სფეროში ევროგაერთიანების მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტების იმპლემენტაცია საკმაოდ ინტენსიურად ხორციელდება.

ჩვენს მიერ განსახილველი საკითხის თვალსაზრისით, თუნდაც ასოცირების ხელშეკრულების მე-17 მუხლია საინტერესო, სადაც პირდაპირ არის ნახსენები, რომ მხარეები ითანამშრომლებენ, მათ შორის, კორუფციასთან ბრძოლის, თანხების გაფლანგვის ან დოკუმენტების გაყალბების მიმართულებით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ევროდირექტივების თუ სხვა სტანდარტების ასახვა ამ შეთანხმების დადებამდეც ხდებოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ევროკომისიის კორუფციასთან ბრძოლის ახალი დირექტივის პროექტიც, მაღალი ალბათობით, გავლენებს მოახდენს ქართულ სისხლის სამართალზეც მისი ამ შინაარსით თუ სხვანაირად მიღების შემთხვევაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოკლედ გავაანალიზოთ, თუ რა კუთხით შეიძლება აისახოს ეს გავლენები ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში. ან საკითხი შეიძლება სხვანაირადაც დაისვას - ხომ არ იცნობს ქართული კანონმდებლობა უკვე ისედაც იმ დანაშაულის შემადგენლობებს, რაზეც პროექტშია საუბარი?

13 ABI. L 205, 4.8.1999, 3. დანვრ. იხ. *კიშკარიანი*, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, მეორე გამოცემა, 2018, აბზ. 1 და შემდეგი.

14 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (ნანახია 4.9.2024). დანვრ. იხ. *კიშკარიანი*, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, მეორე გამოცემა, 2018, აბზ. 19 და შემდეგი.

IV. ცალკეული სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები ქართულ სისხლის სამართალში და პერსპექტივები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავი, რომელიც მთლიანად სამოხელეო დანაშაულებს ეხება, შემდეგ დანაშაულებს იცნობს: მუხ. 332 – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მუხ. 333 – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მუხ. 334 – ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, მუხ. 335 – განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება, მუხ. 337 – სამენარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა, მუხ. 338-ქრთამის აღება, მუხ. 339 – ქრთამის მიცემა, მუხ. 339¹ – ზეგავლენით ვაჭრობა, მუხ. 340 – კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, მუხ. 341 – სამსახურებრივი სიყალბე, მუხ. 342 – სამსახურებრივი გულგრილობა, მუხ. 342¹ – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა.

როგორც ვხედავთ, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი, სამოხელეო დანაშაულების თვალსაზრისით საკმაოდ ყოვლისმომცველია და პირდაპირ თუ ირიბად, დიდწილად ყველა იმ ძირითად დანაშაულს ეხება, რომლებიც დირექტივის პროექტში არის ნახსენები. განსაკუთრებით საინტერესოა დირექტივის პროექტის მე-11 მუხლში ჩადებული **უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება** საჯარო და კერძო სექტორში. ამ დანაშაულებს ქართული კანონმდებლობა, უკვე კარგა ხანია იცნობს სსკ-ის 332 (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სფეროში) და 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება კერძო სექტორში) მუხლების სახით. თუმცა, გვხვდება გარკვეული განსხვავებები ქართულ და ევროპულ მიდგომებს შორის. კერძოდ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დირექტივის პროექტის მიხედვით, საჯარო, ასევე კერძო სექტორში, დასაქმებული პირის მიერ ჩადენილი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, უკვე დამთავრებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ქმედების განხორციელებისთანავე. რამე კონკრეტული შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე და 332-ე მუხლები კი შედეგის დადგომის სახით მოითხოვს მნიშვნელოვან ზიანს (220-ე მუხლის შემთხვევაში) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის,

საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევის სახით (332-ე მუხლის შემთხვევაში). მაშასადამე, დირექტივის პროექტის ევროკავშირის დონეზე საბოლოოდ მიღების შემთხვევაში, გარკვეული აცდენები წარმოიშობა ორ სამართლებრივ სისტემას შორის და ჰარმონიზაციის შემთხვევაში, აღნიშნული შემაღენლობების ფორმალურ დანაშაულებად გადაკეთება მოგვიწევს.

ამის შედეგად, კიდევ უფრო გაფართოვდება ამ ნორმების გამოყენების ფარგლები, რაც პრაქტიკაში მეტი პრობლემის წინაშე დაგვაცენებს, შედარებით სუსტი დემოკრატიის ქვეყნებში. საქართველოში, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საკითხი, როგორც ასეთი, ხშირად ხდება პოლიტიკური დისკუსიების საგანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ხელისუფლების შეცვლის შემდეგ წინა ხელისუფლებების მალაჩინოსანი წევრების პასუხისგებაში მიცემისას. კონკრეტული საქმეების პოლიტიკური შეფასების გარეშეც ცხადია, რომ ნორმების მოქმედი რედაქციები ისედაც საკმაოდ ფართოა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, კიდევ უფრო სადავოს გახდის ამ შემაღენლობებს. მყიდვე სამართალდამცავი სისტემების პირობებში მსგავსი ე.წ. რეზინის ნორმები უფრო სახიფათო იარაღი ხდება ხელისუფლების ხელში.

რას ნიშნავს საერთოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ქართულ სისხლის სამართალში? როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა ნორმა არსებობს, იქნება ეს ქრთამის აღება, სამსახურებრივი გულგრილობა, სამსახურებრივი სიყალბე თუ სხვა. შესაბამისად, ეს ნორმები უფრო სპეციალური ნორმებია. მაშასადამე, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ისეთი ქმედებები მოიაზრება, რომლებიც, როგორც წესი, არცერთ სპეციალურ ნორმაში არ ექცევა და მის მიღმა რჩება. გარკვეულწილად, სსკ-ის 332-ე მუხლი სარემერგო ნორმადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, რათა მნიშვნელოვანი სამოხელეო დარღვევები არ დარჩეს დაუსჯელი. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დროს მოხელე არ სცილდება თავისი კომპეტენციის ფარგლებს, მაგრამ ამავდროულად, ის საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს (მაგ. პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის

არდაწყება ვინმეს ნაცნობობის გამო).¹⁵ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევად მიიჩნევა ასევე არამიზნობრივი ხარჯების განევაც (მაგ. ისეთი ნივთის შეძენა, რომელიც ორგანიზაციის მიზნებს არ შეესაბამება).¹⁶ თუმცა, სავარაუდო დარღვევები ამომწურავად არც პრაქტიკასა და არც დოქტრინაში დაკონკრეტებული არ არის და სწორედ ეს იწვევს ნორმის ბოროტად გამოყენების რისკებს. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს არამიზნობრივ ხარჯად საჯარო ან კერძო ორგანიზაციაში, საკმაოდ სადავოა. თუ სახელმწიფოს დაჭირდება რეპრესიული ხასიათის გამოჩენა, შეუძლია ნებისმიერ ხელმძღვანელ პირს მოედავოს იმაში, თუ მაგალითად, რატომ დახარჯა თანხები ე.წ. კორპორატიულ გეიმში, მაშინ როდესაც მსგავს სხვა საქმეზე არ განახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

დირექტივის იმპლემენტაცია ასევე პრობლემას გამოიწვევს კერძო სექტორში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თვალსაზრისით. დირექტივის ნორმა იმდენად ფართოდ არის ჩამოყალიბებული, რომ მასში ისეთი ქმედებაც კი შეიძლება მოექცეს, როგორიცაა, მაგ. რესტორნის მიმტანის მიერ ფულის არგამორთმევა თავისი მეგობრისთვის, რის შედეგადაც რესტორანს შემოსავალი დააკლდება. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლი დასჯადობის წინაპირობად მნიშვნელოვანი ზიანის დადგომას მოითხოვს, დირექტივის იმპლემენტაციის შემთხვევაში ეს ბარიერი მოიხსნება და ქმედების განხორციელებისთანავე, შედეგის დადგომის გარეშეც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.¹⁷ გარდა ამისა, სსკ-ის მოქმედი რედაქცია დანაშაულის

15 *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წ. 2, ნაწ. მეორე, 367, 2020.

16 *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წ. 2, ნაწ. მეორე, 368, 2020.

17 შეიძლება ამ კაზუსთან მიმართებით გაფლანგვის შემადგენლობაზეც გვემსჯელო, მაგრამ ეს შორს წავიყვანს. ამ თვალსაზრისით კრიტიკულად აფასებენ დირექტივას ასევე *Wegner/Zimmermann*, *Stellungnahme zum Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption, zur Ersetzung des Rahmenbeschlusses 2003/568/JI des Rates und des Übereinkommens über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind, sowie zur Änderung der Richtlinie*

სუბიექტად მიიჩნევს სანარმოში ან ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს,¹⁸ დირექტივის პროექტი კი საუბარია ხელმძღვანელობითი ან სხვა პოზიციაზე მომუშავე პირზე. მაშასადამე, ამსრულებელთა წრეც გაფართოვდება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დირექტივის ფორმატში ახალია, არის **ზეგავლენით ვაჭრობა** (მუხ.10). ეს დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ევროსაბჭოს კორუფციის შესახებ კონვენციის საფუძველზე, 2006 წელს აისახა. აქედან გამომდინარე, კორუფციასთან ბრძოლის შესახებ დირექტივის მიღების შემთხვევაში ქართულ სამართალში ამ თვალსაზრისით რამე განსაკუთრებული ცვლილება არ იქნება შესატანი. ეროვნული კანონმდებლობა ისედაც უსწრებს ევროკავშირის კანონმდებლობას დროის თვალსაზრისით. დეტალურად არ შეგუდგებით აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის ანალიზს, მაგრამ ის მოკლედ შეგვიძლია გავმიჯნოთ ქრთამის აღებისგან. მაგ. მოხელე შეიძლება სხვა პირს პირდებოდეს თავისი პირადი, ახლობლური ურთიერთობების გამოყენებით სხვადან მის დასაქმებას და ამის სანაცვლოდ ითხოვდეს გარკვეულ თანხას.¹⁹ ეს იქნება ზეგავლენით ვაჭრობა. უშუალოდ საკუთარი სამოხელეო უფლებამოსილების, ავტორიტეტის გამოყენებით სხვისი დასაქმების კი შემთხვევაში გვექნებოდა მოხელის მიერ ქრთამის აღება.

ქრთამის აღებისა და მიცემის საკითხს რაც შეეხება საჯარო სექტორში, ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის 338-ე (ქრთამის აღება) და 339-ე (ქრთამის მიცემა) მუხლებში არის მონქსრიგებული. აღსანიშნავია, რომ დირექტივის პროექტის მე-7 მუხლი, საკმაოდ მოკლედ და ზოგადად არის ჩამოყალიბებული, განსხვავებით ქართული რეგულაციისგან. დირექტივაში საუბარია საჯარო მოხელის მიერ პირადად

(EU) 2017/1371 des Europäischen Parlamentes und des Rates, 9 - <https://www.bundestag.de/resource/blob/976924/0e3a309650bec85dcbcacdd8c4c9d3f8/Stellungnahme-Wegner.pdf> (ნანახია 7.9.2024).

18 *მამულაშვილი/თოდუა*, წიგნი: *ლევკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წ. 1, ნაწ. მეორე, 246, 2023.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება #497აპ.-16.

ან სხვისი მეშვეობით თავისთვის ან სხვისთვის ნებისმიერი უპირატესობის მოთხოვნაზე, მაშინ, როდესაც სსკ-ის 338-ე მუხლი არამართლზომიერ უპირატესობაზე საუბრობს. მაშასადამე, გარკვეულწილად გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც დირექტივის პროექტთან შედარებით ქართული რეგულაცია უფრო კონკრეტულია და ავინროვებს პასუხისმგებლობის ფარგლებს. დირექტივის ასეთი ზოგადი რედაქციით იმპლემენტაციის შემთხვევაში, წარმოიქმნება რისკები, რომ მაგ, პარლამენტის წევრი თუ შეუთანხმდება სხვა პარტიის პარლამენტის წევრს, რომ მის კანონპროექტს მხარს დაუჭერს, თუ ისიც აქეთ დაუჭერს მის სხვა კანონპროექტს მხარს, მოექცევა დასჯადობის ქვეშ (სსკ მუხ. 338, ნაწ. 2, ქვეპ. ა), ვინაიდან გამოვა, რომ მან მიიღო მეორე პირისგან უპირატესობა, სარგებელი ხმის მიცემის სახით თავისი ხმის სანაცვლოდ. ასეთი დასჯადობა კი პოლიტიკურ პროცესებთან შეუთავსებელი იქნებოდა. შესაბამისად, მომავალში დირექტივის ქართულ სამართალში იმპლემენტაცია ამ თვალსაზრისითაც გამოიწვევს პრაქტიკაში ვინრო განმარტებების გაკეთების აუცილებლობას, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, პოლიტიკურ პროცესებს შეეშლება ხელი.²⁰

დირექტივის პროექტი ცალკე მუხლის (მუხ. 12) სახით ეხება **მართლ-მსაჯულებისთვის ხელის შეშლის საკითხსაც**. ამაში იგულისხმება, მაგ. პირადად ან სხვისი მეშვეობით მონმეგემ შემოქმედება მუქარის ან დაპირების სახით, რათა მან კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით ცრუ ჩვენება მისცეს. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მსგავს სპეციალურ, მხოლოდ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებულ მუხლს არ შეიცავს, თუმცა, სსკ-ის 372-ე მუხლი ისედაც ეხება შემოქმედების განხორციელებას გამოსაკითხ პირზე, მონმეგემ, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე და მისი გავრცელება უპრობლემოდ შეიძლება დირექტივაში ნახსენებ დანაშაულებებზე. იგივეს თქმა შეიძლება მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულ პირზე (მაგ. გამომძიებელი) მსგავსი შემოქმედების მოხდენაზეც.

20 იგივე პრობლემის წინაშე დადგება გერმანული სისხლის სამართალიც. იხ. *Wegner/Zimmermann, Stellungnahme, 3* - <https://www.bundestag.de/resource/blob/976924/0e3a309650bec85dcbcacdd8c4c9d3f8/Stellungnahme-Wegner.pdf> (ნანახია 7.9.2024).

V. დასკვნა

მთლიანობაში, დადებითად შეიძლება შეფასდეს ევროკომისიის მცდელობა, რომ უფრო აქტიური გახდეს კორუფციასთან ბრძოლა საჯარო და კერძო სექტორში, ერთიანი, მინიმალური სტანდარტების დადგენის სახით ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. თუმცა, როგორც ვხედავთ, ამას, ცალკეულ შემთხვევებში, გარკვეული სამართლებრივი რისკები ახლავს თან და კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება შეიძლება გამოიწვიოს არამხოლოდ წევრი სახელმწიფოების, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. შესაბამისად, იმედია, დირექტივის პროექტი საბოლოოდ მიღებამდე დაიხვეწება.

AMTSDELIKTE IM GEORGISCHEN STRAFRECHT UND POTENZIELLER EINFLUSS DES EU-RECHTS NACH DEM RICHTLINIENENTWURF ZUR BEKÄMPFUNG DER KORRUPTION

Prof. Dr. **Bachana Jishkariani**, University of Georgia

I. Einleitung

Die Amtsdelikte sind gesondert in Kapitel 39 des georgischen Strafgesetzbuches (gStGB) geregelt, das eine Reihe von Straftatbeständen wie Amtsmissbrauch, Machtüberschreitung, Bestechlichkeit etc. zusammenfasst. Ziel des deutsch-georgischen Rechtsdialogs ist es, die grundlegenden Aspekte beider Systeme auch unter Berücksichtigung der Einflüsse internationaler und europäischer Rechtsordnungen zu vergleichen und damit die weitere Internationalisierung des georgischen Strafrechts zu fördern. Dementsprechend befasst sich die vorliegende Abhandlung nicht mit einzelnen Straftatbeständen des Kapitels 39 gStGB, sondern geht zusammenfassend auf einzelne problematische Aspekte ein. Dazu gehören auch die Korruptionstatbestände. Besonderes Augenmerk wird auf die Frage des Amtsmissbrauchs gelegt, da sich der Entwurf der Europäischen Kommission für eine Antikorruptionsrichtlinie derzeit in der Diskussion befindet. Aufgrund des überschaubaren Umfangs des vorliegenden Beitrags werden nicht alle Straftatbestände und ihre Aspekte im Einzelnen erörtert, sondern nur bestimmte Themen im Lichte des georgischen und europäischen Rechts aufgegriffen, um mögliche Änderungsbedarfe im nationalen Strafrecht aufzuzeigen.

II. Der Entwurf der neuen EU-Richtlinie

Die Europäische Kommission hat am 5. Mai 2023 einen Entwurf für eine neue Richtlinie zur Bekämpfung der Korruption¹ veröffentlicht, deren allgemeine

1 COM(2023) 234 final – <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/?uri=COM%3A2023%3A234%3AFIN> (zuletzt abgerufen am 4.8.2024).

Grundlage eine wirksamere Bekämpfung der Korruption in der Union und weltweit ist.² Begründet wurde dieser Schritt damit, dass aufgrund der transnationalen Dimension der Korruption eine neue Richtlinie auf EU-Ebene mit einheitlichen strafrechtlichen Standards wesentlich effektiver sei als Maßnahmen einzelner Mitgliedstaaten.³ Nach Auffassung der Europäischen Kommission seien die bisher in der Union geltenden strafrechtlichen Mechanismen unzureichend,⁴ erfassten nicht alle relevanten Handlungen und müssten daher fortentwickelt werden.⁵

Der Entwurf enthält sowohl präventive als auch spezifisch strafrechtliche Maßnahmen, wobei der Schwerpunkt eher auf Prävention als auf strafrechtlicher Sanktionierung liegt. Dazu gehören beispielsweise die Erhöhung der Transparenz im öffentlichen Sektor, insbesondere in Bezug auf Interessenskonflikte, die Förderung von Bildungsmaßnahmen zur Sensibilisierung für Korruption sowie die Einrichtung von Sonderbehörden zur Korruptionsbekämpfung und deren angemessene Ausstattung.

Im rein strafrechtlichen Bereich sieht der Entwurf eine Harmonisierung der Definitionen in allen Mitgliedstaaten und eine erhebliche Ausweitung der bisher harmonisierten Korruptionsstraftatbestände vor. Besonders bemerkenswert ist, dass die Korruption im öffentlichen und privaten Sektor in einem einzigen Rechtsakt behandelt wird. Der Entwurf bezieht sich auf eine Reihe von Straftatbeständen wie Bestechung, Untreue, Bestechlichkeit, Amtsmissbrauch, Behinderung der Justiz und die Erzielung von Gewinnen aus korrupten Handlungen.

Der Ausarbeitung des Entwurfs ging eine Analyse der bestehenden Regelungen in allen Mitgliedstaaten voraus. Dabei wurde festgestellt, dass insbesondere in den Bereichen Amtsmissbrauch, Untreue und Bestechung erhebliche Defizite bestehen. Die Unterschiede zwischen den Mitgliedstaaten (einige Mitgliedstaaten stellen bestimmte Handlungen unter Strafe, andere nicht, wieder andere nach anderen

2 Ausf. dazu Presseerklärung der EU-Kommission – https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/ip_23_2516 (zuletzt abgerufen am 4.8.2024).

3 COM(2023) 234 final, S. 6.

4 Rahmenbeschluss 2003/568/JI des Rates vom 22.7.2003 zur Bekämpfung der Bestechung im privaten Sektor – ABl. L 192, 31.7.2003, 54; siehe auch: Übereinkommen über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte beteiligt sind – ABl. C 195, 25.6.1997, S. 2.

5 COM(2023) 234 final, S. 2.

Vorschriften) erschweren die strafrechtliche Verfolgung grenzüberschreitender Fälle.⁶

Im Folgenden werden die einzelnen Straftatbestände des Richtlinienentwurfs untersucht, bevor sie in einem späteren Abschnitt mit den entsprechenden strafrechtlichen Regelungen in Georgien verglichen werden.

Art. 7 behandelt die Bestechung im öffentlichen Sektor und umfasst sowohl die Bestechung eines Amtsträgers als auch die Bestechlichkeit. Die Tat gilt bereits mit der Forderung oder dem Angebot als vollendet.

Art. 8 bezieht sich auf die Bestechung im privaten Sektor und sieht ebenfalls die Strafbarkeit sowohl des Bestechenden als auch des Bestochenen vor. Die Tat muss von einer Person, die in leitender oder sonstiger Stellung tätig ist, begangen werden oder sich gegen eine solche Person richten, um sie zur Verletzung ihrer Pflichten zu veranlassen.

Von besonderem Interesse ist Art. 9, der sich mit der Veruntreuung befasst. Es ist darauf hinzuweisen, dass die Überschrift des entsprechenden Artikels bzw. die Bezeichnung dieser Straftat nicht mit ähnlichen Begriffen in den Mitgliedstaaten gleichgesetzt werden sollte. Aufgrund nationaler strafrechtlicher Besonderheiten können wörtlich identische Begriffe inhaltlich stark voneinander abweichen. Die EU legt in ihren Richtlinien nur Mindeststandards für die Harmonisierung fest, die verwendeten Begriffe sind eher allgemeiner Natur.⁷ Andernfalls würden die Mitgliedstaaten zu einer vollständigen Übernahme aller Tatbestände in ihr nationales Recht veranlasst, was dem Gebot der Zurückhaltung bei der Ausgestaltung des nationalen Strafrechts widersprechen würde.⁸ Der Grundsatz der Achtung der Rechte der Mitgliedstaaten ist im EU-Vertrag verankert.⁹

Um Missverständnisse mit dem georgischen Strafrecht zu vermeiden, sollte der im Entwurf verwendete Begriff „Veruntreuung“ aus georgischer Sicht eher als eine Kombination aus Unterschlagung und Veruntreuung verstanden werden – sowohl

6 COM(2023) 234 final, S. 14.

7 *Esser*, Europäisches und Internationales Strafrecht, 3. Aufl. 2023, § 2 Rn. 135.

8 Dieser Grundsatz wurde auch vom Bundesverfassungsgericht in einer Entscheidung erwähnt, BVerfG NJW 2009, 2274.

9 Ausf. dazu *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 10. Aufl. 2022, § 9 Rn. 9.

im öffentlichen als auch im privaten Sektor,¹⁰ denn nach Art. 9 des Entwurfs ist sowohl die vorsätzliche und zweckwidrige Verwendung, Unterschlagung oder Veräußerung von anvertrautem Vermögen durch eine im öffentlichen Sektor tätige Person als auch durch eine Führungskraft oder eine andere befugte Person im privaten Sektor strafbar.

Erstmals in einer EU-Strafrechtsrichtlinie wird auf Unionsebene die Formulierung „Handel mit Einfluss“ eingeführt. Art. 10 sieht die Strafbarkeit sowohl des Einflussvermittlers als auch des Auftraggebers vor. Die Tat muss vorsätzlich begangen werden, unabhängig davon, ob sie tatsächlich zum gewünschten Erfolg geführt hat (Art. 10 Abs. 2).

Zurück zur Terminologie: Die deutsche Fassung des Entwurfs spricht in der Überschrift von „Unerlaubter Einflussnahme“, während die englische Fassung den Begriff „Trading in influence“ verwendet. Der objektive Tatbestand umfasst – kurz zusammengefasst – das Anbieten oder Annehmen von Vorteilen jeder Art, um auf einen Amtsträger Einfluss zu nehmen. In der Praxis geht es häufig um eine Vermittlerrolle: So bittet beispielsweise A den B, Einfluss auf den Beamten C auszuüben, um ein bestimmtes Dokument zu erhalten. Im Gegenzug erhält B einen Vorteil von A. Dieser Straftatbestand ist im georgischen Strafgesetzbuch bereits seit langem geregelt, eine detaillierte vergleichende Analyse mit dem georgischen Recht erfolgt in einem späteren Abschnitt.

Art. 11 des Richtlinienentwurfs regelt den Amtsmissbrauch umfassend. Er betrifft sowohl den öffentlichen als auch den privaten Sektor und stellt jede rechtswidrige Handlung oder Unterlassung unter Strafe, die unter Verletzung einer Pflicht begangen wird, um einen Vorteil für sich oder einen Dritten zu erlangen. Ein konkreter Erfolg der Tat ist für die Strafbarkeit nicht erforderlich.

Die Europäische Kommission hat in den neuen Entwurf auch die Strafbarkeit der Behinderung der Rechtspflege aufgenommen. Art. 12 verpflichtet die Mitgliedstaaten, geeignete strafrechtliche Maßnahmen gegen Personen zu ergreifen, die durch Drohungen, körperliche Gewalt oder Versprechungen

10 Ausführlicher zur Aneignung/Veruntreuung *Jishkariani*, Strafrecht Besonderer Teil, Eigentumsdelikte, 2024, Rn. 376 ff.; siehe auch *Dvalidze*, in: *Dvalidze/Kharanauli/Tumanishvili*, Eigentumsdelikte nach dem georgischen Strafgesetzbuch, 2023, S. 162 ff.

versuchen, Zeugen zu beeinflussen oder die Beweiserhebung zu behindern (Art. 12 Abs. 1). Auch die Anwendung körperlicher Gewalt oder die Drohung mit körperlicher Gewalt gegen Bedienstete in der Justiz ist strafbar (Art. 12 Abs. 2).

Im Sinne einer effektiven Korruptionsbekämpfung geht der Richtlinienentwurf weiter und erfasst auch Vermögenswerte, die durch Korruptionsdelikte erlangt wurden. Nach Art. 13 soll jeder Amtsträger bestraft werden, der wissentlich und vorsätzlich Vermögensgegenstände erwirbt, besitzt oder verwendet, die aus einer der vorgenannten Straftaten stammen, unabhängig davon, ob er an der Vortat beteiligt war.

Darüber hinaus verpflichtet der Entwurf die Mitgliedstaaten, in ihrem Strafrecht eine Reihe von erschwerenden und mildernden Umständen zu berücksichtigen. Als erschwerende Umstände gelten beispielsweise die Begehung der Tat durch einen hochrangigen Amtsträger, die Verursachung eines erheblichen Schadens oder die Annahme erheblicher finanzieller Vorteile (Art. 18 Abs. 1). Die Zusammenarbeit mit den Ermittlungsbehörden kann als mildernder Umstand gewertet werden (Art. 18 Abs. 2).

III. Der Einfluss des europäischen Rechts auf das georgische Strafrecht

Das georgische Strafrecht war seit der Auflösung der Sowjetunion internationalen Einflüssen ausgesetzt, was angesichts des grundlegenden Wandels der Staatsideologie nur natürlich ist. Die Bedeutung des Privatsektors rückte in den Vordergrund und der Staat wurde nicht mehr als primäres Schutzobjekt des Strafrechts angesehen. Insgesamt veränderte sich der strafrechtliche Umgang mit verschiedenen Rechtsgütern. So schützte das sowjetische Strafrecht die Interessen des Staates oft strenger als das Privateigentum.¹¹ Das 1999 verabschiedete Strafgesetzbuch Georgiens, das bis heute in Kraft ist, unterscheidet nicht mehr so strikt zwischen privaten und öffentlichen Interessen. Dies betrifft unser Thema unmittelbar, da durch Amtsdelikte nicht nur öffentliche Interessen, sondern auch Privatpersonen geschädigt werden können.

11 *Lekveishvili/Todua*, in: *Lekveishvili/Mamulashvili/Todua*, Strafrecht Besonderer Teil, Bd. 1, Teil 1, 2023, S. 27.

Der Einfluss des europäischen Rechts wurde insbesondere seit 1996 relevant, als Georgien und die Europäische Union (EU) ein Partnerschafts- und Kooperationsabkommen unterzeichneten.¹² In der Folge wurden die Beziehungen weiter intensiviert und mündeten 2014 in ein Assoziierungsabkommen.¹³

Die Europäisierung des georgischen Strafrechts erfolgte auch im Rahmen des Europarats, wobei insbesondere die Europäische Menschenrechtskonvention (EMRK) hervorzuheben ist. Diese Einflüsse unterscheiden sich jedoch in ihrer Spezifik von denen des EU-Rechts. Obwohl Georgien kein EU-Mitgliedstaat ist, werden die von der EU vorgegebenen strafrechtlichen Mindeststandards bereits intensiv umgesetzt.

Von besonderem Interesse für unser Thema ist Art. 17 des Assoziierungsabkommens, der ausdrücklich vorsieht, dass die Vertragsparteien unter anderem bei der Bekämpfung von Korruption, Unterschlagung und Urkundenfälschung zusammenarbeiten. Die Umsetzung von EU-Richtlinien und anderen Standards wurde jedoch bereits vor Abschluss dieses Abkommens kontinuierlich vorangetrieben. Es ist daher wahrscheinlich, dass auch der neue Richtlinienentwurf der EU-Kommission zur Korruptionsbekämpfung nach seiner Verabschiedung mit diesem oder modifiziertem Inhalt das georgische Strafrecht beeinflussen wird. Es ist daher wichtig, kurz zu analysieren, in welchen Bereichen sich dieser Einfluss auf das georgische Strafrecht auswirken könnte. Mit anderen Worten: Enthält das georgische Recht bereits Regelungen zu den im Richtlinienentwurf genannten Straftatbeständen?

12 ABl. L 205, 4.8.1999, 3; ausf. dazu *Jishkariani*, Europäisches Strafrecht im Rahmen der EU, 2. Aufl. 2018, Rn. 1 ff.

13 Das Assoziierungsabkommen zwischen Georgien einerseits und der Europäischen Union bzw. der Europäischen Atomgemeinschaft und ihren Mitgliedstaaten andererseits – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (zuletzt abgerufen am 4.9.2024); ausf. dazu *Jishkariani*, Europäisches Strafrecht im Rahmen der EU, 2. Aufl. 2018, Rn. 18 ff.

IV. Einzelne strafrechtliche Tatbestände im georgischen Strafrecht und Zukunftsperspektiven

Das georgische Strafgesetzbuch enthält im 39. Kapitel, das sich mit Amtsdelikten befasst, folgende Straftatbestände: Art. 332: Amtsmissbrauch, Art. 333: Amtsüberschreitung, Art. 334: Strafbefreiung des Beschuldigten, Art. 335: Erzwingung einer Aussage oder eines Gutachtens, Art. 337: Unrechtmäßige Teilnahme an einer unternehmerischen Tätigkeit, Art. 338: Bestechung, Art. 339: Bestechlichkeit, Art. 339¹: Einflussnahme, Art. 340: Annahme eines gesetzlich verbotenen Geschenks, Art. 341: Fälschung im Amt, Art. 342: Vernachlässigung der Amtspflichten, Art. 342¹: Verletzung der Dienstvorschriften durch einen Beamten des Sondervollzugsdienstes.

Dennoch bestehen Unterschiede zwischen dem georgischen und dem europäischen Ansatz. Während nach dem Richtlinienentwurf der Amtsmissbrauch bereits mit der Handlung selbst als vollendetes Delikt gilt, setzt das georgische Strafgesetzbuch für die Strafbarkeit einen erheblichen Schaden voraus. So verlangt Art. 220 gStGB (Bestechung und Bestechlichkeit im privaten Sektor) das Vorliegen eines erheblichen Schadens, während Art. 332 gStGB eine erhebliche Beeinträchtigung der legitimen Interessen einer natürlichen oder juristischen Person, der Gesellschaft oder des Staates voraussetzt. Sollte die EU-Richtlinie in ihrer jetzigen Form verabschiedet werden, würde dies zu Diskrepanzen zwischen den beiden Systemen führen. Im Falle einer Harmonisierung müsste das georgische Strafrecht dahingehend angepasst werden, dass diese Tatbestände als schlichte Tätigkeitsdelikte ausgestaltet werden.

Dies würde den Anwendungsbereich der Normen erheblich erweitern, was in Staaten mit schwächeren demokratischen Strukturen problematisch sein könnte. In Georgien wird das Thema Amtsmissbrauch („abuse of power“) häufig politisch diskutiert, insbesondere im Zusammenhang mit der strafrechtlichen Verfolgung ehemaliger hochrangiger Beamter nach einem Regierungswechsel. Auch ohne die politische Bewertung von Einzelfällen wird deutlich, dass die bestehenden georgischen Regelungen bereits sehr weit gefasst sind. Eine Harmonisierung mit dem EU-Recht würde diese Tatbestände noch umstrittener machen und könnte in einem fragilen Rechtssystem als politisches Instrument missbraucht werden (sog. Gummiparagrafen).

Was bedeutet Amtsmissbrauch im georgischen Strafrecht? Wie bereits erwähnt, gibt es eine Vielzahl von Amtsdelikten wie die Bestechlichkeit, Dienstpflichtverletzung, Fälschung im Amt oder andere. Diese Normen sind spezieller Natur. Der Amtsmissbrauch umfasst aber auch Handlungen, die von keiner dieser speziellen Normen erfasst werden und geht somit über diese hinaus. Art. 332 gStGB kann gewissermaßen als Auffangtatbestand betrachtet werden, um sicherzustellen, dass schwere Amtsdelikte nicht straflos bleiben. Beim Amtsmissbrauch überschreitet der Amtsträger zwar nicht die Grenzen seiner Befugnisse, handelt aber dem öffentlichen Interesse zuwider (z.B. wenn ein Staatsanwalt aufgrund persönlicher Beziehungen von einer Strafverfolgung absieht).¹⁴ Als Amtsmissbrauch gilt auch die zweckwidrige Verwendung von Haushaltsmitteln (z.B. der Kauf eines Gegenstands, der nicht den Zielen der Organisation entspricht).¹⁵ Die möglichen Straftatbestände sind jedoch weder in der Praxis noch in der Lehre abschließend definiert, was die Gefahr eines Missbrauchs erhöht. Die Frage, was in einer öffentlichen oder privaten Organisation als zweckwidrige Ausgabe angesehen werden kann, ist sehr umstritten. Falls der Staat repressiv agieren möchte, könnte er z. B. jeden Manager wegen der Ausgaben für eine Betriebsfeier strafrechtlich verfolgen, während in einem vergleichbaren anderen Fall keine Strafverfolgung erfolgt.

Ein weiteres Problem könnte sich bei der Implementierung der Richtlinie im privaten Sektor ergeben. Die Formulierung der EU-Richtlinie ist so weit gefasst, dass selbst das Verhalten eines Kellners, der einem Freund kostenloses Essen spendiert und damit dem Restaurant Einnahmen entzieht, darunterfallen könnte. Das georgische Strafgesetzbuch (Art. 220) setzt daher für eine Strafbarkeit einen erheblichen Schaden voraus, während dieser Schwellenwert durch die EU-Richtlinie entfallen würde, sodass eine strafrechtliche Verantwortlichkeit eintreten würde.¹⁶ Darüber

14 *Lekveishvili/Todua*, in: *Lekveishvili/Mamulashvili/Todua*, Strafrecht Besonderer Teil, Bd. 2, Teil 2, 2020, S. 368.

15 *Lekveishvili/Todua*, in: *Lekveishvili/Mamulashvili/Todua*, Strafrecht Besonderer Teil, Bd. 2, Teil 2, 2020, S. 368.

16 In diesem Fall wäre es denkbar, eine Veruntreuung anzunehmen, jedoch würde dies zu weit führen. Aus dieser Perspektive bewerten die Richtlinie ebenso kritisch *Wegner/Zimmermann*, Stellungnahme zum Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption, zur Ersetzung des Rahmenbeschlusses

hinaus erweitert der Richtlinienentwurf den Kreis der potenziellen Täter. Während das georgische Recht nur Personen mit Leitungs-, Vertretungs- oder sonstigen besonderen Befugnissen in Unternehmen erfasst,¹⁷ spricht die EU-Richtlinie von „leitenden oder anderen Personen“, womit der Täterkreis erweitert wird. Auch der für die EU-Richtlinie neue Straftatbestand des Handels mit Einfluss (Art. 10) ist für Georgien nicht neu. Die Verankerung im georgischen Strafgesetzbuch (Art. 339¹) erfolgte bereits 2006, basierend auf der Korruptionskonvention des Europarats, weshalb in diesem Bereich kein unmittelbarer Änderungsbedarf besteht.

Die nationale georgische Gesetzgebung hat die europäische Gesetzgebung in zeitlicher Hinsicht bereits überholt. Eine detaillierte Analyse dieses Delikts soll an dieser Stelle nicht durchgeführt werden, jedoch kann eine kurze Abgrenzung vom Straftatbestand der Bestechlichkeit erfolgen. Ein Beispiel für die Abgrenzung ist, dass ein Beamter einem anderen verspricht, durch seine persönlichen oder familiären Beziehungen ihm eine Anstellung an einem anderen Ort zu verschaffen, und im Gegenzug Geld verlangt.¹⁸ Dies würde als Handel mit Einfluss gelten. Demgegenüber wäre ein Handeln des Beamten, der seine eigenen dienstlichen Befugnisse oder Autorität nutzt, um eine andere Person zu beschäftigen, als Bestechlichkeit zu werten.

Hinsichtlich der Bestechlichkeit und Bestechung im öffentlichen Sektor findet sich eine Regelung im gStGB in Art. 338 (Bestechlichkeit) und Art. 339 (Bestechung). Es sei darauf hingewiesen, dass Art. 7 des Entwurfs der Richtlinie im Gegensatz zur georgischen Regelung eine relativ kurze und allgemeine Formulierung enthält. Die georgische Regelung ist konkreter und regelt eine umfassendere Verantwortlichkeit. Die Implementierung der Richtlinie könnte jedoch das Risiko bergen, dass beispielsweise ein Abgeordneter, der sich mit dem Abgeordneten einer anderen Partei darauf einigt, dessen Gesetzesvorhaben zu unterstützen, wenn dieser das Gesetzesvorhaben des ersten Abgeordneten unterstützt, bestraft

2003/568/JI des Rates und des Übereinkommens über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind, sowie zur Änderung der Richtlinie (EU) 2017/1371 des Europäischen Parlamentes und des Rates vom 10. November 2023, S. 9 – <https://www.bundestag.de/resource/blob/976924/0e3a309650bec85dcbcacdd8c4c9d3f8/Ste-llungnahme-Wegner.pdf> (zuletzt abgerufen am 7.9.2024).

17 *Mamulashvili/Todua*, in: Lekveishvili/Mamulashvili/Todua, Strafrecht Besonderer Teil, Bd. 2, Teil 2, 2023, S. 246.

18 Beschluss des Obersten Gerichtshofs Georgiens #497სპ.-16.

wird (Art. 338 Abs. 2 Buchstabe a gStGB), da er einen Vorteil (die Stimme) im Austausch für seine eigene Stimme erhält. Eine solche Strafbarkeit wäre jedoch mit politischen Prozessen nicht vereinbar. Infolgedessen wäre bei Implementierung der Richtlinie in das georgische Rechtssystem eine engere Auslegung erforderlich, um die Effektivität politischer Prozesse zu gewährleisten.¹⁹

Ein weiteres relevantes Thema ist die in einem gesonderten Artikel geregelte Behinderung der Justiz (Art. 12), zu der beispielsweise die Einflussnahme auf Zeugen durch Drohungen oder Versprechen, um falsche Aussagen zu Korruptionsdelikten zu erzwingen, zählt. Obwohl das georgische Strafrecht keine spezifische Norm für die Behinderung der Justiz bei Korruptionsfällen enthält, existiert mit Art. 372 bereits eine allgemeine Regelung zur Beeinflussung von Zeugen, die problemlos auf die in der Richtlinie genannten Delikte angewandt werden kann. Dasselbe gilt für die Fälle der Einflussnahme auf die an Strafverfolgung (z. B. auf Ermittler).

V. Fazit

Zusammenfassend ist der Versuch der EU-Kommission, Korruption durch einheitliche Mindeststandards aktiver zu bekämpfen, zu begrüßen, wobei jedoch anzumerken ist, dass die Umsetzung der Richtlinie in einzelnen Bereichen rechtliche Risiken birgt und zu noch größerer Unklarheit nicht nur für die Mitgliedstaaten, sondern auch für das georgische Strafrecht führen könnte. Es bleibt zu hoffen, dass der Richtlinienentwurf vor seiner endgültigen Verabschiedung einer Überarbeitung unterzogen wird.

19 Dasselbe Problem wird auch im deutschen Strafrecht bestehen, siehe *Wegner/Zimmermann*, Stellungnahme zum Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption, zur Ersetzung des Rahmenbeschlusses 2003/568/JI des Rates und des Übereinkommens über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind, sowie zur Änderung der Richtlinie (EU) 2017/1371 des Europäischen Parlamentes und des Rates vom 10. November 2023, S. 3 – <https://www.bundestag.de/resource/blob/976924/0e3a309650bec85-dcbcacdd8c4c9d3f8/Stellungnahme-Wegner.pdf> (zuletzt abgerufen am 7.9.2024).

კონკურენციის სამართლის სისხლისსამართლებრივი და ძირითადი უფლებების ასკეპტები – უნგრეთის გამოცდილება

ლასლო ბაკი, უნგრეთის კონკურენციის სააგენტო

I. შესავალი

კონკურენციის სამართალი ჰგავს სისხლის სამართალს. მის ფარგლებში ხდება მაღალი ფულადი სახდელების დაწესება, ევროკავშირის კარტელურ უწყებებს კი გააჩნია ჩხრევის ჩატარების კომპეტენცია. ფულადი სახდელის დაწესებისას, კომპანიების რეციდივი განიხილება დამამძიმებელ გარემოებად. შესაძლებელია, დამხმარე პირების დასჯაც. ეს ტერმინოლოგია ჩვენთვის ცნობილია უფრო სისხლის სამართლიდან. ცალკეულ ქვეყნებში, კონკურენციის სამართალი ადმინისტრაციული სამართალს ან სისხლის სამართალს მიეკუთვნება. ანგლო-საქსონურ სამართლებრივ სივრცეში კი ის ორივე სფეროს, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის, განუყოფელი ნაწილია. ვინაიდან კონკურენციის სამართლის ბუნება მეგავლენას ახდენს მხარეთა საპროცესო და ძირითად უფლებებზე და ეს არაერთხელ გამხდარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განხილვის საგანი, წინამდებარე სტატიაში, განხილულ იქნება როგორც დოგმატიკა, ასევე უნგრეთის კონკურენციის სამართლის პრაქტიკული გამოცდილება.

II. ევროკავშირის ჰარმონიზებული კონკურენციის სამართალი

ვინაიდან კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა, აკრძალულია კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების დადება. კარტელი არის კომპანიებს შორის არსებული, უკიდურესად მავნე, დამაზიანებელი (კორიპონტალური და ვერტიკალური) შეთანხმებები ფასებზე, რაოდენობასა და ბაზრებზე, ასევე მათ პირობებზე. კარტელი განაპირობებს ფასების ზრდას, შემოთავაზებების ვარდნასა

და ეფექტურობის დანაკარგს. კარტელური შეთანხმება შეიძლება იყოს უკიდურესად დამაზიანებელი, როდესაც საქმე ეხება საჯარო ტენდერებს, რამეთუ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ამიანებენ გადასახადის გადამხდელებს. კონკურენციის სამართლით ნაგულისხმევი მთავარი აკრძალვა ნიშნავს, რომ დაუშვებელია კონკურენტებს შორის ფასებსა და რაოდენობაზე შეთანხმებები (ე.წ. Hardcore კარტელები). ეს აკრძალვა აღმოცენდა დამოუკიდებლობის პოსტულატიდან, რომლის თანახმად, ბიზნესის სტრატეგიები დამოუკიდებლად უნდა იქნას განხორციელებული ბაზრის მონაწილეთა მხრიდან. სხვაგვარად, ბაზრის ქცევამ შეიძლება განაპირობოს კონკურენციის შეზღუდვა და ნეგატიურად ასახვა ფასებზე. ზიანის ანაზღაურების დირექტივის საფუძველზე¹, ივარაუდება, რომ კარტელი იწვევს ზიანს. უნგრეთის კონკურენციის სამართალში 10%-ით განისაზღვრება კარტელური გარიგების შედეგად გამოწვეული სავარაუდო ფასნამატი, როგორც კანონისმიერი პრეზუმფცია. ეს კი ნიშნავს, რომ კარტელი 10%-ით ზრდის ნორმალურ საბაზრო პირობებში განსაზღვრულ ფასს². ამავდროულად, მხოლოდ აღნიშნული ფასნამატით არ შემოიფარგლება სრული ზიანი (ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი). უნგრეთის კონკურენციის სამართალი ჰარმონიზებულია ევროკავშირის სამართალთან. 2004 წელს, უნგრეთის ევროკავშირში განწვრიანების შემდეგ, უნგრეთის კონკურენციის სააგენტო (Gazdasági Versenyhivatal, GVH) უშუალოდ იყენებს ევროკავშირის კარტელურ დებულებებს. ევროკავშირის Nr. 1/2003 კარტელური სამართლებრივი რეგულაციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს, არ აქვთ ევროკავშირის რეგულაციის გამკაცრების უფლება, რის გამოც, ზოგადი კონკურენციის ამკრძალავი ნორმები მეტნაკლებად იდენტურია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა *Allianz Hungária*-ს საქმეზე, რომ არსებობს ევროკავშირის სამართლის უნიფიცირებული განმარტების

1 Richtlinie 2014/104/EU des Europäischen Parlaments und des Rates vom 26. November 2014 über bestimmte Vorschriften für Schadensersatzklagen nach nationalem Recht wegen Zuwiderhandlungen gegen wettbewerbsrechtliche Bestimmungen der Mitgliedstaaten und der Europäischen Union, ABl. L 349/1, Art. 17 (2).

2 Gesetz Nr LVII von 1996 gegen den unfairen Wettbewerb und Wettbewerbsbeschränkungen (uKartG) § 88/G. (6)

ინტერესი. ამდენად, სასამართლოს, მათ შორის, ევროკავშირის სამართლით სრულად ჰარმონიზებული შიდასახელმწიფოებრივი კარტელური აკრძალვის რეგულაციის საფუძველზე, გააჩნია წინასწარი წარმოების გზით შუამდგომლობის გადაწყვეტის კომპეტენცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ევროკავშირის სამართლიდან დანერგილი დებულებებისა და ტერმინების განმარტების სამომავლო განსხვავებები.³ ამ გადაწყვეტილებამ ბიძგი მისცა უნგრეთის კონკურენციის სააგენტოს, მათ შორის, წმინდა შიდასახელმწიფოებრივ კარტელურ-სამართლებრივ საკითხებზე, დაყრდნობოდა ევროკავშირის სამართლებრივ დებულებებს. ზოგადად, კარტელებთან დაკავშირებულ უნგრულ პრაქტიკაში ხდება ევროკავშირის რეგულაციებზე მითითება, რათა ეს არგუმენტები აისახოს და გამყარდეს გადასინჯვასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებებშიც.

III. ფულადი ჯარიმა, როგორც სანქცია

ერთი ჩახედვაც კი უნგრეთის კონკურენციის ორგანოსა⁴ და ევროკომისიის⁵ სახდელების სტატისტიკაში და იქ ასახული მილიონობით ევროს ოდენობით ჯარიმების ნახვა საკმარისია იმისათვის, რათა ეს იყო კომპანიებისათვის გარკვეულ სტიგმა. იმ შემთხვევაში, თუ სანქციების ბუნება და სახე მართლაც ზეგავლენას ახდენენ კომპანიის ბედზე, ჩნდება დოგმატური კითხვა: აქვს თუ არა კარტელურ სახდელს, როგორც სანქციას, სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი ხასიათი? სანქციის დოგმატური პოზიციონირება იძლევა სიცხადეს, რათა შესაბამისი საპროცესო გარანტიები იქნას უზრუნველყოფილი წარმოების დროს.

ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან

3 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება Allianz Hungária, C-32/11, ECLI:EU:C:2013:160, Rn.19-20.

4 <https://tinyurl.com/5kf3xhtu>

5 https://competition-policy.ec.europa.eu/antitrust-and-cartels/cartels-cases-and-statistics_en

მიერთებაზე ორჯერ ჩაშლილი მცდელობის მიუხედავად⁶, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მაინც ივარაუდება ევროკავშირის სამართლის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე მიერთება იმ დათქმით, რომ ქარტიითა და კონვენციით უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებები იდენტურია და აბსოლუტურ თანაფარდობაშია.

ევროკავშირის კარტელური საპროცესოსამართლებრივი დებულების ამოსავალი წერტილია (მუხლი 23, პუნქტი 5) ის, რომ ფულადი სახდელები არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი სანქციებს. ეს სწორია სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით, რამეთუ ევროკავშირს არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი კომპეტენციები. ამისდა მიუხედავად, როგორც უკვე აღინიშნა, ფულადი სახდელების დოგმატური ბუნება იზომება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით. ამდენად, მნიშვნელოვანია ამ ორივე სასამართლოს პრაქტიკა. ე.წ. ენხელის კრიტერიუმების თანახმად⁷, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, სანქცია შემდეგი წინაპირობების არსებობისას ითვლება სისხლისსამართლებრივად: პირველი - იგი, ეროვნულ დონეზე, მიეკუთვნება სისხლის სამართალს, მეორე - გადაცდომის მიმართ რეპრესიული რეაგირება ხდება. მესამე - სანქცია თავისი შინაარსითა და სიმძიმით არის სისხლისსამართლებრივი ბუნების.⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Jussila*-ში შემუშავა ფულადი სახდელების, როგორც სანქციის, სამართლებრივი კლასიფიკაცია, განმარტარა, რომ არსებობს მკაფიო, სხვადასხვა სიმძიმის „სისხლისსამართლებრივი პრეტენზიები“. ის შემთხვევები, რომლებიც

6 ევროკავშირის ხელშეკრულების (Vertrag über die Europäische Union) მე-6 მუხლი განსაზღვრავს ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე მიერთების შესაძლებლობას, თუმცა, აღნიშნული პროცესი ორჯერ ჩაიშალა. ალბათ, იმიტომ რომ დაუშვებელია საერთაშორისო სასამართლოსათვის ევროკავშირის სამართლის სავალდებულო განმარტების კომპეტენციის დელეგირება – აცხადებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო.

7 Engel et al. v. the Netherlands, Urteil vom 8. Juni 1976, Nr. 5100/71, § 82.

8 ბოლო ორი პირობა უფრო ალტერნატიული, ვიდრე კონიუნქტიური წინაპირობებია.

არ მიეკუთვნება სისხლის სამართლის ტრადიციულ კატეგორიებს, როგორცაა, მაგალითად, კონკურენციის სამართალი, სცდება ძირითად სისხლის სამართალს, რის გამოც სისხლისსამართლებრივი საპროცესო გარანტიები არ მოქმედებს სრული სიმკაცრით.⁹

Menarini-ის¹⁰ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის კონკურენციის სააგენტოს მიერ დაწესებული ფულადი სახდელი (6 მილიონი ევრო) იყო სისხლისსამართლებრივი ბუნების. ეს გადაწყვეტილება კონკურენციის სამართლის სივრცეში, აღქმულ იქნა, როგორც პრეცედენტული, რამეთუ ევროკავშირისა და უნგრეთის ფულადი სახდელის წარმოება ძალიან ჰგავს იტალიურს.

IV. რას ნიშნავს კომპანიებისათვის სისხლისსამართლებრივი ბუნება კარტელურ-სამართლებრივი გამოძიების დროს?

Menarini-ის საქმეში, განხილულია ასევე კონკურენციის სამართლის სხვა ასპექტიც. კერძოდ, შეესაბამება თუ არა ერთი ორგანოს მიერ განხორციელებული სრული წარმოება (საქმის გახსნის, გამოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციების თავმოყრა ერთი ორგანოს ხელში) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მსგავსმა ადმინისტრაციულმა ორგანომაც შეიძლება დააწესოს სისხლისსამართლებრივი სანქციები, რომლებიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს¹¹. თუმცა, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი უნდა ექვემდებარებოდეს გადასინჯვას შეუზღუდავი კომპეტენციის მქონე სასამართლოს მხრიდან.

9 Jussila v. Finland, Nr. 73053/01, Judgment of 23 November 2006 (Grand Chamber), REports 2006-XIV, § 43.

10 Menarini Diagnostics S.R.L. v. Italy, Nr. 43509/08, ARRÊT de 27 Septembre 2011 (Deuxième Section), § 62.

11 DEBÚT Zrt. and Others v. Hungary, Nr. 24851/10, Decision of 20 November 2012 (Second Section) §3.

ამაში იგულისხმება ქვემდგომი ორგანოს (როგორცაა, მაგალითად, კონკურენციის სააგენტო) გადაწყვეტილების ფაქტობრივად ყველა პუნქტში, მატერიალური და საპროცესოსამართლებრივი შეცვლის უფლებამოსილება (შეუზღუდავად გაუქმება, ფულადი სახდელის შემცირება ან გამრდა).¹²

აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ¹³ და უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გზათმშენებლობის კარტელის შესახებ გადაწყვეტილებაში¹⁴: „მართალია, კონკურენციის სამართალი არ მიეკუთვნება სისხლის სამართალს ვიწრო გაგებით, თუმცა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მოქმედებს ამ სფეროშიც, მაგრამ არა იგივე მოცულობით, როგორც სასამართლოში“. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არ იყო უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. მართალია, უნგრეთის კონკურენციის სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას, როგორც კონკურენციის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დამოუკიდებელი მოხელეებით, თუმცა არა მოსამართლეებით. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული საპროცესო გარანტიები უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასამართლო გადასინჯვის გზით. კარტელური საპროცესო სამართალი იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ჯერ კიდევ სააგენტოში წარმოების მიმდინარეობისას, მასში სამართლიანი სამართალწარმოების უზრუნველყოფად მაქსიმალურად ბევრი გარანტია იქნას ჩადებული..¹⁵

ამის მაგალითია თუნდაც უდანაშაულობის პრეზუმფცია. აღმი-

12 Menarini, § 58, 64-65.

13 2013 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება Schindler, C501/11 P, ECLI:EU:C:2013:522, Rn. 31-38.

14 უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება Nr. 30/2014. (IX. 30.) AB határozat, § 62 (<https://tinyurl.com/mptmbtx6>).

Damit waren die Telekommunikationsüberwachung, die Übermittlung und Verwendung der Dokumente gerechtfertigt. Eine weitere interessante Frage war, ob die Parteien Zugang zu den im Strafverfahren erlangten Beweismitteln hatten, da es rechtswidrig wäre, ein kartellrechtliches Urteil auf der Grundlage von Beweismitteln zu erlassen, deren Rechtmäßigkeit die Parteien in einem kontradiktorischen (Straf-)Verfahren nicht überprüfen konnten, um festzustellen, ob sie im Einklang mit dem Unionsrecht erlangt wurden.³⁷ Das Gericht stellte fest, dass das Grundrecht auf ein faires Verfahren auch in den Fällen bestehe, in denen die vorgelegten Beweise gewürdigt worden seien, weshalb den Parteien Einsicht in die Verwaltungsakten zu gewähren sei.³⁸

X. Fazit

Der strafrechtliche Charakter des Kartellrechts bringt es zunehmend mit sich, dass die aus dem Strafrecht bekannten Verfahrensgarantien wie das Recht auf Achtung des Privatlebens, das Recht auf ein faires Verfahren oder der Bestimmtheitsgrundsatz im Kartellverfahren besonders beachtet werden müssen. Dabei kommt den mitgliedstaatlichen Rechtsmittel- und Verfassungsgerichten eine wichtige Rolle zu. Die Ausgestaltung der Verfahrensgarantien im Kartellverfahren – als nationale Kompetenz – muss der Komplexität der Kartellaufdeckung gerecht werden, wobei die weitreichenden Grundrechte der Unternehmen das öffentliche Interesse an einer effizienten Kartellaufdeckung möglichst nicht überwiegen sollten. Diese Abwägung konkurrierender Rechte ist von den kulturellen und rechtsstaatlichen Besonderheiten der Mitgliedstaaten geprägt, sollte aber im Sinne des *effet utile* der unionsrechtlichen Wettbewerbsregeln ausgelegt werden.

Der Beitrag zeigt, dass wegen der Überschneidungen zwischen Kartell- und Strafrecht eine effiziente Zusammenarbeit zwischen Kartell- und Strafverfolgungsbehörden erforderlich ist. Im Hinblick auf Kronzeugenprogramme wurde sichtbar, dass das rechtspolitische Interesse an der Aufdeckung von Kartellen durch Straf-

37 EuGH, Urteil vom 17. Dezember 2015, *WebMindLicenses Kft.*, C419/14., ECLI:EU:C:2015:832, Rn. 88.

38 Kúria, Urteil Kf.IV.37.468/2019/17., Rn 86.

aufhebungsgründe und Strafmilderung für den freien Wettbewerb förderlich sein kann. Bei der Verwertung strafrechtlicher Beweise im Verwaltungsverfahren sind die strengen strafprozessualen Regeln für die Zulässigkeit und Verwertung der Beweise maßgebend, sodass die Verteidigungsrechte der Unternehmen auch im Verwaltungsverfahren gewahrt bleiben. Ein harmonisches Nebeneinander der beiden Rechtsgebiete ist nur gewährleistet, wenn nicht nur die prozessualen, sondern auch die materiell-rechtlichen Regelungen aufeinander abgestimmt sind.

სისხლის სამართალი და პოლიტიკური პრობლემატიკა – ევროპული ძირითადი უფლებების პერსპექტივა

პროფ. დოქტ. **ფრანკ ციმერმანი**, ფრაიბურგის უნივერსიტეტი

I. შესავალი

მხოლოდ რამდენიმე საკვანძო სიტყვაც კი კმარა იმის სადემონსტრაციოდ, რომ პოლიტიკის ეპოქაში ვცხოვრობთ: COVID-19-ის პანდემია, სამართლებრივი სახელმწიფოს კრიზისი, კლიმატური კრიზისი, ომი უკრაინასა და ლაზარს სექტორში. აქ, საქართველოში კი, უნდა აღინიშნოს ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის შესახებ შიდაპოლიტიკური რყევები. ეს კრიზისები ყოველთვის პოლიტიკური პროტესტის საფუძველია. ვინაიდან ეს სისხლის სამართლის კონფერენციაა, აქ, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა სისხლისსამართლებრივი ასპექტები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე არ მიდის ფიზიკურ დაპირისპირებად, პოტენციური დანაშაულის შემადგენლობათა სპექტრი უზარმაზარია. ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ უფრო ფორმალურ სისხლის სამართლის ნორმებზე, რომლებიც არეგულირებენ დემონსტრაციების რეგისტრაციისა და ჩატარების გარკვეულ მოთხოვნებს. მეორე მხრივ, არსებობს მრავალი ზოგადი დანაშაული, როგორცაა წინააღმდეგობის განწევა პოლიციის ბრძანებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ქუჩის გადაკეტვისას მძღოლების იძულება და საგზაო მოძრაობის საშიში ხელყოფა, შეურაცხყოფა, ქონების დაზიანება (მაგალითად, როდესაც საჯარო ობიექტები გრაფიკით ბინძურდება) და ა.შ. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლება.

ეს სტატია ეხება საკითხს, თუ რა შემდგომი ნარმოქმნება ძირითადი უფლებებიდან – და უფრო კონკრეტულად: ევროპული ფუნდამენტური უფლებებიდან – პოლიტიკური პროტესტების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ. ამისთვის მე თავდაპირველად მოკლედ მიმოვიხილავ შიდასახელმწიფოებრივ ძირითად უფლებებს გერმანული სამართლის მაგალითზე. შემდეგ განვიხილავ, ისევ ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარანტიებს და

გარდა ამისა, შევეხები ძირითად უფლებებს ევროკავშირის სამართალში, განსაკუთრებით ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიას.

II. შიდასახელმწიფოებრივი ძირითადი უფლებები

როდესაც თბილისში ბოლო მოხსენება მქონდა, მისი სათაური იყო: „სისხლის სამართლისა და სიტყვისა და შეკრების თავისუფლების თავსებადობა გერმანიაში პოლიტიკური დემონსტრაციების დროს“. ვინაიდან ჩემი მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებულია,¹ დღეს აღარ შევეხები თავის დროზე განხილულ ასპექტებს. შემაჯამებლად, მსურს განვაცხადო: გერმანიაში პოლიტიკური საპროტესტო აქციების კონტექსტში, გადამწყვეტია სიტყვის თავისუფლებისა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი) და შეკრების თავისუფლების (გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლი) ძირითადი უფლებები. თუმცა ორივე პრინციპი არ მოქმედებს შეუზღუდავად: სიტყვის თავისუფლება ექვემდებარება ზოგადი კანონების შემზღუდვეს (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი), მათ შორის, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის კანონების მხრიდან. შეკრებები დაცულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმდინარეობს „მშვიდობიანად“ – შესაძლოა, ამაში ეჭვი შევიტანოთ ზედაპირული მსჯელობისას, როდესაც, შეკრების ფარგლებში, მოხდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა (განსაკუთრებით, იძულება, გერმანიაში ძალიან გავრცელებულ „ძალადობის“ ქმედების შემადგენლობასთან კავშირში). სწორედ ამიტომ, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე გადაწყვიტა, რომ (სისხლის სამართალი) კანონები, რომლებიც გარკვეულ ფარგლებს უწესებს სიტყვის თავისუფლებას, ამ უკანასკნელის კონტექსტშიც კი, მკაცრად, ვინროდ უნდა იქნას განმარტებული.² შეკრების მშვიდობიანობა დამოკიდებულია არა იმაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი დასჯად იძულებას, არამედ დამოუკიდებელ,

1 F. Zimmermann, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), Deutsch-Georgischer Rechtsdialog. Strafrecht und Menschenrechte, Tbilissi 2023, 169 ff.

2 BVerfGE 7, 198 (208 f.); BVerfGE 93, 266 (290); BVerfGE 111, 147 (155).

კონსტიტუციურ-სამართლებრივ მასშტაბზე. პროტესტის უსიური ფორმები ექცევა შეკრების თავისუფლების დაცულ სფეროში, განურჩევლად იმისა, რომ შესაძლოა, ეს ფორმები, სისხლისსამართლებრივი გადამოსახედიდან, წარმოადგენდეს „ძალადობას“.³

თუმცა, შიდასახელმწიფოებრივი ძირითადი უფლებებს საკმარისი სივრცეს ტოვებენ პოლიტიკური საპროტესტო აქციების დასასჯელად. გერმანიაში საკმაოდ ცნობილია ძალადობის ცნების ფარგლები, კერძოდ, იძულების ქმედების შემადგენლობა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 240). როგორც კი საპროტესტო აქცია ფიზიკურ დაზარალებას ქმნის სხვა პირებისათვის (მაგალითად, გზის სავალ ნაწილზე თავის მიბმა, მიწვება), მასში შესაძლებელია იძულებად დასაკვალიფიცირებელი ძალადობის აქტის დანახვა.⁴ ალბათ ყველა გერმანელ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს სმენია „მეორე რიგის პრეცედენტული სამართლის“ შესახებ, რომლის თანახმადაც სისხლისსამართლებრივი იძულება შეიძლება არსებობდეს მაშინაც კი, როდესაც მკდომარე დემონსტრაცია იწვევს მძღოლების გაჩერებას და მერე ეს მძღოლები თავად ხდებიან ფიზიკური ბარიერი სხვა მოძრაობის მონაწილეებისთვის.⁵ ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა შეკრების თავისუფლება და საზოგადოებრივი კომუნიკაციის საჭიროება, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ „დასაძრახობის“ დადგენის ფარგლებში.⁶ მასობრივი ბლოკადის აქციების შემთხვევაში, ამასთან დაკავშირებული საერთო შეფასება ადვილად გადადის ბრალდებულის საწინააღმდეგოდ.⁷ გარდა სისხლისსამართლებრივი დებულებების ფარგლებისა, ნაწილობრივ,

3 BVerfGE 73, 206 (248 f.); BVerfGE 104, 92 (104 ff., insb. 106); *Gusy*, in: Huber/Voßkuhle (Hrsg.), Grundgesetz, 8. Aufl. 2024, Art. 8 Rn. 23 f.

4 OLG Karlsruhe BeckRS 2024, 2340 (Rn. 9); OLG Karlsruhe BeckRS 2015, 3539 (Rn. 7); *Schluckebier/Werner*, in: Satzger/Schluckebier/Werner (Hrsg.), Strafgesetzbuch-Kommentar, 6. Aufl. 2024, § 240 Rn. 5 ff., insb. Rn. 9.

5 BGHSt 41, 182 (184 ff.).

6 *Schluckebier/Werner*, in: Satzger/Schluckebier/Werner (Hrsg.), Strafgesetzbuch-Kommentar, 6. Aufl. 2024, § 240 Rn. 9, 20; *Eisele*, in: Schönke/Schröder (Hrsg.), Strafgesetzbuch, 30. Aufl. 2019, § 240 Rn. 26 f.; *Heger*, in: Lackner/Kühl/Heger (Hrsg.), Strafgesetzbuch, 30. Aufl. 2023, § 240 Rn. 22.

7 KG Berlin NJ 2024, 180 (182); AG Freiburg BeckRS 2023, 11463 (Rn. 24-43); *Erb*, NSTz 2024, 577 (578 f.).

ეს არის ძირითადი უფლებების ვიწროდ განმარტებული დაცული სფერო, რომელიც ქმნის დასჯადობის რისკებს. ამდენად, გერმანიაში გაურკვეველია, ექცევა თუ არა წმინდა ან, როგორც მინიმუმ, მეტწილად ფაქტობრივი ქცევა, სიტყვის თავისუფლების ცნების ქვეშ,⁸ ხოლო სიტყვისა და შეკრების თავისუფლება კი არ ამართლებს და არ იცავს სხვის საკუთრებაში ჩარევას.⁹ სწორედ აქ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამ ხედვის გადატანა შეუძლებელია სხვა სამართლებრივ სისტემებზე. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს უმაღლესი სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სიტყვის თავისუფლებამ, გარკვეული პირობებით, შესაძლოა, გაამართლოს ნივთების ჩამოხსნა (კონკრეტულად, საქმე ეხებოდა ქვეყნის პრეზიდენტის პორტრეტის ჩამოხსნას საჯარო შენობიდან).¹⁰ ეს მაგალითი ადასტურებს, რომ ნამდვილად ღირს, შიდასახელმწიფოებრივი პერსპექტივის სხვა სამართლებრივი სისტემების ძირითადი უფლებების გარანტიებთან შედარება.

III. ძირითადი უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში

მოდით, გადავხედოთ ევროპაში უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვან ძირითად უფლებათა წესრიგს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

კონვენციის მე-11 მუხლით უზრუნველყოფილმა შეკრების თავისუფლებამ დასაბამი დაუღო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადანწყვიტებას, რომლებსაც აქ ვერ შევხებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომ მაგალითად, დემონსტრაციების რეგისტრაციისა და ნებართვის გაცემის ფორმალური მოთხოვნები

8 *Grabenwarter*, in: Dürig/Herzog/Scholz (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 105 EL. 2024, Art. 5 Rn. 82.

9 *Kaiser*, in: Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 4. Aufl. 2023, Art. 5 Rn. 69; *Depenheuer*, in: Dürig/Herzog/Scholz (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 105. EL 2024, Art. 8 Rn. 85.

10 Cour de cassation, Crim., 29.03.2023, n° 22-83.458; Überblick zur Entwicklung der Rechtsprechung und Kritik bei *Saenko*, Revue Trimestrielle de Droit Commercial 2023, 463.

(რომელსაც სასამართლო არ მიიჩნევს ზოგადად დაუშვებლად), არ უნდა იქცეს შეკრების თავისუფლების და გამოხატვის ფარულ დაბრკოლებად.¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითხოვს სახელმწიფო სასამართლოებისაგან, ამ ფორმალური წინაპირობების გაუთვალისწინებლობისას, ტოლერანტობის გარკვეულ მასშტაბს; მათი შესრულება არ წარმოადგენს თვითმიზანს, რის გამოც, მათ მიმართ, კომპეტენტური უწყებების მხრიდან, მოქნილი მიდგომა უნდა მოხდეს.¹²

განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია საქმე კუდრევიჩიუსი ლიტვის წინააღმდეგ (Kudrevičius et al. v. Litauen), მათ შორის, გზის გადაკეტვის გერმანული მიდგომის გათვალისწინებით.¹³ საქმე ეხებოდა ფერმერების მიერ გზის გადაკეტვას, რამაც განაპირობა ფიზიკური დაპირისპირება შეფერხებული სატვირთო ავტომობილების მძღოლებთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ცალკეული პირების სპორადული ძალადობრივი ქმედებები, არ ზღუდავს სხვების შეკრების თავისუფლებას.¹⁴ სასამართლომ გზის გადაკეტვა შეაფასა, როგორც „მშვიდობიანი“, მიუხედავად იმისა, რომ გადაკეტვის ფაქტმა ფიზიკური დაბრკოლება წარმოშვა სატვირთო ავტომობილების მძღოლებისათვის. ეს არის „თითის დაქნევა“ გერმანული სასამართლოსათვისაც, რათა მან არ დაივიწყოს შეკრების თავისუფლება კლიმატის პროტესტების დროს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ცალკეულ გადაწყვეტილებებში, რომ იგი სიტყვის თავისუფლების გამოყენების სფეროს უფრო დიდსულოვნად ისურვებდა, ვიდრე ამას აკეთებდა გერმანია. მაგალითად, 2022 წელს, სასამართლომ სიტყვის თავისუფლების დარღვევად მიიჩნია ფრანგული სასამართლოს მიერ ფემინის აქტივისტების ექსპიზიციონიზმის ქმედების შემადგენლობის გამო გასამართლება.¹⁵ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დემონსტრანტები მესამე

11 EGMR, Urte. v. 07.02.207, Lashmankin and Others v. Russia, 57818/09, Rn. 451 ff., 456; Urte. v. 15.11.2018, Nawalnyy v. Russia, 29580/12, Rn. 140–142.

12 EGMR, Urte. v. 15.10.2015, Kudrevičius and Others v. Lithuania, 37553/05, Rn. 150; Urte. v. 15.11.2018, Nawalnyy v. Russia, 29580/12, Rn. 143.

13 EGMR, Urte. v. 15.10.2015, Kudrevičius and Others v. Lithuania, 37553/05.

14 EGMR, a.a.O., Rn. 94.

15 EGMR, Urte. v. 13.10.2022, Bouton v. France, 22636/19, Rn. 31 ff.

პირებს აფერხებენ გარკვეული მოქმედებების განხორციელებაში, მათ მაინც შეუძლიათ დაეყრდნონ სიტყვის თავისუფლებას: ეს გადაწყვეტილება (Steel and Others v. Vereinigtes Königreich¹⁶) ეხებოდა გარემოს აქტივისტების მოქმედებებს, Moorhuhn-ის ნადირობის თამაშებსა და გზების მშენებლობის საკითხებს; სასამართლომ დაადგინა: „It is true that these protests took the form of physically impeding the activities of which the applicants disapproved, but the Court considers nonetheless that they constituted expressions of opinion within the meaning of Article 10.“¹⁷ საქმეზე დრიმანი ნორვეგიის წინააღმდეგ (Drieman et al. v. Norwegen)¹⁸ დავის საგანი იყო ორგანიზაცია Greenpeace-ის საპროტესტო აქცია, რომლითაც ნორვეგიული გემი შეფერხდა ვეშაპის ჭერის დროს. ამ შემთხვევაშიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სიტყვის თავისუფლების დაცული სფერო (არ უმსჯელია რა ამომწურავად) უნდა იყოს სახეზე ფაქტობრივი ქცევის დროს. თუმცა, მოგვიანებით, სასამართლომ, ორივე გადაწყვეტილებაში, დასაშვებად მიიჩნია, ძირითადი უფლებების დონეზე, გარკვეული შეზღუდვების არსებობა. კონკრეტულად, დრიმანის გადაწყვეტილებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობის აქტები არ თავსდება იგივე დაცულ სფეროში, როგორც პოლიტიკური დებატები ან კიდევ არაძალადობრივი შეკრებები: „[...] the particular method of action used by the applicants amounted to a form of coercion forcing the whalers to abandon their lawful activity. In the Court’s view, the disputed interference related to conduct which could not enjoy the same privileged protection under the Convention as political speech or debate on questions of public interests or the peaceful demonstration of opinions on such matters [...].“¹⁹ როგორც მინიმუმ, დაცული სფეროს დონეზე, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა უფრო დიდ სივრცეს ქმნის სიტყვის თავისუფლებით ფაქტობრივი ქცევის დასაცავად. და ბოლოს, ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემდეგი სტანდარტი: მე-18 მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც კრძალავს ძირითადი უფლებების შეზღუდვის ბოროტად

16 EGMR, Ur t. v. 23.09.1998, Steel and Others v. The United Kingdom, 7/1997/851/1058.
17 EGMR, a.a.O., Rn. 92.
18 EGMR, Beschl. v. 04.05.2000, Drieman and Others v. Norway, 33678/96.
19 EGMR, a.a.O.

გამოყენებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, უკანასკნელ წლებში, დამოუკიდებელი როლი მიანიჭა ამ თითქოსდა უმნიშვნელო დებულებას, როდესაც სისხლის სამართალი ან სისხლის სამართლის საქმე/სამართალწარმოება პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენებოდა.²⁰ ეს ავტომატურად არ იგულისხმება უმეტეს შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკური პროტესტი გახდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხილვის საგანი. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სახის სისხლის სამართლის საქმეებზე, ჩამოყალიბდება სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება განსხვავებული აზრის ჩახშობაზე, ამას მოყვება მოპასუხე სახელმწიფოს დამატებითი გასამართლება მე-18 მუხლის დებულებების დარღვევის გამო. ამას კი განსაკუთრებით მასტიგმატიზებული მოქმედება აქვს.²¹

IV. ევროკავშირის ძირითადი უფლებები

გადავდივარ ჩემი მოხსენების მესამე ნაწილზე, ევროკავშირის ძირითადი უფლებების როლი პოლიტიკური საპროტესტო აქციების კონტექსტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის 2009 წლიდან სავალდებულო, ძირითადი უფლებების ქარტიაში ჩადებული უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგიას. ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ქარტით უზრუნველყოფილ გარანტიებს უნდა ჰქონდეთ იგივე მასშტაბები, როგორც შინაარსობრივად შესაბამის კონვენციურ უფლებებს. თუმცა შესაძლებელია, ქარტიამ უზრუნველყოს დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თავისუფლების უფრო პროგრესულ სივრცედ აღიქვამენ საკუთარ თავს, არ არის გამორიცხული, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ სამომავლოდ

20 დაწვრ. იხ. EGMR, Urt. v. 28.11.2017, Merabishvili v. Georgia, 72508/13 Rn. 264 ff. und 287 ff.; ასევე უფრო ადრინდელი საქმე Urt. v. 31.05.2011, Khodorkovskiy v. Russia, 5829/04, Rn. 254 f.; Urt. v. 03.07.2012, Lutsenko v. Ukraine, 6492/11, Rn. 108 ff.

21 Satzger/Zimmermann/Eibach, EuCLR 2014, 91, 111 ff.

უფრო ძლიერად მოახდინოს, საპროტესტო აქციების დროს, გარკვეული ძირითადი უფლებების ირგვლივ მსჯელობის გაშლა, ვიდრე ამას ამ დრომდე აკეთებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. თუმცა, ვინაიდან ეს ამ ეტაპზე ჯერ მოსალოდნელი არ არის, წინამდებარე ნაწილი ნაკლებად ეძღვნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასთან შედარებად, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის შინაარსობრივ დებულებებს, არამედ მათი გამოყენების საკითხს. ამას აქვს ორი მიზეზი: ერთი მხრივ, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის გამოყენება, მოქალაქის გადმოსახედიდან, ნიშნავს წარმოების გამარტივებას, იმ მოქალაქისა, რომლის მიმართ წარდგენილია სისხლისსამართლებრივი ბრალდება. მას არ მოუწევს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ინდივიდუალური საჩივრის წარსადგენად, გრძელი გზის გავლა (განსაკუთრებით, გასაჩივრების შიდასახელმწიფოებრივი რესურსების ამოწურვა), არამედ შეეძლება ზეგავლენა იქონიოს წევრი სახელმწიფოს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარდგინების გაკეთებაზე. მეორე მხრივ, ევროკავშირის ძირითადი უფლებები მონაწილეობას იღებს ევროკავშირის სამართლის უპირატეს გამოყენებაში.²² იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი სისხლის სამართლის ნორმა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით ცალსახად განხორციელებული იქნებოდა, დაუსჯელობის დასაბუთება მეთოდოლოგიურად შედარებით ადვილი იქნებოდა ევროკავშირის სამართლის ზოგადად აღიარებული უპირატესი გამოყენების პრინციპის საფუძველზე (რაც შეგვიძლია შევადაროთ კონვენციის შესაბამის სამართლის განვითარებას).²³

22 *Schwerdtfeger*, in: Meyer/Hölscheidt (Hrsg.), Charta der Grundrechte der Europäischen Union, 4. Aufl. 2024, Art. 51 Rn. 25; *Jarass*, in: Jarass (Hrsg.), Charta der Grundrechte der EU, 4. Aufl. 2021, Einl. Rn. 9, Art. 51 Rn. 19.

23 შიდა ბაზართან დაკავშ. იხ. მაგ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 10. Aufl., 2020, § 9 Rn. 92 ff., insbes. Rn. 95.

1. რეტროსპექტივა: პოლიტიკური პროტესტი და თავისუფალი გადაადგილება შიდა ბაზარზე

თუ რა როლი აქვს ძირითად უფლებებს ევროკავშირის სამართალში – ან აღრინდელ ევროგაერთიანებაში – პოლიტიკური საპროტესტო აქციების კონტექსტში, არც თუ ისე ახალი საკითხია. ეს კითხვა გაჩნდა ჯერ კიდევ 25 წლის წინ, როდესაც, საპროტესტო აქციის შედეგად, გადაიკეტა ავსტრიასა და იტალიას შორის ავტობანი. ამის შედეგად, სატრანსპორტო კომპანიები რამდენიმე დღით შეფერხდნენ და ვერ ახერხებდნენ ავტობანით სარგებლობას, რის გამოც ავსტრიის რესპუბლიკისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს. მათი დასაბუთება იყო შემდეგი: საქონელბრუნვის ევროპული თავისუფლების დასაცავად, ავსტრიის კომპეტენტურ უწყებებს უნდა უზრუნველყოთ აღნიშნული ბლოკადის აღკვეთა და დაშლა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ კი აღნიშნა, შმიდბერგერის საქმეზე, რომ ევროპული ძირითადი თავისუფლებები (როგორცაა, მაგალითად, საქონელბრუნვის თავისუფლება) შეზღუდვადია, იმ ძირითადი უფლებების უზრუნველსაყოფად, როგორებიცაა სიტყვისა და შეკრების თავისუფლება.²⁴ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წევრი სახელმწიფოები, მსგავს შემთხვევაში, უფლებამოსილნი არიან, დაუშვან პოლიტიკური საპროტესტო აქცია. ეს სულაც არ არის წევრი სახელმწიფოების ვალდებულება. გადანწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა, რომ პოლიტიკური საპროტესტო აქციების დროს, ევროპულმა ძირითადმა უფლებებმა განაპირობონ ეროვნული სისხლის სამართლის შეზღუდვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი ტენდენცია ნამდვილად შეინიშნება: შეზღუდვადია თვით ძირითადი თავისუფლებებიც კი, როგორცაა ევროპული შიდა ბაზარი, თუ ეს აუცილებელია მოქალაქეთა დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური მონაწილეობისთვის.

24 EuGH, Rs. C-112/2000, Schmidberger, Rn. 74 ff.

2. ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია

როდესაც განვიხილავთ ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიას, მნიშვნელოვანი საკითხია, თუ საერთოდ რამდენად გამოყენებადია ისინი, როდესაც პოლიტიკური პროტესტი იქცევა სისხლისსამართლებრივ სანქციებად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების ქარტიის 51-ე მუხლის პირველ პუნქტი: ქარტიის ძირითადი უფლებები სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისთვის ევროკავშირის სამართლის „დანერგვის დროს“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროკავშირის ძირითადი უფლებები უზრუნველყოფს დაცვის ფართო სტანდარტს, როგორც ეროვნულ გარანტიას, რაც გერმანული და არა ევროკავშირის გადმოსახედიდან, უფრო მეტად გამონაკლისია (ვინ იცის, იქნებ სამომავლოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა უფრო ძლიერად განვითარდეს ევროკავშირის ძირითადი უფლებების მიმართულებით, რათა ეს, გერმანული გადმოსახედიდან, უფრო მნიშვნელოვანი გახდეს?), წინასწარ ყოველთვის იბადება კითხვა, შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეზე, პოლიტიკური პროტესტის ფონზე. აქ ვხედავ ძალიან საინტერესო საარგუმენტაციო პოტენციალს.

a) სისხლისსამართლებრივი დებულებები ევროკავშირის სამართლის დასაწერად

ქარტით უზრუნველყოფილი გარანტიების გამოყენება შესაძლებელია 51-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ქმედების შემადგენლობა წარმოადგენს ევროკავშირის სამართლის რეგულირების საგანს. განსაკუთრებით, თუ მისი მიზანია, ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დანერგვა წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის სპრემონიზაციის მიზნით. გერმანული გადმოსახედიდან, კარგი მაგალითია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ 2008 წლის ჩარჩო-გადაწყვეტილება,²⁵ რომელიც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, კრიმინალური დაჯგუფების წევრობის ქმედების შემადგენლობის შემოღებას (ან არსებულის შენარჩუნებას). გერმანიაში,

25 Rahmenbeschluss 2008/841/JI, ABI. L 300 vom 11.11.2008, 42-45.

კლიმატის დაცვის ინტენსიური პროტესტის გამო, მიმდინარეობდა გამოძიება „ბოლო თაობის“ დაჯგუფების წევრების წინააღმდეგ, თითქოსდა მათ ჩაედინოთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე პარაგრაფით დასჯადი ქმედება.²⁶ ამ გამოძიების საფუძველი გახდა ის, რომ აღნიშნული ჯგუფის წევრები სისტემატურად აწყობდნენ გზის გადაკეტვის აქციებს, რაც, გარკვეული წინაპირობების საფუძველზე, ქმნიდა შემდეგ ქმედების შემადგენლობებს, კერძოდ, იძულებას ან სატრანსპორტო მოძრაობისთვის საფრთხის შექმნას. ამ შემთხვევაში საქმე ეხება კავშირის სამართლით განსაზღვრული, ანუ ხსენებული ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციისთვის განკუთვნილი დანაშაულის შემადგენლობის (სსკ § 129) გამოყენებას, რის გამოც ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის გამოყენება მისი 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შესაძლებელია.

თუმცა, აქ თავს იჩენს სპეციფიკური პრობლემა: ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება განსაზღვრავს დანაშაულებრივ გაერთიანებას, როგორც პირთა წრეს, რომლებიც ჩადიან დანაშაულს ფინანსური სარგებლის მისაღებად. ასეთი სარგებლის მიღების მოტივაცია კი არ ამოძრავებდა „ბოლო თაობას“. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, თავის მხრივ, არ შეიცავს ფინანსური სარგებლის მიღების მოტივაციას, როგორც დასჯის წინაპირობას; ანუ, გერმანელი კანონმდებელი უფრო შორს წავიდა ქმედების კრიმინალიზაციის მხრივ, ვიდრე ამას მოითხოვდა ევროკავშირის სამართლებრივი აქტი. შეიძლება ითქვას ამის ფონზე, რომ აღნიშნული გერმანული სისხლისსამართლებრივი ნორმა ემსახურება ევროკავშირის რეგულაციის დანერგვის მიზანს? ფორმალურად, პასუხი საკმაოდ ცხადია - „არა“: ევროკავშირის ჰარმონიზაციის სამართლებრივი აქტები, სისხლის სამართლის სფეროში, განსაზღვრავს კრიმინალიზაციის მხოლოდ მინიმალურ სტანდარტს (ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების 83-ე მუხლით გათვალისწინებული კომპეტენცია).

26 ob. მაგ. „Durchsuchungen in sieben Bundesländern – Razzien bei ‚Letzte Generation‘ und Homepage abgeschaltet“ in: Legal Tribune Online, 24.05.2023, https://www.lto.de/persistent/a_id/51839 (ნანახია 17.12.2024); კრიტ. *Kuhli/Papenfuß*, *KriPoZ* 2023, 71-77; *Seel*, *StV* 2023, 784-791; *Ebbinghaus*, *HRRS* 2023, 318-325.

იმ შემთხვევაში, თუ ქმედების შემადგენლობის მოწესრიგება წევრ სახელმწიფოში მოიცავს იმგვარ შემთხვევას, რომელიც არ უნდა იყოს დასჯადი ევროკავშირის სამართლებრივი აქტით, ნორმა, ერთი შეხედვით, არ ემსახურება ევროკავშირის რეგულაციის დანერგვის მიზანს. სხვაგვარად იქნებოდა საქმე, ევროკავშირის სამართლებრივი აქტი დასჯადი ქმედების ზედა ზღვარს რომ აწესებდეს (რაც რთულად წარმოსადგენია ევროკავშირის დღევანდელი კომპეტენციის საფუძველზე, სპეციფიურად სისხლისსამართლებრივად მოწესრიგებული სამართლებრივი აქტების დროს²⁷).

თუმცა, მე მაინც მინდა შევეცადო ვაჩვენო, რომ სხვა არგუმენტაციაც არ არის სრულიად გამორიცხული: პირველ რიგში, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი დანაშაული - გერმანიის შემთხვევაში კრიმინალური გაერთიანება § 129-ის მიხედვით - აბსტრაქტულად მაინც ემსახურება ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციას. მაშინაც კი, როდესაც ის გამოიყენება საქმეზე, რომელიც არ არის მოცული ევროკავშირის კრიმინალიზაციის მოთხოვნით, გამოიყენება ნორმა, რომელიც (სხვა მახასიათებლების მხრივ, ანუ პირთა ორგანიზებული გაერთიანების დანაშაულის ჩადენის მიზნით) ემსახურება კავშირის სამართლის იმპლემენტაციას. მეორე, ძირითადი უფლებების პერსპექტივიდან, საკმაოდ უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შინაარსობრივად უფრო შებლუდული სისხლის სამართლის ნორმის მიმართ მოქმედებს ევროკავშირის ძირითადი უფლებები, ხოლო უფრო ფართო შინაარსის სისხლის სამართლის ნორმის მიმართ, რომლითაც წევრი სახელმწიფო სცდება ევროკავშირის მოთხოვნებს - არა. თუ კავშირის კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ქმედება (მაგალითად, დანაშაულის ჩასადენად გაერთიანება ეკონომიკური სარგებლის მიღების განზრახვის გარეშე) არ არის იმდენად მძიმე, რომ საჭიროებდეს კავშირის მასშტაბით დასჯადობას, მაშინ წევრი სახელმწიფოს უფრო მკაცრი სისხლის სამართლის ნორმა უნდა ექვემდებარებოდეს კიდევ

27 ეს შესაძლებელია სამართლებრივ აქტებში, მაგალითად, ერთიანი შიდა ბაზრის სფეროში, რომლებიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წინაპირობების საფუძველზეა შესაძლებელი გარკვეული საქონლისა ან მომსახურების მიმოქცევაში შემოტანა, ასევე მათი იმავდროული განმარტება, თუ რა არ უნდა იყოს დასჯადი.

უფრო მკაცრ ძირითად უფლებათა შემოწმებას. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არგუმენტირება, რომ ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ევროკავშირის ძირითადი უფლებები, ეს აბსტრაქტული ხედვა, ქარტიის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის ფუნქციის გათვალისწინებით, რომელიც ზღუდავს ევროკავშირის კომპეტენციებს და იცავს ეროვნულ ძირითად უფლებათა რეჟიმებს, საუკეთესო შემთხვევაში მყიფე საფუძველზე დგას.

თუმცა, მოდით, გვერდზე გადავლოთ ეს სპეციალური პრობლემა და დავასკვნათ შემდეგი: რამდენადაც პოლიტიკური პროტესტების დროს გამოყენებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, რომელიც ევროკავშირის სამართლით არის განსაზღვრული, გამოიყენება ევროკავშირის ძირითადი უფლებები. კრიმინალური დაჯგუფებების მიღმა მაგალითები არსებული ჰარმონიზაციის სამართლებრივი აქტების საფუძველზე ალბათ არც ისე ბევრი მოიძებნება. ისრაელის მხრიდან ღამასა და ღამებში მოქმედებასთან დაკავშირებით მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, შესაძლებელია რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებაზე მითითება,²⁸ რომელიც 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, დასჭადად გამოაცხადონ რელიგიური ნიშნით განსაზღვრული პირთა ჯგუფის მიმართ სიძულვილის გაღვივება. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომლის მიზანია კრიმინალიზაციის ვალდებულების დანერგვა, გამოყენებადია ევროკავშირის ძირითადი უფლებები. დასაფიქრებელია ასევე საპროტესტო აქციები, რაც გვაძლევს კომპიუტერული საბოტაჟის შემადგენლობას, ევროკავშირის საინფორმაციო სისტემებზე თავდასხმასთან ბრძოლის დირექტივის შესაბამისად²⁹. ზოგადად, რაც უფრო სიღრმისეულად ერევა ევროკავშირი წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართალში (მუდმივად განხილვის ქვეშ მყოფი, თუმცა ჯერ კიდევ არმიღებული სიძულვილის ენასთან ზოგადი სისხლისსამართლებრივი ბრძოლის დირექტივის კონტექსტში)³⁰, მით უფრო მარტივია ამ სფეროში ევროკავშირის ძირითად უფლებებზე დაყრდნობა.

28 Rahmenbeschluss 2008/913/JI, ABl. L 328 vom 06.12.2008, 55-58.

29 Richtlinie 2013/40/EU, ABl. L 218 vom 14.08.2013, 8-14.

30 თუმცა, იხ. die Richtlinie (EU) 2024/1385 zur Bekämpfung von Gewalt gegen Frauen (ABl. L 2024/1385 vom 24.05.2024), რომელიც ციფრულ სამყაროში სიძულვილის ენის გამოვლინებასაც ეხება (Art. 7 und 8).

b) ევროკავშირის ძირითადი უფლებების გამოყენება ევროპული დემოკრატიის პრინციპის საფუძველზე?

ნება მიბოძეთ, დასასრულ, წარმოგიდგინოთ იდეა, თუ როგორაა შესაძლებელი, პოლიტიკური პროტესტის ფონზე, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქართის უფრო მასშტაბური გამოყენება. ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური პროტესტი, უპირველეს ყოვლისა, ეხება მასა და მის სამართლებრივ სისტემას. იმავდროულად, ევროკავშირს შეუძლია, ევროპული გადაწყვეტილების კონტექსტში, ზეგავლენა იქონიოს წევრი სახელმწიფოს პოზიციაზე – როდესაც ეროვნული ხელისუფლება, საპროტესტო ტალღის ფონზე, დაბლოკავს ევროკავშირის გეგმას. უფრო მეტიც, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ევროპარლამენტის პოზიცია; თანაგადაწყვეტილების პროცედურა, რომლის საფუძველზეც სამართლებრივ აქტზე აუცილებელია ევროპარლამენტის თანხმობაც, სისხლის სამართალშიც მოქმედებს. ბუნებრივია, ევროპარლამენტის წევრები აირჩევიან დემოკრატიულად. პოლიტიკურმა პროტესტმა კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ევროპარლამენტართა მოქმედებებზე დემოკრატიულ პროცესებში. რა თქმა უნდა, ამას შეიძლება მოჰყვეს შედეგები ამომრჩეველთა გადაწყვეტილების თვალსაზრისით ევროპარლამენტის არჩევნებზე.

ეს არ არის წმინდა წყლის ფაქტობრივი დაკვირვება, არამედ გამაგრებულია ევროპულ პირველად სამართალში. ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, დემოკრატიის პრინციპი არის მთლიანობაში ევროკავშირის საყრდენი სვეტი. ევროკავშირის ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ევროკავშირის საქმიანობის წესი ეფუძნება წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპს; მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს ევროპულ საბჭოში წარმოდგენილ მთავრობათა, მათივე სახელმწიფოში დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი კი უფლებას ანიჭებს ნებისმიერ მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ, მსურს, დავსვა ეს კითხვა, შეიძლება თუ არა, ევროკავშირის ძირითადი უფლებების გამოყენება გამომდინარეობდეს ევროპული სამართლის ამ განხორციელებული

დემოკრატიის პრინციპიდან? იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო სისხლისსამართლებრივად რეაგირებს პოლიტიკურ პროტესტზე, იგი ხომ არ არის შებოჭილი ევროკავშირის სამართლებრივი დებულებებით? სისხლისსამართლებრივი დევნა ხომ უხეშად ხელყოფს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას (ლისაბონის ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი). შესაძლოა, დემოკრატიის პრინციპის ხსენებული ნორმები, ლისაბონის ხელშეკრულების დადებისას, მოიაზრებოდა, როგორც დეკლარაციული ხასიათისა, რამეთუ სერიოზულად არავის უფიქრია იმაზე, რომ პოლიტიკური აზრის თავისუფლებაში ჩასარეგად, ევროპაში მოხდებოდა სისხლის სამართლის ბოროტად გამოყენება. ამისდა მიუხედავად, ეს ნორმები დღესდღეობით მოქმედი ევროპული სამართალია, ხოლო წევრი სახელმწიფო კი, რომელიც, სისხლისსამართლებრივი მეთოდებით ებრძვის პოლიტიკურ პროტესტს, შებოჭილია მათი მოქმედებით. ანუ, ნებისმიერ მათგანს ეკისრება მტკიცების ტვირთი, შეესაბამება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა მოქალაქეთა მიერ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის პრინციპს. თავად დასაბუთების ვალდებულებაც კი ცხადყოფს იმას, რომ აუცილებელია ლისაბონის ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დებულებებზე, ანუ, ევროკავშირის პრინციპების გამოყენებაზე ორიენტაცია, იმ შედეგით, რომ გამოყენებადი იყოს ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის ნორმები.

ამასთანავე, შესაძლებელია მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის უშუალოდ გამოყენება მისი შინაარსობრივი სიცხადისა და განუსაზღვრელობის გამო,³¹ რის გამოც ეს ნორმა შეიძლება კოლიზიური იყოს წევრი სახელმწიფოს სამართალში სისხლისსამართლებრივი დევნისა. ამ შემთხვევაში, საჭირო აღარ იქნება ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „შემოვლითი გზა“. თუმცა, ევროკავშირის სამართლით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლებელი უნდა იყოს ძირითადი უფლებების საფუძველზე. საბოლოოდ, ყველაფერი მანაც დამოკიდებულია ძირითადი უფლებების ქარტიის განმარტებაზე.

31 *Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, 10. Aufl., 2020, § 8 Rn. 14.*

ამ სამართლებრივი კონსტრუქციის შედეგები საკმაოდ მასშტაბურია. თუმცა, ვინაიდან ეს არ არის მხოლოდ საკვირაო ქადაგება, რომ ევროკავშირი წარმოადგენს ევროპის ხალხთა უფრო მჭიდრო გაერთიანებას (ლისაბონის ხელშეკრულების პირველი მუხლი), გასათვალისწინებელია ასევე სულ უფრო მზარდი პოლიტიკური კონტექსტი. როდესაც პოლიტიკური პროტესტი ეხება იმსაკითხს, რომელიც (ასევე) წარმოადგენს ევროკავშირის რეგულირების კომპეტენციას, მას აქვს ევროპული განზომილება. სწორედ ამიტომ, გაგვიჩნია ევროპული ძირითადი უფლებების გამოყენების კარგი არგუმენტები.

V. დასკვნა

რა დასკვნა შეგვიძლია დასასრულ გამოვიტანოთ? მე შევეცადე, ცალკეული, შერჩეული გადაწყვეტილებების საფუძველზე, გამეკეთებინა გარკვეული განმარტებები, თუ რამდენად შესაძლებელია დამატებითი შეზღუდვების დაწესება სისხლის სამართლის საქმეზე, პოლიტიკური პროტესტის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძირითადი უფლებების მხრივ, ისეთი სახელმწიფოს გადმოსახედიდან, როგორცაა გერმანია, რომელიც აცხადებს საკუთარ თავს სრულყოფილ დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოდ. ასევე შევეცადე, ამეხსნა, რომ უფრო ძლიერი როლი ეკისრება ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიასაც. შესაძლოა, ეს უკანასკნელი შინაარსობრივად ჯერ არ იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციამე უფრო მასშტაბური, თუმცა, ის მაინც აძლიერებს ევროპული ძირითადი უფლებების უნარიანობას სისხლის სამართლის საქმეზე. ხოლო, თუ ამან ხელი შეიძლება შეუწყოს იმას, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური პროტესტი თავისუფალი იყოს არაპროპორციული სისხლის სამართლებრივი რეპრესიებისაგან, ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი.

DER UMGANG DES STRAFRECHTS MIT POLITISCHEM PROTEST – AUS DER PERSPEKTIVE DER EUROPÄISCHEN GRUNDRECHTE

Prof. Dr. **Frank Zimmermann**, Universität Freiburg

I. Einleitung

Schon wenige Stichworte genügen, um zu veranschaulichen, dass wir in einer Zeit der Polykrise leben: COVID-19-Pandemie, Rechtsstaatskrise, Klimakrise, Krieg in der Ukraine und in Gaza. Hier in Georgien müssen außerdem natürlich die innenpolitischen Verwerfungen mit Blick auf eine prowestliche Ausrichtung des Landes erwähnt werden. Solche Krisen sind stets auch Anlass für politische Proteste – und da dies eine strafrechtliche Tagung ist, interessiert hier in erster Linie deren strafrechtliche Schattenseite. Auch wenn es dabei nicht zu körperlichen Auseinandersetzungen kommt, ist die Bandbreite in Betracht kommender Straftatbestände immens. Denken lässt sich zum einen an eher formale Strafvorschriften, die etwa bestimmte Anforderungen an die Anmeldung oder Durchführung von Demonstrationen regeln. Zum anderen kommen zahlreiche Allgemeindelikte in Betracht, etwa Widerstandsdelikte im Zusammenhang mit der Nichtbefolgung polizeilicher Anweisungen, bei einer Straßenblockade eine Nötigung von Verkehrsteilnehmern sowie ein gefährlicher Eingriff in den Straßenverkehr, der Tatbestand der Beleidigung und andere Äußerungsdelikte, Sachbeschädigung (z.B. wenn öffentliche Gegenstände mit Graffiti beschriftet werden) etc. Diese Auflistung ließe sich noch lange fortsetzen.

Dieser Beitrag wird der Frage nachgehen, welche Grenzen sich aus den Grundrechten – und genauer: den europäischen Grundrechten – für die Strafverfolgung anlässlich politischer Proteste ergeben. Dafür werde ich zunächst kurz einige Schlaglichter auf die innerstaatlichen Grundrechte werfen, und zwar am Beispiel des deutschen Rechts. Zweitens werde ich mich, wiederum nur überblicksartig, mit Garantien der Europäischen Menschenrechtskonvention (EMRK) befassen. Drittens werde ich mich den Grundrechten im Recht der Europäischen Union (EU) zuwenden, insbesondere der EU-Grundrechtecharta (GRC).

II. Die innerstaatlichen Grundrechte

Als ich das letzte Mal in Tbilissi einen Vortrag halten durfte, lautete der Titel: „Das Verhältnis von Strafrecht und Meinungs- bzw. Versammlungsfreiheit bei politischen Demonstrationen in Deutschland“. Da dieser Text zwischenzeitlich publiziert wurde,¹ werde ich auf die seinerzeit behandelten Aspekte heute nicht noch einmal vertieft eingehen. Zusammenfassend lässt sich aber Folgendes sagen: Bei politischen Protestaktionen spielen in Deutschland die Grundrechte der Meinungsfreiheit (Art. 5 Abs. 1 GG) und der Versammlungsfreiheit (Art. 8 GG) eine zentrale Rolle. Beide sind jedoch nicht vorbehaltlos gewährleistet: Die Meinungsfreiheit unterliegt den Schranken der allgemeinen Gesetze (Art. 5 Abs. 2 GG), wozu insbesondere auch die Strafgesetze zählen. Versammlungen sind nur geschützt, soweit sie „friedlich“ ablaufen – daran ließe sich bei oberflächlicher Betrachtung zweifeln, wenn es im Rahmen einer Versammlung zur Begehung von Straftaten kommt (insbesondere einer Nötigung mit dem in Deutschland sehr weit verstandenen Tatbestandsmerkmal der „Gewalt“). Deshalb hat das Bundesverfassungsgericht schon früh festgehalten, dass die (Straf-)Gesetze, die der Meinungsfreiheit Grenzen setzen, selbst im Lichte der Meinungsfreiheit restriktiv ausgelegt werden müssen.² Ebenso bestimmt sich die Friedlichkeit einer Versammlung nicht danach, ob es im Zuge derselben zu strafbaren Nötigungen kommt, sondern anhand eines eigenständigen, verfassungsrechtlichen Maßstabs. Danach fallen jedenfalls passive Formen des Protests – mögen sie sich aus einer strafrechtlichen Perspektive auch als „Gewalt“ darstellen – in den Schutzbereich der Versammlungsfreiheit.³

Allerdings lassen die innerstaatlichen Grundrechte teils beträchtliche Spielräume für die Bestrafung von politischen Protestaktionen. Berühmt-berüchtigt ist in Deutschland die schon angeklungene Weite des Gewaltbegriffs im Nötigungstatbestand des § 240 StGB. Sobald eine Protestaktion ein physisches Hindernis für andere Personen begründet (etwa durch Anketten, wohl auch durch

1 *F. Zimmermann*, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), *Deutsch-georgischer Rechtsdialog. Strafrecht und Menschenrechte*, Tbilissi 2023, S. 169 ff.

2 BVerfGE 7, 198 (208 f.); BVerfGE 93, 266 (290); BVerfGE 111, 147 (155).

3 BVerfGE 73, 206 (248 f.); BVerfGE 104, 92 (104 ff., insb. 106); *Gusy*, in: Huber/Voßkuhle (Hrsg.), *Grundgesetz*, 8. Aufl. 2024, Art. 8 Rn. 23 f.

das Festkleben an der Straße), kann darin ein als Nötigung zu qualifizierender Akt der Gewalt gesehen werden.⁴ Ebenso hat jede deutsche Jurastudierende wohl schon einmal von der „Zweite-Reihe-Rechtsprechung“ gehört, der zufolge eine strafbare Nötigung auch vorliegen kann, wenn eine Sitzdemonstration dazu führt, dass Autofahrer anhalten und selbst zu einem körperlichen Hindernis für weitere Verkehrsteilnehmer werden.⁵ Grundrechte wie die Versammlungsfreiheit und ein gesellschaftliches Kommunikationsanliegen können dann nur noch im Rahmen der Feststellung der von § 240 Abs. 2 StGB vorausgesetzten „Verwerflichkeit“ berücksichtigt werden.⁶ Die hiermit verbundene Gesamtabwägung fällt gerade bei massenwirksamen Blockadeaktionen leicht zuungunsten des Angeklagten aus.⁷ Neben der Weite von Strafvorschriften ist es teils auch der eng interpretierte Schutzbereich von Grundrechten, der Strafbarkeitsrisiken schafft. So ist in Deutschland zweifelhaft, inwieweit rein oder doch wenigstens vorwiegend tatsächliches Verhalten der Meinungsfreiheit unterfällt,⁸ und sowohl die Meinungs- als auch die Versammlungsfreiheit schützen im Grundsatz keine Eingriffe in fremdes Eigentum.⁹ Schon an dieser Stelle sei erwähnt, dass diese Sichtweise nicht zwangsläufig auf andere Rechtsordnungen übertragen werden kann. So gibt es beispielsweise in Frankreich höchstrichterliche Rechtsprechung dazu, dass die Meinungsfreiheit unter bestimmten Umständen selbst die Wegnahme von Gegenständen (konkret ging es um ein Portrait des Staatspräsidenten aus einem öffentlichen Gebäude) legitimieren kann.¹⁰ Dieser hier nur angedeutete Blick

4 OLG Karlsruhe BeckRS 2024, 2340 (Rn. 9); OLG Karlsruhe BeckRS 2015, 3539 (Rn. 7); *Schluckebier/Werner*, in: Satzger/Schluckebier/Werner (Hrsg.), Strafgesetzbuch-Kommentar, 6. Aufl. 2024, § 240 Rn. 5 ff., insb. Rn. 9.

5 BGHSt 41, 182 (184 ff.).

6 *Schluckebier/Werner*, in: Satzger/Schluckebier/Werner (Hrsg.), Strafgesetzbuch-Kommentar, 6. Aufl. 2024, § 240 Rn. 9, 20; *Eisele*, in: Schönke/Schröder (Hrsg.), Strafgesetzbuch, 30. Aufl. 2019, § 240 Rn. 26 f.; *Heger*, in: Lackner/Kühl/Heger (Hrsg.), Strafgesetzbuch, 30. Aufl. 2023, § 240 Rn. 22.

7 KG Berlin NJ 2024, 180 (182); AG Freiburg BeckRS 2023, 11463 (Rn. 24-43); *Erb*, NStZ 2024, 577 (578 f.).

8 *Grabenwarter*, in: Dürig/Herzog/Scholz (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 105 EL 2024, Art. 5 Rn. 82.

9 *Kaiser*, in: Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 4. Aufl. 2023, Art. 5 Rn. 69; *Depenheuer*, in: Dürig/Herzog/Scholz (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, 105. EL 2024, Art. 8 Rn. 85.

10 Cour de cassation, Crim., 29.03.2023, n° 22-83.458; Überblick zur Entwicklung der Rechtsprechung und Kritik bei *Saenko*, Revue Trimestrielle de Droit Commercial 2023, S. 463.

über die Grenze zeigt, dass es sich lohnt, die innerstaatliche Perspektive mit den Grundrechtsgarantien anderer Rechtsordnungen abzugleichen.

III. Die Grundrechte der Europäischen Menschenrechtskonvention (EMRK)

Lassen Sie uns deshalb nun im nächsten Schritt auf die zweifellos bedeutsamste Grundrechtsordnung in Europa blicken: die Europäische Menschenrechtskonvention (EMRK).

Speziell die in Art. 11 EMRK gewährleistete Versammlungsfreiheit hat bereits zu einer so großen Vielzahl von Entscheidungen des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) Anlass gegeben, dass sie hier nicht ansatzweise referiert werden kann. Wichtig ist insbesondere das Verlangen des EGMR, dass formale Anforderungen, etwa an die Anmeldung oder Genehmigung von Demonstrationen (die der Gerichtshof nicht pauschal für unzulässig hält), nicht zu einem versteckten Hindernis für die Ausübung der Versammlungsfreiheit werden dürfen.¹¹ Der EGMR verlangt von den staatlichen Gerichten bei der Nichtbeachtung solcher formaler Voraussetzungen ein gewisses Maß an Toleranz; ihre Einhaltung stelle keinen Selbstzweck dar, weshalb sie seitens der Behörden flexibel gehandhabt werden müssten.¹²

Besondere Erwähnung verdient vor dem Hintergrund der gerade geschilderten deutschen Herangehensweise an Straßenblockaden auch der Fall *Kudrevičius et al. v. Litauen*.¹³ Dort ging es um eine Straßensperre von Bauern, die partiell zu körperlichen Auseinandersetzungen mit an der Durchfahrt gehinderten LKW-Fahrern führte. Der EGMR betonte insoweit, dass sporadische Gewalttätigkeiten Anderer einem Versammlungsteilnehmer nicht den Schutz der Versammlungsfreiheit nehmen.¹⁴ Die Straßenblockade als solche ordnete

11 EGMR, Urt. v. 07.02.207, *Lashmankin and Others v. Russia*, 57818/09, Rn. 451 ff., 456; Urt. v. 15.11.2018, *Nawalnyy v. Russia*, 29580/12, Rn. 140–142.

12 EGMR, Urt. v. 15.10.2015, *Kudrevičius and Others v. Lithuania*, 37553/05, Rn. 150; Urt. v. 15.11.2018, *Nawalnyy v. Russia*, 29580/12, Rn. 143.

13 EGMR, Urt. v. 15.10.2015, *Kudrevičius and Others v. Lithuania*, 37553/05.

14 EGMR, a.a.O., Rn. 94.

der Gerichtshof im Umkehrschluss als „friedlich“ ein, obwohl sie ein physisches Hindernis für die LKW-Fahrer begründete. Darin können (und sollten) auch deutsche Gerichte einen Fingerzeig sehen, dass sie die Versammlungsfreiheit bei Klimaprotesten jedenfalls nicht vorschnell außer Acht lassen dürfen.

In manchen Entscheidungen hat der Gerichtshof ferner angedeutet, dass er auch den Anwendungsbereich der Meinungsfreiheit etwas großzügiger zu ziehen scheint, als dies in Deutschland der Fall ist. So hat er im Jahr 2022 die Verurteilung einer Femen-Aktivistin aufgrund eines Exhibitionismus-Tatbestands durch ein französisches Gericht als Verletzung der Meinungsfreiheit gerügt.¹⁵ Selbst wenn Demonstrierende Dritte körperlich an der Vornahme einer Handlung hindern, ist es ihnen nicht von vornherein verwehrt, sich auf die Meinungsfreiheit zu berufen: Die Entscheidung *Steel and Others v. Vereinigtes Königreich*¹⁶ betraf Proteste von Umweltaktivisten gegen eine Moorhuhnjagd und einen Straßenbau; hierin stellte der Gerichtshof recht deutlich fest: „It is true that these protests took the form of physically impeding the activities of which the applicants disapproved, but the Court considers nonetheless that they constituted expressions of opinion within the meaning of Article 10.“¹⁷ Im Fall *Drieman et al. v. Norwegen*¹⁸ ging es um eine Protestaktion von Greenpeace, mit der ein norwegisches Schiff am Walfang gehindert wurde. Auch in diesem Fall unterstellte der Gerichtshof zunächst (ohne sich insoweit abschließend festzulegen), dass der Schutzbereich der Meinungsfreiheit bei rein tatsächlichem Verhalten eröffnet sein kann. Allerdings nahm der Gerichtshof in beiden Entscheidungen später eine Einschränkung auf der Ebene der Grundrechtsschranken vor. Speziell in der *Drieman*-Entscheidung postulierte der Gerichtshof, dass Akte der Nötigung nicht den gleichen rechtlichen Schutz genießen wie politische Debattenbeiträge oder gewaltfreie Versammlungen: „[...] the particular method of action used by the applicants amounted to a form of coercion forcing the whalers to abandon their lawful activity. In the Court’s view, the disputed interference related to conduct which could not enjoy the same privileged protection under the Convention as political speech or

15 EGMR, Urf. v. 13.10.2022, *Bouton v. France*, 22636/19, Rn. 31 ff.

16 EGMR, Urf. v. 23.09.1998, *Steel and Others v. The United Kingdom*, 7/1997/851/1058.

17 EGMR, a.a.O., Rn. 92.

18 EGMR, Beschl. v. 04.05.2000, *Drieman and Others v. Norway*, 33678/96.

debate on questions of public interests or the peaceful demonstration of opinions on such matters [...].¹⁹ Zumindest auf der Ebene des Schutzbereichs aber lässt sich in der EGMR-Rechtsprechung eine größere Aufgeschlossenheit für den Schutz tatsächlichen Verhaltens durch die Meinungsfreiheit sehen.

Zuletzt sei noch auf ein Spezifikum der EMRK hingewiesen: Ihr Art. 18 enthält eine Vorschrift, die einen Missbrauch von Grundrechtseinschränkungen untersagt. Dieser auf den ersten Blick recht unscheinbaren Vorschrift hat der EGMR in den letzten Jahren eine eigenständige Rolle beigemessen, wenn das Strafrecht oder Strafverfahren zu politischen Zwecken missbraucht wird.²⁰ Davon wird man sicherlich bei den allermeisten Fällen, wenn politische Proteste zu einem Fall für die Strafjustiz werden, noch nicht sprechen können. Wenn sich in solchen Strafverfahren aber ein System offenbart, das auf die Unterdrückung einer missliebigen Meinung ausgerichtet ist, kommt unter Umständen eine zusätzliche Verurteilung des betreffenden Staates wegen eines Verstoßes gegen Art. 18 EMRK in Betracht – die dann sogar eine besonders stigmatisierende Wirkung hat.²¹

IV. Die Grundrechte der Europäischen Union

Ich komme nun zum dritten Teil des Vortrags: Der Rolle der Grundrechte der Europäischen Union bei politischen Protestaktionen. Dabei ist vorwegzuschicken, dass die in der seit 2009 rechtsverbindlichen Grundrechte-Charta verbürgten Rechte vielfach der EMRK nachgebildet sind. Art. 52 Abs. 3 der Charta sagt ausdrücklich, dass die Charta-Garantien dieselbe Reichweite haben sollen wie inhaltlich entsprechende Konventionsrechte. Natürlich bleibt es aber möglich, dass die Charta ein höheres Schutzniveau bereitstellt als die EMRK – im Hinblick darauf, dass die Mitgliedstaaten der EU sich als besonders fortschrittlicher Raum

19 EGMR, a.a.O.

20 Ausführliche Zusammenstellung und Konsolidierung der Rechtsprechung in EGMR, Urt. v. 28.11.2017, *Merabishvili v. Georgia*, 72508/13 Rn. 264 ff. und 287 ff.; zuvor etwa Urt. v. 31.05.2011, *Khodorkovskiy v. Russia*, 5829/04, Rn. 254 f.; Urt. v. 03.07.2012, *Lutsenko v. Ukraine*, 6492/11, Rn. 108 ff.

21 *Satzger/Zimmermann/Eibach*, EuCLR 2014, 91, 111 ff.

der Freiheit verstehen, erscheint es nicht prinzipiell ausgeschlossen, dass der EuGH künftig bestimmte Grundrechtspositionen bei politischen Protesten noch stärker akzentuieren wird als bislang der EGMR. Da dies derzeit aber jedenfalls noch nicht absehbar ist, widmet sich der folgende Abschnitt weniger den der EMRK vergleichbaren inhaltlichen Aussagen der EU-Grundrechte, sondern der vorgelagerten Frage nach ihrer Anwendbarkeit. Dies hat zwei Gründe: Zum einen würde die Anwendbarkeit der EU-Grundrechte-Charta aus der Perspektive der Bürgerin, die sich strafrechtlicher Vorwürfe erwehren muss, eine Vereinfachung des Verfahrens bedeuten. Sie müsste nicht den zeitaufwändigen Weg einer Individualbeschwerde zum EGMR beschreiten (insbesondere den innerstaatlichen Rechtsweg ausschöpfen), sondern könnte auf eine Vorlage bereits durch das mitgliedstaatliche Instanzgericht hinwirken. Zum anderen nehmen die EU-Grundrechte am Anwendungsvorrang des Unionsrechts teil.²² Selbst wenn die betreffende Strafnorm ihrem Wortlaut nach eindeutig verwirklicht wäre, ließe sich die Straflosigkeit mittels des prinzipiell allgemein anerkannten unionsrechtlichen Anwendungsvorrangs – verglichen etwa mit einer konventionskonformen Rechtsfortbildung – methodisch relativ leicht begründen.²³

1. Ein Rückblick: Politischer Protest und die Freizügigkeit im Binnenmarkt

Welche Rolle die Grundrechte im Recht der Europäischen Union – oder früher der Europäischen Gemeinschaften – bei politischen Protestaktionen spielen, ist keine ganz neue Frage. Sie stellte sich schon vor einem Vierteljahrhundert, als eine Protestaktion zur Blockade der Brenner-Autobahn zwischen Österreich und Italien führte. Dies hinderte Transportunternehmen für einige Tage an einem Transport über diese Route, weshalb sie von der Bundesrepublik Österreich Schadensersatz begehrten. Ihre Begründung: Zur Wahrung der europäischen Warenverkehrsfreiheit hätten die österreichischen Behörden die fragliche Blockade unterbinden oder auflösen müssen. Der Europäische Gerichtshof

22 *Schwerdtfeger*, in: Meyer/Hölscheidt (Hrsg.), Charta der Grundrechte der Europäischen Union, 4. Aufl. 2024, Art. 51 Rn. 25; *Jarass*, in: Jarass (Hrsg.), Charta der Grundrechte der EU, 4. Aufl. 2021, Einl. Rn. 9, Art. 51 Rn. 19.

23 S. für die Grundfreiheiten des Binnenmarktes etwa *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 10. Aufl., 2020, § 9 Rn. 92 ff., insbes. Rn. 95.

entschied seinerzeit in der Rechtssache Schmidberger, dass die europäischen Grundfreiheiten (wie die Warenverkehrsfreiheit) eingeschränkt werden können, um Grundrechten wie der Meinungs- und der Versammlungsfreiheit Rechnung zu tragen.²⁴ Mit anderen Worten: Es ist den Mitgliedstaaten *erlaubt*, in einem solchen Fall eine politische Protestaktion zuzulassen. Das bedeutet freilich nicht, dass sie hierzu auch *verpflichtet* wären. Für die uns interessierende Frage, ob die europäischen Grundrechte eine Einschränkung des nationalen Strafrechts bei politischen Protestaktionen *erzwingen* können, ist die Entscheidung daher wenig aussagekräftig. Allenfalls eine Tendenz lässt sich ihr entnehmen: Selbst die Grundfreiheiten als Herzstück des europäischen Binnenmarktes können eingeschränkt werden, soweit die in einer demokratischen Gesellschaft unerlässliche politische Teilhabe der Bürgerinnen und Bürger es erforderlich macht.

2. Die Grundrechte-Charta der Europäischen Union (GRC)

Wenn wir uns der Grundrechte-Charta zuwenden, ist *die* zentrale Frage, inwieweit sie überhaupt anwendbar ist, wenn politischer Protest zu strafrechtlichen Sanktionen führt. Die maßgebliche Vorschrift findet sich in Art. 51 Abs. 1 GRC: Danach sind die Grundrechte der Charta für die Mitgliedstaaten verbindlich „bei der Durchführung“ von Unionsrecht. Auch wenn EU-Grundrechte also einen weitergehenden Schutzstandard als nationale Garantien versprechen – was aus deutscher Perspektive wohl eher die Ausnahme sein dürfte, aus der Perspektive anderer Mitgliedstaaten aber vielleicht nicht (und wer weiß, ob sich nicht künftig die Rechtsprechung des EuGH stärker in Richtung einer Betonung der EU-Grundrechte entwickelt, so dass dies auch aus deutscher Sicht bedeutsamer wird?) –, stellt sich vorab stets die Frage, ob sie in einem Strafverfahren aufgrund einer Form von politischem Protest zur Geltung gebracht werden können. Und hier sehe ich interessantes Argumentationspotenzial.

24 EuGH, Rs. C-112/2000, Schmidberger, Rn. 74 ff.

a) Strafvorschriften zur Umsetzung von Unionsrecht

Ohne Weiteres lässt sich auf der Grundlage des Art. 51 Abs. 1 GRC die Anwendbarkeit der Charta-Garantien begründen, sofern der zur Anwendung kommende Straftatbestand unionsrechtlich beeinflusst ist – das ist insbesondere der Fall, wenn er der Umsetzung eines EU-Rechtsakts zur Harmonisierung des mitgliedstaatlichen Strafrechts dient. Ein gerade aus deutscher Sicht interessantes Beispiel ist der Rahmenbeschluss zur Bekämpfung der Organisierten Kriminalität aus dem Jahr 2008.²⁵ Er verpflichtet die Mitgliedstaaten, einen Straftatbestand der Mitgliedschaft in einer kriminellen Vereinigung einzuführen (oder, falls sie ihn bereits haben, ihn beizubehalten). Im Zuge der in Deutschland bis vor Kurzem sehr intensiven Proteste für mehr Klimaschutz wurde gegen Mitglieder der Gruppe „Letzte Generation“ wegen des Verdachts ermittelt, sie seien in einer kriminellen Vereinigung aktiv, und hätten sich daher nach § 129 StGB strafbar gemacht.²⁶ Hintergrund dieser Ermittlungen war, dass die besagte Gruppe regelmäßig Blockadeaktionen im Straßenverkehr durchführte, die unter bestimmten Voraussetzungen z.B. den deutschen Straftatbeständen der Nötigung oder der Gefährdung des Straßenverkehrs unterfielen. Im Ausgangspunkt handelt es sich hierbei um die Anwendung eines unionsrechtlich determinierten, also der Umsetzung des genannten Rahmenbeschlusses dienenden Straftatbestands (§ 129 StGB), so dass eine Anwendung der EU-Grundrechte-Charta gem. deren Art. 51 Abs. 1 in Betracht kommt.

Allerdings stellt sich insoweit ein spezielles Problem: Im EU-Rahmenbeschluss ist eine kriminelle Vereinigung als Zusammenschluss von Personen definiert, die Straftaten zur Erzielung eines wirtschaftlichen Vorteils begehen. Dies war bei der „Letzten Generation“ eindeutig nicht der Fall. Der deutsche Straftatbestand des § 129 StGB hingegen enthält das einschränkende Merkmal des beabsichtigten wirtschaftlichen Vorteils nicht; der deutsche Gesetzgeber ist also bei der Kriminalisierung weiter gegangen, als es der EU-Rechtsakt verlangt. Lässt sich

25 Rahmenbeschluss 2008/841/JI, ABI. L 300 vom 11.11.2008, S. 42-45.

26 S. etwa den Artikel „Durchsuchungen in sieben Bundesländern – Razzien bei ‚Letzte Generation‘ und Homepage abgeschaltet“ in: Legal Tribune Online, 24.05.2023, https://www.lto.de/persistent/a_id/51839 (abgerufen am: 17.12.2024); kritisch *Kuhli/Papenfuß*, KriPoZ 2023, 71-77; *Seel*, StV 2023, 784-791; *Ebbinghaus*, HRRS 2023, 318-325.

trotzdem sagen, dass die deutsche Strafnorm des § 129 StGB in ihrer konkreten Gestalt der Durchführung von Unionsrecht dient? Formal betrachtet ist die Antwort recht eindeutig „nein“: EU-Harmonisierungsrechtsakte im Bereich des Strafrechts legen schon mit Blick auf die in Art. 83 AEUV enthaltenen Kompetenznormen nur Mindestvorschriften für die Kriminalisierung fest. Wenn die Ausgestaltung des Straftatbestands in einem Mitgliedstaat einen Fall erfasst, der nach dem EU-Rechtsakt nicht unter Strafe gestellt werden müsste, dient die Norm *insoweit* auf den ersten Blick *nicht* der Umsetzung von Unionsrecht. Anders wäre dies, soweit ein EU-Rechtsakt zugleich eine Obergrenze des Strafbaren bestimmen würde (was auf der Grundlage der heutigen EU-Kompetenzen bei spezifisch strafrechtlich ausgerichteten Rechtsakten schwer möglich ist²⁷).

Jedoch möchte ich hier zumindest den Versuch unternehmen, aufzuzeigen, dass eine andere Argumentation nicht völlig ausgeschlossen ist: Erstens ließe sich sagen, dass der fragliche Straftatbestand – im Fall der kriminellen Vereinigung in Deutschland also § 129 StGB – abstrakt ja trotzdem der Umsetzung des EU-Rahmenbeschlusses diene. Auch bei seiner Anwendung auf einen Fall, der nicht von der EU-Kriminalisierungsvorgabe erfasst ist, kommt eine Norm zum Einsatz, die (hinsichtlich der anderen Merkmale, also des organisierten Zusammenschlusses einer Mehrzahl von Personen zur Begehung von Straftaten) der Umsetzung von Unionsrecht dient. Zweitens mag es aus einer grundrechtlichen Perspektive recht seltsam anmuten, dass hinsichtlich einer inhaltlich stärker umgrenzten Strafnorm die EU-Grundrechte gelten sollen, hinsichtlich einer weiterreichenden Strafnorm, mit der ein Mitgliedstaat über die EU-Vorgaben hinausgeht, aber nicht: Wenn der Unionsgesetzgeber davon ausgeht, dass ein Verhalten (etwa ein Zusammenschluss zur Begehung von Straftaten, ohne die Absicht, wirtschaftliche Vorteile zu erzielen) nicht so schwerwiegend ist, dass es unionsweit unter Strafe gestellt werden muss, sollte die hierüber noch hinausgehende mitgliedstaatliche Strafnorm eigentlich einer umso strengeren grundrechtlichen Prüfung unterliegen. Obwohl deshalb argumentiert werden *könnte*, dass die EU-Grundrechte in einem

27 Denkbar erschiene dies aber bei Rechtsakten z.B. auf dem Gebiet des einheitlichen Binnenmarktes, die festlegen, unter welchen Voraussetzungen bestimmte Güter oder Dienstleistungen in Verkehr gebracht werden dürfen, und die damit zugleich definieren, was nicht strafbar sein darf.

solchen Fall gelten, steht diese abstrakte Sichtweise angesichts der Funktion des Art. 51 Abs. 1 GRC, die EU-Kompetenzen zu beschränken und die nationalen Grundrechtsregime zu schonen, bestenfalls auf wackeligem Fundament.

Lassen wir dieses Spezialproblem aber beiseite, bleibt es bei der Feststellung von eben: Soweit bei politischen Protesten ein Straftatbestand zur Anwendung kommen soll, der unionsrechtlich determiniert ist, sind die EU-Grundrechte anwendbar. Beispiele jenseits krimineller Vereinigungen dürften auf der Grundlage der existierenden Harmonisierungsrechtsakte nicht allzu zahlreich zu finden sein. Denkbar erschiene angesichts der aktuellen Nahost-Proteste rund um das Vorgehen Israels in Gaza und dem Libanon ein Abstellen auf den Rahmenbeschluss zur Bekämpfung von Rassismus und Fremdenfeindlichkeit,²⁸ der in Art. 1 Abs. 1 Buchstabe a die Mitgliedstaaten u.a. verpflichtet, das Aufstacheln zum Hass gegen eine nach den Kriterien der Religion definierte Gruppe von Personen unter Strafe zu stellen. Kommt eine Strafnorm zur Anwendung, die der Umsetzung dieser Kriminalisierungspflicht dient, dürften somit die EU-Grundrechte anwendbar sein. Andenken ließe sich dies möglicherweise noch bei Protestaktionen, die zu einer Computersabotage im Sinne der EU-Richtlinie zur Bekämpfung von Angriffen auf Informationssysteme²⁹ führen. Allgemein gilt: Je tiefer die EU in das Strafrecht der Mitgliedstaaten eingreift – etwa mit einer immer wieder diskutierten, aber bislang nicht verabschiedeten Richtlinie zur allgemeinen³⁰ strafrechtlichen Bekämpfung von Hate Speech – desto leichter wird es, sich auch in diesem Bereich auf die EU-Grundrechte zu berufen.

b) Anwendbarkeit der EU-Grundrechte aufgrund des europäischen Demokratieprinzips?

Lassen Sie mich zum Abschluss eine weitere Idee präsentieren, wie bei politischen Protesten noch sehr viel umfassender die Anwendung der EU-Grundrechte-Charta legitimiert werden könnte: Politische Proteste in einem Mitgliedstaat

28 Rahmenbeschluss 2008/913/JI, ABI. L 328 vom 06.12.2008, S. 55-58.

29 Richtlinie 2013/40/EU, ABI. L 218 vom 14.08.2013, S. 8-14.

30 S. aber die Richtlinie (EU) 2024/1385 zur Bekämpfung von Gewalt gegen Frauen (ABI. L 2024/1385 vom 24.05.2024), die auch einige Erscheinungsformen von Hate Speech im digitalen Raum erfasst (Art. 7 und 8).

der Europäischen Union betreffen zwar vordergründig zunächst einmal diesen und dessen Rechtsordnung. Zugleich können sie aber die Position dieses Mitgliedstaats bei europäischen Entscheidungen beeinflussen – etwa wenn die nationale Regierung unter dem Eindruck des Protests ein EU-Vorhaben blockiert. Mehr noch: Seit dem Vertrag von Lissabon ist die Position des Europäischen Parlaments erheblich gestärkt; das Mitentscheidungsverfahren, bei dem auch das Europäische Parlament einem Rechtsakt zustimmen muss, ist nun – auch im Strafrecht – der Regelfall. Selbstverständlich werden die Mitglieder des Europäischen Parlaments demokratisch gewählt. Politische Proteste können also auch das Agieren der Europaabgeordneten im demokratischen Prozess beeinflussen. Und natürlich können sie ebenso Folgen für die Wahlentscheidung der Bevölkerung bei Wahlen zum Europäischen Parlament haben.

Dies ist keine rein tatsächliche Beobachtung, sondern sie ist im europäischen Primärrecht verankert: Nach Art. 2 des Vertrags über die Europäische Union (EUV) ist das Demokratieprinzip insgesamt eine tragende Säule der Union. Nach Art. 10 Abs. 1 EUV beruht die Arbeitsweise der gesamten Union auf dem Gedanken der repräsentativen Demokratie; nach Art. 10 Abs. 2 EUV müssen die im Rat vertretenen Regierungen in ihrem jeweiligen Mitgliedstaat demokratisch Rechnung ablegen. Nach Art. 10 Abs. 3 EUV haben alle Bürgerinnen und Bürger das Recht, am politischen Leben der Union teilzunehmen. Ich möchte deshalb zur Diskussion stellen, ob aus diesen das Demokratieprinzip realisierenden Vorschriften des Unionsrechts die Anwendbarkeit der EU-Grundrechte folgen kann. Wenn ein Mitgliedstaat auf politischen Protest mit den Mitteln des Strafrechts reagiert, ist er dann etwa nicht an die genannten Normen des Unionsrechts gebunden? Die Strafverfolgung greift dann schließlich drastisch in das Recht auf Teilhabe am politischen Leben (Art. 10 Abs. 3 EUV) ein. Es mag sein, dass den genannten Vorschriften zum Demokratieprinzip bei ihrer Schaffung mit dem Vertrag von Lissabon ein vorwiegend deklaratorischer Charakter zugeordnet war, weil man nicht ernsthaft damit rechnete, dass in Europa das Strafrecht missbraucht werden könnte, um in den Wettstreit der politischen Meinungen einzugreifen. Dennoch sind diese Normen heute geltendes Unionsrecht, und ein Mitgliedstaat, der gegen politische Proteste mit dem Mittel des Strafrechts vorgeht, ist an sie gebunden. Er muss also begründen können, weshalb die Strafverfolgung mit dem Recht der

Bürgerinnen und Bürger auf politische Teilhabe in Einklang steht. Schon dieser Begründungsprozess stellt, weil er sich an der Wertung u.a. von Art. 10 Abs. 3 EUV orientieren muss, die Anwendung von Unionsrecht dar – mit der Folge, dass gem. Art. 51 Abs. 1 der Charta die EU-Grundrechte anwendbar sind.

Ebenso ließe sich andenken, Art. 10 Abs. 3 EUV aufgrund seiner inhaltlichen Klarheit und Bestimmtheit für unmittelbar anwendbar zu halten,³¹ so dass diese Vorschrift selbst einer Strafdrohung im mitgliedstaatlichen Recht entgegenstehen könnte. Des „Umwegs“ über Art. 51 Abs. 1 GRC bedürfte es dann – vermeintlich – nicht. Allerdings dürften die Grenzen einer unionsrechtlich legitimierbaren Strafdrohung auch dann letztlich durch einen Rückgriff auf grundrechtliche Wertungen zu gewinnen sein. Es käme also letztlich wieder auf die Wertungen der Grundrechte-Charta an.

Gewiss: Die Konsequenzen dieser rechtlichen Konstruktion wären weitreichend. Aber wenn es nicht nur eine Sonntagsrede sein soll, dass die EU eine immer engere Union der Völker Europas darstellt (Art. 1 EUV), muss sie selbst als zunehmend politische Entität gedacht werden. Jedenfalls wenn politischer Protest eine Frage betrifft, die (auch) in die Regelungszuständigkeit der Union fällt, hat er daher eine europäische Dimension. Es sprechen dann gute Gründe für die Anwendung der europäischen Grundrechte.

V. Fazit

Was können wir abschließend festhalten? Ich habe versucht, anhand einiger, sehr selektiv ausgewählter Entscheidungen deutlich zu machen, dass die Grundrechte der EMRK selbst aus der Perspektive eines Staats, der sich wie Deutschland als reifen demokratischen Rechtsstaat versteht, zusätzliche Schranken für Strafverfahren anlässlich politischer Proteste errichten können. Sodann habe ich versucht, aufzuzeigen, dass daneben ergänzend auch die Grundrechte der EU-Charta eine stärkere Rolle einnehmen können. Mögen sie auch derzeit inhaltlich nicht wesentlich weiter gehen als die EMRK, stärkt dies doch insgesamt

31 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 10. Aufl., 2022, § 8 Rn. 14.

die Durchschlagskraft der europäischen Grundrechte in Strafverfahren. Und wenn dies dazu beitragen kann, dass der in jeder demokratischen Gesellschaft unerlässliche politische Protest von übermäßigen strafrechtlichen Repressalien freigestellt wird, wäre dies auf jeden Fall ein Schritt in die richtige Richtung.

ქონების დაუფლება კორუფციული გარიგებით

პროფ. დოქტ. **ირაკლი დვალიძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორც სახელმწიფო, ისე სამეწარმეო ორგანიზაციები დაინტერესებულები არიან ნაკლები დანახარჯებით და ხარისხიანად შეასრულონ მათ წინაშე არსებული ამოცანები (მაგალითად, გზების მშენებლობა, შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები, ორგანიზაციის გამართული მუშაობისთვის საჭირო პროდუქციის შექმნა, წყალმომარაგება და ა.შ.). სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დგინდება, რომ სახელმწიფოს ან კერძო სამეწარმეო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული მენარმის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები არ შეესაბამება სატენდერო ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების ანდა საქონლის რეალურ ღირებულებას. მსგავს სიტუაციებში პასუხისმგებელ პირთა არაკომპეტენტურობისა და დაუდევრობის გვერდით, მრავლად არის განზრახი ქმედებები, რომლებიც კორუფციული გარიგებების საფუძველზე განხორციელებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი დანაშაულის ნიშნების შემცველია, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების არასწორიან არასრულყოფილი შეფასებისა და სისხლისსამართლებრივი ნორმის მცდარი განმარტების შედეგად, ჩადენილ ქმედებებს ზოგჯერ არასწორი კვალიფიკაცია ეძლევა.

მსგავს სიტუაციებში კვალიფიკაციის კუთხით, უმთავრესად პრობლემურია, ერთი მხრივ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და, მეორე მხრივ, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართულ და სამოხელეო დანაშაულებს შორის კონკურენციის საკითხის გადანწყვეტა.

ამ მხრივ მეტად აქტუალურია ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისთვის რეალურად საჭირო თანხის უკანონო გაზრდა და

მასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ოპერაციები, რაც ქართულ არაოფიციალურ საუბრებში საკმაოდ ხშირად რუსული ჟარგონით „Откат“-ით მოიხსენიება.

II. „თანხის შემობრუნება“

ქართულ ენაზე რუსული ჟარგონის „Откат“-ის შესატყვისი ტერმინი არ არსებობს¹. სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ „Откат“-ის მეთოდით გარკვეული თანხების დანაშაულებრივი დაუფლება საკმაოდ ხშირად ხორციელდება. ვინაიდან მდიდარ ქართულ ენაში არ იძებნება რუსული ჟარგონის „Откат“-ის შესაბამისი ტერმინი, მიზანშეწონილია, მეცნიერებაში შემუშავდეს ასეთი დანაშაულებრივი მეთოდის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულებრივი პროცესის ამსახველი ტერმინი.

„Откат“-ის შესატყვისი ტერმინის დასახელებამდე აუცილებელია ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელებული დანაშაულებრივი პროცესის დახასიათება და ტერმინის მახასიათებელი შესაბამისი გვარეობითი ნიშნების მოძიება. საზოგადოდ, „Откат“-ის მთელი არსი ისაა, რომ თანხის გაცემაზე უფლებამოსილი პირის (რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია ხელშეკრულების მეორე მხარეს მართლ-მომიერად გადასცეს გარკვეული თანხა) ნებართვით ან სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე „ზედამხედველობის“ განმახორციელებელი პირის „დასტურით“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შემსრულებელ პირზე უკანონოდ გაიცემა ხელოვნურად გაზრდილი თანხა. ამის შემდეგ აღნიშნული თანხის ნაწილი უკან უბრუნდება ამ თანხის უკანონოდ გამცემ უფლებამოსილ პირს ანდა სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე „ზედამხედველობის“ განმახორციელებელ პირს. ბუნებრივია, ასეთი მანიპულაცია, პრაქტიკულად ყოველთვის წინასწარ არის დამნაშავეებს შორის შეთანხმებული. დაბეჭითებით, შეიძლება ითქვას, რომ

1 ინგლისურად „kickback“, გერმანულად „Gewinnanteil“ ან „Rücklauf“.

პრაქტიკულად გამორიცხულია ისეთი შემთხვევა, როდესაც, ერთი მხრივ, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენელსა და, მეორე მხრივ, სხვისი საკუთრებიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ პირს ანდა სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე „მედამხედველობის“ განმახორციელებელ პირს შორის დანაშაულებრივი გარიგება თანხის უკანონოდ გაზრდას, გადარიცხვასა და თანხის დაბრუნებაზე თანხის ჩარიცხვამდე, რომ არ არსებობდეს.

მაშასადამე, რუსული ჟარგონი „Откат“, ფუნქციონალურად თუ განიმარტება, სხვა არაფერია, თუ არა სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის არამართლმომიერად გაზრდა და მისი დანაშაულებრივი დაუფლება თანამონაწილეობით. წინამდებარე კვლევაში, პირობითად, რუსული ჟარგონის „Откат“-ის შესატყვის ქართულ სიტყვებად გამოყენებული იქნება „თანხის შემობრუნება“.

III. მექრთამეობა თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ შესაბამის დანაშაულში თანამონაწილეობა?

ერთი შეხედვით, „თანხის შემობრუნებაში“ იკვეთება მექრთამეობის (კომერციული მოსყიდვის) ნიშნები, მაგრამ საკითხის სიღრმისეული განხილვით ნათლად წარმოჩინდება, რომ აქ ადგილი აქვს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში თანამონაწილეობას. ბუნებრივია, ამ დანაშაულებრივ მოქმედებას თან ახლავს კორუფციული გარიგება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქმედება ან კომერციულ მოსყიდვად ან მექრთამეობად უნდა შეფასდეს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ სისხლის სამართალში აკრძალულია ერთი ქმედების ორჯერ შეფასება. შესაბამისად, ერთი ქმედებისთვის ორმაგი კვალიფიკაციის მინიჭებით დაირღვევა ნორმათა კონკურენციის წესები. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს მექრთამეობის (კომერციული მოსყიდვის) და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ შესაბამის დანაშაულებში თანამონაწილეობის მახასიათებლები. ასევე გასათვალისწინებელი ისიც, რომ ქვემოთ განხილული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული

შესაბამისი დანაშაულები კანონმდებლის მიერ დანაშაულის ძირითად შემადგენლობასთან ერთად წარმოდგენილია ისეთი კვალიფიციური შემადგენლობების სახით, სადაც „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება“ დანაშაულის ჩადენის საშუალებად გვევლინება, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 220-ე მუხლი) ანდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი) ნაგულისხმებია და ამ ორ უკანასკნელ მუხლზე მითითება დამატებითი კვალიფიკაციისთვის სავალდებულო არ არის.²

განსახილველი პრობლემის უკეთესად წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია, სასამართლო პრაქტიკაში არსებული რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის გახილვა. ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მიხედვით:

მოხელე გ.დ-მ³, რომელსაც ეკავა რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობა, შპს „ფ-ს“ წარმომადგენელს რ.ე-ს შესთავაზა, რომ ევროკავშირის დაფინანსებით შესრულებულ 165 კვ.მ საბაგშვო ბაღის ჭერის მოწყობის სამუშაოს შეეყვანდა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა №2), რაც თითქოს შესრულებულია აღნიშნული კომპანიის მიერ, ხოლო სანაცვლოდ რ.ე-ს ქრთამის სახით უნდა გადაეცა ფორმა №2-ში შეყვანილი თანხის, კერძოდ, თითქოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების, ე.ი. 2330 ლარის ნახევარი.⁴ რუსთავის მერიისგან შპს „ფ-ს“ ანგარიშზე ჩაირიცხა თითქოს შესრულებული სამუშაოსთვის გათვალისწინებული თანხა. აღნიშნული აქტის გაფორმების შემდეგ რ.ე-მ გ.დ-ს გადასცა მოთხოვნილი თანხა

2 ანალოგიური მოსაზრება იხ. *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/თოდუა/შამუღაშვილი*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა, 2023, 80.

3 წინამდებარე ნაშრომში ბრალდებულთა სახელები და გვარები შეცვლილია და გადმოცემულია ინიციალებით. ასევე შეცვლილია ტენდერში გამარჯვებული კერძო კომპანიების დასახელებები და გადმოცემულია შემოკლებულად.

4 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/4929-16, 2.

1100 ლარის ოდენობით.⁵ პროკურორსა და ბრალდებულ გ.დ-ს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო გ.დ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის აღება).⁶

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ქრთამად წოდებული თანხა 2330 ლარი სინამდვილეში არის უკანონოდ გაზრდილი თანხა, რომლის ნაწილი (საქმის მიხედვით 1100 ლარი), ბრალდებულ გ.დ-ს გადაეცა მას შემდეგ, რაც მან ყალბი მონაცემები ჩაწერა ფორმა №2-ში, რომლის საფუძველზეც რუსთავის მერიისგან შპს „ფ-ს“ ანგარიშზე ჩაირიცხა თითქოს შესრულებული სამუშაოსთვის გათვალისწინებული თანხა. ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათლად იკვეთება, რომ ბრალდებულ გ.დ-სა და რ.ე-ს შორის, უპირველეს ყოვლისა, შედგა დანაშაულებრივი გარიგება, რაც გულისხმობდა რუსთავის მერიის ბიუჯეტიდან თანხის მოტყუებით მიღებას, რაც რეალურადაც გეგმის მიხედვით განხორციელდა. ნათელია, რომ აქ ადგილი აქვს თაღლითობას. ამ დანაშაულის ამსრულებელი ანუ მცდარი უშუალოდ ინფორმაციის მიმწოდებელი (მოტყუების უშუალოდ განმახორციელებელი) არის გ.დ., ხოლო რ.ე. არის დამხმარე, რადგან სწორედ მის ანგარიშზე ირიცხება თანხა, რომლის დახმარებითაც გ.დ. იღებს კუთვნილ წილს. შესაბამისად, აქ შეთანხმება ხდება თაღლითობის განსახორციელებლად. დამატებითი კვალიფიკაცია სსკ-ის 338-ე მუხლით (ქრთამის აღება), ქმედების ორჯერ შეფასებას გამოიწვევს, რაც სისხლის სამართალში აკრძალულია. მაშასადამე, გ.დ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 180-ე მუხლის⁷ მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), ხოლო გ.ე-ს ქმედება – აღნიშნულ დანაშაულში დახმარებაა.


სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით

5 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/4929-16, 2.

6 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/4929-16, 4.

7 გერმანიის სსკ-ში მსგავსი დანაშაულის შემადგენლობა მოცემულია 263-ე პარაგრაფით (Betrug).

(თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), გათვალისწინებული დანაშაულის განვითარება სქემატურად ასე გამოიყურება:



თითქმის ანალოგიურ საქმეში, - იმ განსხვავებით, რომ აქ მსჯავრდებულები წარმოდგენდნენ არა მოხელეებს, არამედ კერძო კომპანიის წარმომადგენლებს, - ბრალდების მხარის მიერ ქმედება მართებულად არ არის შეფასებული ქრთამის მიცემად და ქრთამის აღებად. კერძოდ:

ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ჯ-მ“ სრულად არ შეასრულა დაკისრებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად ტენდერის გამომცხადებელმა კომპანიის დირექტორმა ბრძანებით დანიშნა სამი პირი, კერძოდ, მ.ფ-მ, ი.ბ-მ და გ.გ-მ. აღნიშნულ პირებს ვგალებოდათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური შემოწმება, აღრიცხვა, დაფიქსირება და ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტის შემოწმება, შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა

№2) ხელმოწერით დამოწმება (დადასტურება), ასევე შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ხარისხის შემოწმება. აღნიშნული პირები ტენდერში გამარჯვებულ კომპანიის წევრებს გაურიგდნენ და გაზარდეს შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება, რათა მოტყუებით დაუფლებოდნენ ტენდერის ჩამტარებელი კომპანიის დიდი ოდენობით თანხებს, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად იყო განკუთვნილი. ორგანიზებული ჯგუფის მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, ხსენებული პირების მიერ შედგენილი და ხელმოწერით დადასტურდა მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა №2). ტენდერის გამომცხადებელმა კომპანიამ ტენდერში გამარჯვებულ შპს „ჯ-ს“ ეტაპობრივად სრულად აუნაზღაურა ყალბ ოფიციალურ დოკუმენტებში (ფორმა №2) მითითებული თანხა, რომლის ნაწილსაც მოტყუებით დაეუფლნენ ორგანიზებული ჯგუფის წევრები.⁸

ამ უკანასკნელ საქმეში ბრალდების მხარის მტკიცებით, დამნაშავეთა ქმედებები დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ თაღლითობად (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტები) და ყალბი დოკუმენტების დამზადებად და გამოყენებად (სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) შეფასდა, თუმცა ზოგიერთი მსჯავრდებულის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლომ ქმედება სსკ-ის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად (სსკ-ის 220-ე მუხლი) გადააკვალიფიცირა მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა.⁹ წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა ის, რომ ქმედება მართებულად არ არის შეფასებული ქრთამის აღებად და კვალიფიკაცია სწორად განხორციელდა სსკ-ის 180-ე და 362-ე მუხლებით.

ამ განაჩენების განხილვის შემდეგ ლოგიკურად უნდა გაჩნდეს კითხვა: როდესაც უკანონოდ გაზრდილი თანხის დაუფლებაში მონაწილეობს მოხელე ან შესაბამისი კერძო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი,

8 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ბ-147-17, 3-4.

9 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ბ-147-17, 1-2.

რატომ ფასდება მათი ქმედებები ქრთამის აღებად ანდა, შესაბამისად, კომერციულ მოსყიდვად? ამ კითხვაზე არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი: სათანადოდ არ არის გააზრებული საქმის ფაქტობრივი მასალა, კვალიფიკაციისას სწორად არ არის გამოყენებული სისხლის სამართლის ნორმები და მართებულად არ არის შეფასებული დანაშაულში თანამონაწილეთა ქმედებები.

მსგავს საქმეებში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: *სხვისი თანხის უშუალოდ დაუფლების განმახორციელებელი პირის ანუ დანაშაულის ამსრულებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში ხომ არ არის აღნიშნული თანხა*, რადგან ასეთ შემთხვევაში უკვე ქმედება არა თაღლითობად (სსკ-ის 180-ე მუხლი), არამედ მითვისებად (სსკ-ის 182-ე მუხლი¹⁰) უნდა შეფასდეს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ქრთამის აღებისას (სსკ-ის 338-ე მუხლი) პირი ქონებას თუ ქონებრივ სიკეთეს იღებს იმ პირისგან, ვის სასარგებლოდაც კონკრეტული მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სამსახურებრივ საქმიანობაში შემავალი ქმედება სრულდება, ხოლო მითვისებისას (სსკ-ის 182-ე მუხლი), დანაშაულზე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ეუფლება სხვის საკუთრებაში შემავალ ქონებას, რომელიც თვით დანაშაულის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში შედის.¹¹ როდესაც სახელმწიფოს ან კერძო ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი შესრულებული სამუშაოსთვის ხელშეკრულების მეორე მხარეს ზედმეტად ურიცხავს თანხას, რათა ეს ზედმეტი თანხა თვით ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს გადაეცეს, „ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ ეს თანხა თავად მოხელემ ან კერძო ორგანიზაციის უფლებამოსილმა პირმა უკანონოდ ამოიღო სხვისი ქონებრივი ფონდებიდან და რეალურად ასეთ შემთხვევაში მოხელე მენარმისგან კი არ იღებს თანხას, არამედ თანხა თავად ზედმეტად გადაურიცხა მენარმეს, იმ მიზნით, რომ შემდგომ მას უკან მიეტანა.“¹² მართებული მოსაზრების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში

10 გერმანიის სსკ-ში მსგავსი დანაშაულის შემადგენლობა მოცემულია 246-ე პარაგრაფით (Unterschlagung).

11 *მაკალაშვილი*, სამართლის ჟურნალი, 2023, №2, 300 - <https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7708/7722> (ნანახია 10.09.2024).

12 *მაკალაშვილი*, სამართლის ჟურნალი, 2023, №2, 302-303 - <https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7708/7722> (ნანახია 10.09.2024).

მენარმის მოქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისებაში დახმარებად უნდა შეფასდეს.¹³

თუ მენარმეს სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ზუსტი შესაბამისობით კანონიერად ჩაერიცხა და ამ მოგებიდან მოხელე მენარმეს მოსთხოვს გარკვეულ თანხას, ბუნებრივია, მოხელის ქმედება ქრთამის აღებად (სსკ-ის 338-ე მუხლი) უნდა დაკვალიფიცირდეს.¹⁴ თუკი, ასეთი ტიპის გარიგებაზე შეთავაზება თვით მენარმისგან მოდის, მაშინ მენარმის ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების წაქეზებად (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) უნდა დაკვალიფიცირდეს. ასეთ საქმეებში მენარმის ქმედება თანაამსრულებლობად ვერასდროს ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან მითვისება სპეციალური დელიქტია, სადაც სპეციალური ამსრულებელი შესაბამისი პირის საკუთრებაში არსებულ ქონებას მართლზომიერად ფლობს ან განაგებს.¹⁵

შესაძლებელია, სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხელოვნურად გამრდილი „თანხის შემობრუნებისას“ მოხელის (ან შესაბამისი კერძო კომპანიის წარმომადგენლის) მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არ იყოს ქონება და ეს უკანასკნელი ხელშეკრულების შემსრულებელ მხარეს შეუთანხმდეს, რომ დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაციის შეტანით სახელმწიფოს (ან კერძო ორგანიზაციის) ბიუჯეტიდან ზედმეტ თანხას ჩარიცხვას, ხოლო ეს ზედმეტი თანხა თვით ამ მოხელეს უნდა გადაეცეს. ამგვარი დანაშაულებრივი შეთანხმების რეალურად განხორციელებისას დამახინჯებული ინფორმაციის უშუალოდ მიმწოდებლის ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ თაღლითობად უნდა დაკვალიფიცირდეს (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული

13 *მაკალაშვილი*, სამართლის ჟურნალი, 2023, №2, 303 - <https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7708/7722> (ნანახია 10.09.2024).

14 *მაკალაშვილი*, სამართლის ჟურნალი, 2023, №2, 303 - <https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7708/7722> (ნანახია 10.09.2024).

15 დანვრ. იხ. *დვალიძე*, კომენტარში: *დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), 2023, 158-160.

გალდებულების შემსრულებელი პირის ქმედება აღნიშნულ დანაშაულში თანამონაწილეობად, კერძოდ, დახმარებად უნდა შეფასდეს.¹⁶

IV. „თანხის შემობრუნება“ და დანაშაულთა ერთობლიობა

სასამართლო პრაქტიკაში არის მრავალეპიზოდური საქმეები, სადაც ერთდროულად იკვეთება მექრთამეობის (კომერციული მოსყიდვის) და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რეალური ერთობლიობა. კერძოდ:

„საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის“, სალიანდაგო დეპარტამენტის, კაპიტალური დაგეგმარების სამსახურის, მექანიზაციის განყოფილების უფროსს – გ.დ-ს და ლიანდაგის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მთავარ მექანიკოსს – ა. ბ-ს, ვგალებოდათ სს¹⁷ „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი მანქანა-მექანიზმების გამართულობის უზრუნველყოფა, მათ შესაკეთებლად საჭირო მასალების და დეტალების ნუსხის შედგენა და მომარაგება. 2018 წელს სს „საქართველოს რკინიგზამ“ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, რომელიც გულისხმობდა სამშენებლო ტექნიკის მიმდინარე შეკვეთების ტექნიკურ მომსახურებას. აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ფ.რ-მ“ და ამავე წელს გაფორმდა ხელშეკრულება „ფ.რ-სა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 27056.47 აშშ დოლარით.¹⁸

გ.დ-მ და ა.ბ-მ, შესრულებული სამუშაოს, განუვლი მომსახურების რეალური ღირებულების დაფარვის და გარკვეული ქმედებების განხორციელების განთავის შეკავების სანაცვლოდ შპს „ფ.რ-ს“ დირექტორს თ.ე-ს მოსთხოვეს სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან 5440 ლარის გადაცემა, რაც ეტაპობრივად მიიღეს კიდევ. ასევე გ.დ-მ და ა.ბ-მ

16 ანალოგიური მოსაზრება იხ. *შაკალაშვილი*, სამართლის ჟურნალი, 2023, №2, 305 - <https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7708/7722> (ნანახია 10.09.2024).

17 სს – სააქციო საზოგადოება (განმარტება ჩემბია. ი.დ.).

18 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/387-19, 2.

შემდგომ გასამართ ტენდერთან დაკავშირებით ხელშეწყობისთვის, თ.ე-ს მოსთხოვეს სახელშეკრულებო ღირებულებიდან გარკვეული ოდენობის თანხის გადაცემა.¹⁹

გ.დ-მ და ა.ბ-მ თ.ე-სთვის გადასაცემად დაამზადეს ყალბი დათვალიერების (დეფექტური) აქტები, შესასრულებელი მომსახურების აქტები და მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც მიუთითეს, რომ თითქოს შპს „ფ.რ-ს“ მიერ ელექტრონული ტენდერის თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა ჯამში 18104,78 ლარს, თუმცა აღნიშნული სამუშაოები და ხარჯები რეალურად შეადგენდა 10179,83 ლარს.²⁰

გ. დ-ს და ა. ბ-ს ქმედებები დაკვალიფიცირდა სკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (კომერციული მოსყიდვა, ჩადენილი ჯგუფურად) და სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, ჩადენილი ჯგუფურად).²¹

მოცემულ საქმეში ქმედების სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, ჩადენილი ჯგუფურად) კვალიფიკაცია მართებულია, მაგრამ სკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (კომერციული მოსყიდვა, ჩადენილი ჯგუფურად) უნდა შეფასებულიყო ის ეპიზოდი, სადაც გ.დ-მ და ა.ბ-მ შემდგომ გასამართ ტენდერთან დაკავშირებით ხელშეწყობისთვის, თ.ე-ს მოსთხოვეს სახელშეკრულებო ღირებულებიდან გარკვეული ოდენობის თანხის გადაცემა. რაც შეეხება იმ ეპიზოდს, სადაც გ. დ-მ და ა.ბ-მ თ.ე-სთვის გადასაცემად დაამზადეს ყალბი დათვალიერების (დეფექტური) აქტები, შესასრულებელი მომსახურების აქტები და მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც მიუთითეს, რომ თითქოს შპს „ფ.რ-ს“ მიერ ელექტრონული ტენდერის თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა ჯამში 18104,78

19 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/387-19, 2.

20 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/387-19, 3.

21 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/387-19, 7-8.

ლარს, თუმცა აღნიშნული სამუშაოები და ხარჯები რეალურად შეადგენდა 10179,83 ლარს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა სსკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (კომერციული მოსყიდვა, ჩადენილი ჯგუფურად), არამედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

სასამართლო პრაქტიკაში სისხლის სამართლის სხვა საქმეებიც მოიპოვება, სადაც რეალურად სახელმწიფო თუ კერძო კომპანიის სახსრებიდან ტენდერში გამარჯვებულ პირს უკანონოდ ერიცხება იმაზე მეტი თანხა ვიდრე, მომსახურებისა თუ საქონლის რეალური ღირებულებაა. სამწუხაროდ, ქვემოაღნიშნული განხილვიდან არ იკვეთება მრავალი ფაქტობრივი გარემოება, რის გამოც ქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის აუცილებელია ჰიპოთეტური მსჯელობის წარმართვა. კერძოდ:

სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „ს.ს-ში“ რ.ზ. ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და უზრუნველყოფდა შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურებისა და საერთაშორისო სატენდერო პროცედურების განხორციელებას, სასესხო/საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვების პროცედურების განხილვას, ხელშეკრულების კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების ინიცირება-განხორციელებას და ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტების) შესაბამისობის მონიტორინგს.

რ.ზ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციას შპს „ს.ს-ს“ მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესასყიდი პროდუქციის შესახებ აწვდიდა საკუთარ მამას ფ.ზ-ს, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა უცხოურ კომპანიებთან. შესასყიდი ტექნიკის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები ფორმალურად განსაზღვრა შპს „G-მ“, თუმცა ამ უკანასკნელ შპს-ს აღნიშნული მონაცემები წინასწარ გაუწერა და მიაწოდა რ.ზ-ს მამამ ფ.ზ-მ. სწორედ ამ მონაცემების გათვალისწინებით რ.ზ-მ გააკეთა დადებითი მოხსენება, რომლის საფუძველზეც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „ს.ს-ს“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „დ-მ“.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „დ-ს“ მიერ მიწოდებული ტექნიკა მიღება-ჩაბარების აქტით ჩაიბარა შპს „ს.ს-ს“ საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსმა რ.გ.-მ. შპს „დ-ს“ სატენდერო ხელშეკრულებით საქონლის მიწოდებისთვის ამის განვითარების ბანკიდან ჩაერიცხა 17891,93 აშშ დოლარი, ხოლო შპს „ს.ს-ს“ მიერ 89409 ლარი. შპს „დ-ს“ მიერ შპს „ს.ს-სთვის“ მიწოდებული საქონლის თვითღირებულებასა და მიწოდების ფასებს შორის სხვაობამ შეადგინა 341353 ლარი. მიღებული მოგებიდან შპს „დ-ს“ დირექტორმა ბ.ს-ს შპს „ს.ს-ს“გამოცხადებული სატენდერო კომისიის წევრის რ.გ.-ს მამას, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ჩაურიცხა თანხა 51125 ლარი, რათა გადაეცა საკუთარი შვილისთვის რ.გ.-სთვის.²²

ამ ეპიზოდში რ.გ.-ს ქმედება სასამართლოს მიერ შეფასებულია სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით), ხოლო მისი მამის მოქმედება აღნიშნულ დანაშაულში დახმარებად დაკვალიფიცირდა.²³

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ რ.გ.-მ, რომელიც საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა, სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა, რადგან იგი კერძო კომპანიებს საკუთარი მამის დახმარებით აწვდიდა შპს „ს.ს-ს“ საიღუმლო ინფორმაციას. სწორედ, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებით შპს „დ-მ“ მთავრად შესაბამისი მონაცემები სატენდერო პირობებს და რ.გ.-ს დადებითი მოხსენების საფუძველზე გაიმარჯვა ტენდერში. ბუნებრივია, ამით არსებითად არის დაზიანებული სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი, რადგან დარღვეულია საკონკურსო პირობები, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო თანხების სამომავლო დაზოგვასთან არის დაკავშირებული.

მეორე, განაჩენიდან ნათლად ირკვევა, რომ ე.წ. „ქრთამის საგნად“ გადაცემულია ის თანხა, რომელიც ზემოაღნიშნული საქონლისა და მიწოდების ფასებს შორის სხვაობის შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, გადაცემულია ის თანხა, რომელიც შპს „დ-ს“ ზედმეტად დაერიცხა.

22 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის განაჩენი, საქმე №1/3631-22, გვ. 2.

23 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის განაჩენი, საქმე №1/3631-22, გვ. 14-15.

სამწუხაროდ, განაჩენიდან ასევე არ იკვეთება რ.გ-ს მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იყო თუ არა შპს „ს.ს-ს“ ქონება. თუ გამოძიებით ეს ფაქტი დადგინდებოდა, მაშინ რ.გ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო მითვისებად, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები), ხოლო რ.გ-ს მამის ფ.გ-ს ქმედება – აღნიშნულ დანაშაულში დახმარებად. თუკი არ დადგინდებოდა რ.გ-ს მიმართ შპს „ს.ს-ს“ ქონების მართლზომიერი მფლობელობა ან გამგებლობა, მაშინ რ.გ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო თაღლითობად, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), ხოლო რ.გ-ს მამის ფ.გ-ს ქმედება – აღნიშნულ დანაშაულში დახმარებად.

მესამე, განსახილველი განაჩენის მიხედვით ქრთამის აღება (სსკ-ის 338-ე მუხლი) და მიცემა (სსკ-ის 339-ე მუხლი), იმიტომ გამოირიცხება, რომ ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების დაუფლებაზე დანაშაულებრივ გარიგებას ანუ დამნაშავეები თანხმდებიან სხვისი საკუთრების (ამ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრების) ხელყოფაზე. ამასთან, როგორც აღინიშნა, სისხლის სამართალში აკრძალულია ერთი ქმედების ორჯერ შეფასება. შესაბამისად, თუ კვალიფიკაცია უკანასკნელ შემთხვევაში მექრთამეობის მუხლებითაც განხორციელდებოდა, მაშინ ასეთი აკრძალვა დაირღვეოდა.

დაბოლოს, მხოლოდ ქრთამის აღებით (სსკ-ის 338-ე მუხლი) და მიცემით (სსკ-ის 339-ე მუხლი) ქმედების კვალიფიკაციისას შეფასების გარეშე რჩება სახელმწიფო საკუთრების ხელყოფა. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელმწიფო საკუთრების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როდესაც კორუფციული გარიგების საფუძველზე ტენდერში ისეთი პირი იმარჯვებს, ვინც ვერ აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს. შესაბამისად, თუკი მოხელე ან რომელიმე კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გამოცხადებულ ტენდერში ისეთ კანდიდატს გაამარჯვებინებს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ტენდერით წაყენებულ პირობებს, მაშინ დამატებით

უნდა დადგინდეს, თუ რის სანაცვლოდ იქნა ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული. მსგავს სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების ორი კონკრეტული საფუძველი შეიძლება გამოიკვეთოს:

1) თუ გარკვეული ქონების ან არამართლზომიერი უპირატესობის სანაცვლოდ გამოცხადდა პირი ტენდერში გამარჯვებულად, მაშინ ადგილი აქვს ქრთამის აღებას (სსკ-ის 338-ე მუხლი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (სსკ-ის 332-ე მუხლი), ხოლო კერძო სექტორში – კომერციულ მოსყიდვას (სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (სსკ-ის 220-ე მუხლი);

2) თუ გარკვეული ქონების ან არამართლზომიერი უპირატესობის სანაცვლოდ არ გამოცხადდა პირი ტენდერში გამარჯვებულად, მაშინ ქმედება შეფასდება მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად (სსკ-ის 332-ე მუხლი), ხოლო კერძო სექტორში – უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად (სსკ-ის 220-ე მუხლი).

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაციაც, როდესაც პირი ტენდერში მონაწილეობის მიმღებ მენარმეს არწმუნებს, რომ მას შეუძლია, გარკვეული ფულის სანაცვლოდ, გაგლენა მოახდინოს სატენდერო კომისიის წევრებზე, რათა მათ ტენდერში გამარჯვებულად სწორედ ის (ანუ ეს მენარმე) გამოაცხადონ. ბუნებრივია, გამოძიებით უნდა დადგინდეს, რომ ამ საქმიანობისთვის გარკვეული ქონება გადაწყვეტილების მიმღებ კომისიის წევრებზე ზემოქმედების მომხდენ პირს გადაეცემა და არა ამ უკანასკნელი პირის შუამავლობით თვით ამ კომისიის წევრებს. მსგავს სიტუაციაში ქმედება ზეგავლენით ვაჭრობად შეფასდება (სსკ-ის 339¹ მუხლი²⁴). თუკი ამ შემთხვევაში საქმე ისე წარიმართება, რომ სასურველი კანდიდატი ტენდერში გაიმარჯვებს, ხოლო ზეგავლენით მოვაჭრე შემდეგ სატენდერო კომისიის წევრს წააქმებს და იმაზე მეტ თანხას გადაარიცხვინებს ტენდერში გამარჯვებულისთვის, ვიდრე სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან საქონელი ღირს, მაშინ სატენდერო კომისიის წევრის ქმედება, – თუ ქონება ამ უკანასკნელის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაშია,

– უნდა დაკვალიფიცირდეს მითვისებად, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი), ხოლო თუ ასეთი მართლზომიერი მფლობელობა ან გამგებლობა არ დასტურდება, მაშინ სატენდერო კომისიის წევრის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობად, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). რაც შეეხება ზეგავლენით მოვაჭრის ქმედებას, ის დამატებით დაკვალიფიცირდება ზემოაღნიშნული მითვისების ან, შესაბამისად, თაღლითობის, წაქეზებად ან ორგანიზებად (სსკ-ის მე-24 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით). ბუნებრივია, სრულყოფილი კვალიფიკაციისთვის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელი იქნება ან სსკ-ის 210-ე მუხლზე (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), ან 341-ე მუხლზე (სამსახურებრივი სიყალბე), ანდა სსკ-ის 362-ე მუხლზე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) მითითება.

V. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილება ანალიზმა ცხადყო, რომ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა ხშირად არაერთგვაროვანი და არათანმიმდევრულია. დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც კორუფციული გარიგებების საფუძველზე განხორციელებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ან ანუ იმ დანაშაულის ნიშნების შემცველია, ხშირად შესაბამის სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართულ ანდა სამოხელეო დანაშაულად არის დაკვალიფიცირებული.

ნათლად გამოვლინდა, რომ სატენდერო ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო ან კერძო კომპანიის სახსრებიდან თანხის უკანონოდ დაუფლებისას, აუცილებელია, ერთი მხრივ, „თანხის შემობრუნებისას“ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი დანაშაულის ამსრულებლობისა და ამ დანაშაულში თანამონაწილეობის, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულთა ერთობლიობისა და ნორმათა კონკურენციის საკითხის მართებულად გადანყვეტა.

ERWERB VON VERMÖGEN DURCH KORRUPTTE ABSPRACHEN

Prof. Dr. **Irakli Dvalidze**, Staatliche Ivane Javakhishvili Universität Tbilissi

I. Einführung

მე ასევე ვიღებ საქმეებს, რომელშიც პროკურატურა კითხულობს, თუ შეიძლება თანხმობის მიღება საქმის შეწყვეტაზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკმარისი ეჭვი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმის დასრულების შესაძლებლობა ბრალდების წაყენების გარეშე, შეწყვეტის გზით, ექვემდებარება ე.წ. ოპორტუნობის პრინციპს. ოპორტუნობაში ამ კონტექსტში ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისგან შეიძლება თავი შეიკავო მიზანშეწონილობის მოსაზრებებიდან გამომდინარე. ეს განსაკუთრებით რელევანტური შეიძლება იყოს უმნიშვნელო დანაშაულების შემთხვევაში. რადგან თუ ყველა, თუნდაც წვრილმანი დანაშაულის გამოძიება მოხდებოდა, ამის შედეგად მივიღებდით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პარალიზებას. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის მართლმსაჯულება ხშირად გადატვირთულია პერსონალის ნაკლებობისა და საქმეთა სიმრავლის გამო, საჭიროა დამატებითი ინსტრუმენტები სისხლის სამართლის საქმეების დასასრულებლად. ოპორტუნობის პრინციპი ასევე განმტკიცებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტში. იქ ნათქვამია: ის (პროკურატურა) ვალდებულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა დანაშაულის გამო, თუ არსებობს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. შემდგომში მსურს წარმოვადგინო ძირითადი საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც მოიცავს ბრალდების წაყენებისგან თავის შეკავებას. როგორც ღაგინაძე, პროკურატურას ამ საკანონმდებლო დებულებების ფარგლებში რეგულარულად ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება ან შეფასების თავისუფლება.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 153, ნაწილი 1

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, § 153-ის პირველი ნაწილის თანახმად, ერთი მხრივ, არსებობს საქმის შეწყვეტის შესაძლებლობა სანქციების დაკისრების გარეშე. იქ ნათქვამია: თუ საქმე ეხება სისხლისსამართლებრივ გადაცდომას, პროკურატურას შეუძლია,

მთავარი სხდომის გახსნაზე, უფლებამოსილი სასამართლოს თანხმობით, უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუ დამნაშავის ბრალი მცირედ ჩაითვლება და არ არსებობს საჯარო ინტერესი სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ. პროკურატურას აქვს ფართო შეფასების არეალი დამნაშავის ბრალისა და საზოგადოებრივი ინტერესის შეფასებასთან დაკავშირებით. აქ პროკურატურა იბრუნებს იმაზე, რომ დისკრეციის გამოყენება ერთგვაროვან კრიტერიუმებს ეფუძნებოდა, რათა ის თვითნებურად არ აღიქმებოდა. ფორმულირების „შეუძლია უარი თქვას“ გამო, საქმის შეწყვეტა პროკურატურის დისკრეციას წარმოადგენს. თუმცა, უმეტესი საგნობრივი მოსაზრებები უკვე ბრალისა და საჯარო ინტერესის შემოწმებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. ამის მიღმა, როგორც დისკრეციული საფუძველი, რჩება მხოლოდ პროცესუალური ეკონომიის საკითხები. მაგალითად, როდესაც მტკიცებულებების შეგროვება არ იქნებოდა მოსალოდნელი სასჯელის პროპორციული. ასევე, სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, მაგალითად პროცესის გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამო, დისკრეციული შემოწმების ფარგლებში უნდა იქნას გათვალისწინებული.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 153a

ახლა წარმოგიდგინთ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესაძლებლობას, გარკვეული სანქციის დანიშნით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 153a-ს შესაბამისად. იქ ნათქვამია: მთავარი სხდომის გახსნაზე უფლებამოსილი სასამართლოსა და ბრალდებულის თანხმობით, პროკურატურას შეუძლია გადაცდომის შემთხვევაში დროებით თავი შეიკავოს საჯარო ბრალდების წაყენებისგან და იმავდროულად დააკისროს ბრალდებულს ვალდებულებები და მითითებები, თუ ეს შესაბამისობაშია სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესთან და ბრალის სიმძიმე არ ეწინააღმდეგება ამას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, ბრალდებული იხდის თანხას სახელმწიფო ხაზინის ან საქველმოქმედო დაწესებულების სასარგებლოდ. § 153-ისგან განსხვავებით, საჯარო დევნის ინტერესი აქ, ძირითადად, ხელს არ უშლის საქმის ამ გზით შეწყვეტას. თუმცა, საჯარო ინტერესი უნდა დაკომპენსირდეს დაკისრებული სანქციით. §153a

გამოიყენება არაუმნიშვნელო დანაშაულების ჩადენის შემთხვევაშიც. განსაკუთრებით, ეკონომიკური დანაშაულების სფეროში, შესაძლებელია საკმაოდ მძიმე ბრალდებების მიმართ საქმის შეწყვეტა მნიშვნელოვანი სანქციების დაკისრების გზით. არის თუ არა ეს სანქციები საჯარო დევნის ინტერესის ადეკვატური, პროკურატურის შესაფასებელია.

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის § 45

არასრულწლოვანთათვის არსებობს დამატებითი სპეციალური რეგულაციები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის § 45 შეესაბამება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბემოთ აღნიშნულ ნორმებს - § 153 და § 153a. ეს რეგულაცია ფართოდ გამოიყენება არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში, რადგან მასში აღზრდის იდეაა პრიორიტეტული. არასრულწლოვანთა პროკურორი წყვეტს საქმის წარმოებას და უარს ამბობს შემდგომ დევნაზე, თუ იგი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანზე საკმარისი ზეგავლენა მოახდინა მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებთან კონფრონტაციამ ან უკვე განხორციელებულმა აღმზრდელობითმა ღონისძიებამ. აქაც პროკურატურას აქვს ფართო, სამართლებრივად არაგადასინჯვადი, შეფასების თავისუფლება.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 154

საქმის შეწყვეტის კიდევ ერთი შესაძლებლობა არსებობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 154-ის თანახმად, პროკურატურას შეუძლია უარი თქვას დანაშაულის დევნაზე, თუ მოსალოდნელი სასჯელი უმნიშვნელოა სხვა საქმის ფარგლებში უკვე დაკისრებულ ან მოსალოდნელ სასჯელთან შედარებით.

მაგალითად, თუ პირი უკვე მსჯავრდებულია ყაჩაღობისთვის რამდენიმეწლიანი თავისუფლების აღკვეთით და კიდევ ბრალდებულია მაღაზიაში ქურდობისთვის. სისხლისსამართლებრივი დევნისგან თავის შეკავება ამ შემთხვევაშიც პროკურატურის დისკრეციული უფლებამოსილებაა. როგორც წესი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას საქმის შეწყვეტა არ განიხილება, თუ ახალი

დანაშაული ჩადენილია წინა განაჩენის აღსრულების დასრულების შემდეგ.

5. კერძო ბრალდების გზაზე მითითება სსსკ-ის § 374-ის შესაბამისად

გარდა ამისა, პროკურატურას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება კერძო ბრალდების დანაშაულებთან მიმართებაში. გერმანული კანონმდებლობით, კერძო ბრალდების დანაშაულებს მიეკუთვნება, მაგალითად, ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა, შეურაცხყოფა და ქონების დაზიანება. ამ შემთხვევაში პროკურატურას შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა გადასცეს დაზარალებულს, თუ თვითონ უარყოფს საჯარო ინტერესს სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ. პრაქტიკულად, სისხლის სამართლის საქმე ამით მთავრდება, რადგან კერძო ბრალდების პროცედურა რთული და ხანგრძლივია. თუ პროკურატურა უარყოფს საჯარო ინტერესს სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ, საქმე შეიძლება შეწყდეს სსსკ-ის § 170-ის მე-2 პუნქტის შესაბამისად და დაზარალებულს მიეთითოს კერძო ბრალდების გზაზე.

პროკურატურის გადაწყვეტილება საჯარო ინტერესის არარსებობასთან დაკავშირებით, სასამართლოს მხრიდან გადასინჯვას არ ექვემდებარება. თუმცა, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების სახელმძღვანელო პრინციპებში (№86, ნაწ. 2 RiStBV) არსებობს საჯარო ინტერესის სავალდებულო განმარტება პროკურატურისთვის. ასევე, რელატიური საჩივრის დანაშაულებისთვის, სადაც პროკურატურა მხოლოდ განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობისას წარადგენს ბრალდებას, სახელმძღვანელო პრინციპები განსამღვრავს კრიტერიუმებს ცალკეული საჩივრის დანაშაულებისთვის (მაგ. №230 RiStBV სხეულის დამიანებასთან მიმართებით).

6. შეზღუდვები სამართლებრივი დახმარების მოთხოვნისას

კანონიერების პრინციპი სამართლებრივი დახმარების მოთხოვნებზეც არ მოქმედებს შეუზღუდავად. პროკურატურა უცხოურ უწყებებთან სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს არა როგორც სისხლის

სამართლის დევნის ორგანო, არამედ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება. აქ არ არის აუცილებელი ყველა საგამოძიებო ასპექტის ამოწურვა. თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, შესაძლებელია უარი ითქვას სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის წარდგენაზე, თუ დევნის განხორციელება არ ჩანს წარმატების მომტანი. ეს პროგნოზული გადანწყვეტილება ასევე პროკურატურის დისკრეციაშია და მას პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

IV. შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან

სანამ წარმოდგენილ შედეგებს კიდევ ერთხელ შევაჯამებ, მინდა აღვწერო პატარა შემთხვევა, რომელიც გასულ კვირაში უნდა განმეხილა. მინდა ეს გავაკეთო იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება პროკურატურამ და სასამართლოებმა სხვადასხვაგვარად მოახდინონ რეაგირება დანაშაულზე, განსაკუთრებით მცირე მნიშვნელობის საქმეებში. ასევე იმიტომ, რომ ეს შემთხვევა წარმოადგენს მშვენიერ მაგალითს პატარა რაიონული სასამართლოს „ფერადი ცხოვრებისა“. საქმე ეხებოდა დედას, რომელიც თავის სამ პატარა შვილთან ერთად ავიდა სამარშრუტო ავტობუსში. ორ ბავშვს ხელში ეჭირა თეფში კარტოფილი ფრით და მაიონეზით. მძღოლმა დედას განუცხადა, რომ ავტობუსში არ შეიძლებოდა კარტოფილი ფრის ჭამა და მისი ღიად ტარება. მათ უნდა გადაეგდოთ ის ან დაეტოვებინათ ავტობუსი. თუმცა დედამ უარი განაცხადა ამის გაკეთებაზე. ამის შემდეგ მძღოლმა მათ მოთხოვა ავტობუსის დატოვება. დედა არ დაემორჩილა ამას, რის შემდეგაც მძღოლმა პოლიცია გამოიძახა. მთლიანობაში, ავტობუსი დაახლოებით 45 წუთით შეყოვნდა. შემდეგ შეტანილ იქნა საჩივარი ქალის წინააღმდეგ ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის გამო. პროკურატურამ, გამოძიების დასრულების შემდეგ, თავდაპირველად შეწყვიტა საქმე და განაცხადა, რომ დევნა არ შეესაბამებოდა საჯარო ინტერესს. მან სატრანსპორტო კომპანიას მიუთითა კერძო საჩივრის გზაზე. ამის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა ბრალდებულის ადვოკატმა, რომელიც იმავდროულად მისი მეუღლე იყო, რადგან მას მიაჩნდა, რომ ბინის ხელშეუხებლობის

დარღვევა არ განხორციელებულა და ამიტომ კერძო საჩივარზე მითითება დაუშვებელი იყო. შედეგად, პროკურატურამ ხელახლა განაახლა გამოძიება და ბრალდება წარადგინა ესენ-შტეელეს რაიონულ სასამართლოში.

ამის შემდეგ მე გავხსენი მთავარი პროცესი, რადგან მეც მივიჩნიე, რომ არსებობდა საკმარისი ეჭვი დანაშაულის ჩადენაში და დავნიშნე სასამართლო მოსმენის თარიღი მოწმეებთან ერთად. მთავარ სხდომამდე ერთი დღით ადრე ადვოკატმა დარეკა და შეგვატყობინა, რომ მეორე დღეს სხდომაზე გამოცხადდებოდა სამივე ბავშვთან ერთად, ანუ მთელი ოჯახთან და ბებიასთან ერთად, რომელიც შვეიცარიიდან ჩამოვიდოდა. მათ არ ჰქონდათ ბავშვების სხვაგან დატოვების შესაძლებლობა. მან ითხოვა, რომ სხდომის დროს დაგვემილიყო შესვენებები უმცროსი ბავშვის, ჩვილის კვებისთვის. გარდა ამისა, მას ჰქონდა მხოლოდ დაახლოებით 3,5 საათი, რაც უნდა გაგვეთვალისწინებინა. ფაქტობრივად, შეხვედრისთვის გამოყოფილი იყო მხოლოდ ნახევარი საათი. ამასთან, მას თან ჰქონდა მტკიცებულებების დიდი რაოდენობა ვიდეორჩანანერების სახით და ყავდა დამატებითი მოწმეები. საჭიროების შემთხვევაში, სამხრეთ გერმანიიდან კიდევ ერთი მოწმე უნდა გამოეძახებინათ სხვა თარიღისთვის. ის ნებისმიერ შემთხვევაში გაასაჩივრებდა გამამტყუნებელ განაჩენს და უკვე მომზადებული ჰქონდა მრავალგვერდიანი სააპელაციო განაცხადი. ვინაიდან სისხლის სამართლის საჩივრის ნამდვილობასთან დაკავშირებით არსებობდა ეჭვები (საქმის მასალების მიხედვით, მას ხელი მხოლოდ ავტობუსის მძღოლმა მოაწერა) და მთელი პროცესი, ჩემი აზრით, საკმაოდ გაჭიანურდებოდა, დავურევე პასუხისმგებელ პროკურორს, რათა გამერკვია, ხომ არ შეიძლებოდა საქმის შეწყვეტა. ადვოკატიც, სატელეფონო საუბრისას, ამის წინააღმდეგი არ იყო. შემდეგ სასამართლო სხდომა გაუქმდა და საქმე კვლავ გადაეგზავნა პროკურატურას დასკვნისთვის. ახლა, სავარაუდოდ, საქმე შეწყდება. გადახდის ვალდებულებით თუ მის გარეშე, ეს დამოკიდებულია სისხლის სამართლის საჩივრის ნამდვილობაზე. ყოველ შემთხვევაში, ეს პასუხისმგებელმა პროკურორმა ასე განაცხადა.

ეს პატარა საქმე გვიჩვენებს, რომ პროცესის მიმდინარეობისას, განსაკუთრებით უმნიშვნელო დარღვევების სფეროში, სამართალდამცავ

ორგანოებს აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობები საქმის წარმოების დასრულებისთვის (ამ საქმეში: კერძო ბრალდების გზა, ბრალდება, შეწყვეტა).

V. შეჯამება

შეჯამების სახით მინდა აღვნიშნო, რომ პროკურატურა ვალდებულია წარადგინოს ბრალდება, როდესაც არსებობს საკმარისი ეჭვი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. კანონიერების პრინციპი წარმოადგენს ზოგად წესს. თუმცა, არსებობს გამონაკლისები. ეს გამონაკლისები უნდა იყოს კანონით დარეგულირებული. კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი დებულებების გამოყენებისას პროკურატურას აქვს მოქმედების სხვადასხვა ალტერნატივა, იქნება ეს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება თუ განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების (მაგ. საჯარო ინტერესის) განმარტება. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურის დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სისხლისსამართლებრივი დევნისას, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლონ თავიანთი შეზღუდული რესურსების მიზნობრივი გამოყენება დანაშაულთან ბრძოლაში.

DAS ERMESSEN DER STAATSANWALTSCHAFT BEI DER ANKLAGEERHEBUNG

Hannes Klopmeier, Richter am Amtsgericht Essen-Steele

I. Einleitung

Wenn ich als Strafrichter eine Akte von der Staatsanwaltschaft als neuen Eingang auf dem Schreibtisch liegen habe, hat der zuständige Staatsanwalt bereits entschieden, ob er Anklage erheben möchte oder ob eine Einstellung erfolgen soll. Es stellt sich die Frage, nach welchen Regeln die Staatsanwaltschaft zu dieser „Vorentscheidung“ gekommen ist. Geht sie von einem hinreichenden Tatverdacht aus, ist sie grundsätzlich verpflichtet Anklage zu erheben.

II. Legalitätsprinzip

Dies folgt aus dem Legalitätsprinzip. Verankert ist dieses § 152 Abs. 2 StPO. Dort heißt es:

Sie (die Staatsanwaltschaft) ist, soweit nicht gesetzlich ein anderes bestimmt ist, verpflichtet, wegen aller verfolgbaren Straftaten einzuschreiten, sofern zureichende tatsächliche Anhaltspunkte vorliegen.

Und konkret heißt es in Bezug auf die Erhebung der Anklage in § 170 Abs. 1 StPO:

Bieten die Ermittlungen genügenden Anlass zur Erhebung der öffentlichen Klage, so erhebt die Staatsanwaltschaft sie durch Einreichung einer Anklageschrift bei dem zuständigen Gericht.

Nach diesen Normen unterliegt die Frage, ob Anklage erhoben wird, gerade nicht dem Ermessen der Staatsanwaltschaft. Vielmehr begründet das Legalitätsprinzip grundsätzlich einen Anklagezwang.

III. Opportunitätsprinzip

Mich erreichen allerdings auch Verfahren, bei denen die Staatsanwaltschaft anfragt, ob die Zustimmung zu einer Einstellung erteilt wird, obwohl ein hinreichender Tatverdacht vorliegt. Die Möglichkeit der Beendigung des Strafverfahrens ohne Anklageerhebung durch Einstellung unterliegt dem sogenannten Opportunitätsprinzip. Opportunität bedeutet in diesem Zusammenhang, dass von der Strafverfolgung aus Zweckmäßigkeitserwägungen abgesehen werden kann. Zweckmäßig kann dies insbesondere im Bereich der Kleinkriminalität sein. Denn würde man jede noch so kleine Straftat verfolgen wollen, wäre die Funktionsunfähigkeit der Strafrechtspflege die Folge. Insbesondere vor dem Hintergrund, dass die Justiz in Deutschland aufgrund von Personalmangel und der Vielzahl an Verfahren häufig überlastet ist, bedarf es weiterer Instrumente zur Erledigung von Strafverfahren.

Das Opportunitätsprinzip ist ebenfalls in § 152 Abs. 2 SPO verankert. Denn dort heißt es ja:

Sie (die Staatsanwaltschaft) ist, soweit nicht gesetzlich ein anderes bestimmt ist, verpflichtet, wegen aller verfolgbaren Straftaten einzuschreiten, sofern zureichende tatsächliche Anhaltspunkte vorliegen.

Ich möchte im Folgenden, die wesentlichen gesetzlichen Bestimmungen, die dieses Absehen von der Erhebung zur Anklage beinhalten, darstellen. Wie sich zeigen wird, ist der Staatsanwaltschaft im Rahmen dieser gesetzlichen Bestimmungen regelmäßig ein Ermessen oder ein Beurteilungsspielraum eingeräumt.

1. § 153 Abs. 1 StPO

Zum einen gibt es die Möglichkeit der Einstellung des Verfahrens ohne sanktionierenden Charakter gemäß § 153 Abs. 1 StPO. Dort heißt es:

Hat das Verfahren ein Vergehen zum Gegenstand, so kann die Staatsanwaltschaft mit Zustimmung des für die Eröffnung des Hauptverfahrens zuständigen Gerichts von der Verfolgung absehen, wenn die Schuld des Täters als gering anzusehen wäre und kein öffentliches Interesse an der Verfolgung besteht.

Die Staatsanwaltschaft besitzt hinsichtlich der Einschätzung von Schuld des Täters und dem öffentlichen Interesse einen weitreichenden Beurteilungsspielraum. Hier wird die Staatsanwaltschaft darauf achten, die Anwendung an einheitlichen Kriterien auszurichten, damit diese nicht als willkürlich empfunden wird. Aufgrund der Formulierung „kann absehen“ in § 153 Abs. 1 StPO steht die Einstellung hier zudem im Ermessen der Staatsanwaltschaft. Die meisten sachlichen Erwägung werden allerdings bereits bei der Prüfung von Schuld und öffentlichem Interesse zu berücksichtigen sein. Als ausschließliche Ermessensgründe verbleiben sodann solche der Prozessökonomie. Wenn zum Beispiel eine umfangreiche Beweisaufnahme nicht im Verhältnis zu der zu erwartenden Strafe stünde. Auch der Grundsatz eines fairen Verfahrens, zum Beispiel aufgrund überlanger Verfahrensdauer, wäre hier im Rahmen der Ermessensprüfung zu berücksichtigen.

2. § 153a StPO

Als nächstes stelle ich die Möglichkeit der Einstellung des Verfahrens mit sanktionierender Wirkung gemäß § 153a Abs. 1 StPO vor. Dort heißt es:

Mit Zustimmung des für die Eröffnung des Hauptverfahrens zuständigen Gerichts und des Beschuldigten kann die Staatsanwaltschaft bei einem Vergehen vorläufig von der Erhebung der öffentlichen Klage absehen und zugleich dem Beschuldigten Auflagen und Weisungen erteilen, wenn diese geeignet sind, das öffentliche Interesse an der Strafverfolgung zu beseitigen und die Schwere der Schuld nicht entgegensteht.

Eine übliche Auflage ist es, dass der Beschuldigten eine Zahlung an die Staatskasse oder an eine gemeinnützige Einrichtung leistet. Anders als bei § 153 StPO hindert ein öffentliches Verfolgungsinteresse die Einstellung hier grundsätzlich nicht. Es muss jedoch durch die Sanktion kompensierbar erscheinen. Insofern ist § 153 a StPO auch auf Fälle anwendbar, die nicht zur Kleinkriminalität zählen. Vor allem im Bereich von Wirtschaftsstraftaten können durchaus erhebliche Vorwürfe mit dann allerdings auch erheblichen Auflagen sanktioniert werden. Ob die Auflagen geeignet sind, das öffentliche Verfolgungsinteresse zu kompensieren, unterliegt hierbei wieder der Einschätzung der Staatsanwaltschaft. Auch hier hat sie einen weiten Beurteilungsspielraum.

3. § 45 JGG

Für Jugendliche gibt es diesbezüglich noch Sonderregelungen im Jugendgerichtsgesetz. Hier entspricht der § 45 JGG den gerade dargestellten § 153 StPO und § 153a StPO. Von dieser Vorschrift wird im Jugendstrafrecht auch umfangreicher Gebrauch gemacht, da im Jugendstrafrecht der Erziehungsgedanke im Vordergrund steht. Der Jugendstaatsanwalt stellt danach das Verfahren ein und sieht von der weiteren Verfolgung ab, wenn er zu der Einschätzung gelangt, dass der Jugendliche allein durch die Konfrontation mit den Strafverfolgungsbehörden oder durch eine bereits erfolgte erzieherische Maßnahme ausreichend beeindruckt worden ist. Auch hier steht der Staatsanwaltschaft ein weiter, rechtlich nicht überprüfbarer Beurteilungsspielraum zu.

4. § 154 StPO

Eine weitere Möglichkeit der Einstellung besteht nach § 154 StPO:

Danach kann die Staatsanwaltschaft von der Verfolgung einer Tat absehen, wenn die zu erwartende Strafe, gegenüber einer bereits verhängten oder zu erwartenden Strafe in einem anderen Verfahren nicht ins Gewicht fällt.

Wenn z.B. jemand bereits wegen Raubes zu einer mehrjährigen Freiheitsstrafe verurteilt wurde und noch ein weiterer Ladendiebstahl angeklagt ist. Das Absehen von Strafverfolgung liegt auch hier im pflichtgemäßen Ermessen der Staatsanwaltschaft. Regelmäßig kommt hier bei Ausübung des pflichtgemäßen Ermessens eine Einstellung nicht in Betracht, wenn die neue Tat erst nach dem Abschluss der Vollstreckung wegen der früheren Verurteilung begangen wurde.

5. Verweis auf den Privatklageweg gem. § 374 StPO

Zudem besteht ein Ermessen der Staatsanwaltschaft bei den Privatklagedelikten. Zu den Privatklagedelikten gehören nach deutschem Recht zum Beispiel der Hausfriedensbruch, die Beleidigung und die Sachbeschädigung. Hier kann die Staatsanwaltschaft die Strafverfolgung auf den Geschädigten übertragen, wenn sie das öffentliche Interesse an der Strafverfolgung verneint. Praktisch ist das Strafverfahren damit dann beendet, da das Privatklageverfahren kompliziert und langwierig ist. Wenn die Staatsanwaltschaft hier das öffentliche Interesse an der

Strafverfolgung verneint, kann das Verfahren gemäß § 170 Abs. 2 StPO eingestellt werden und der Geschädigte auf den Privatklageweg verwiesen werden.

Ob die Staatsanwaltschaft das öffentliche Interesse an der Strafverfolgung bejaht oder verneint, ist gerichtlich nicht überprüfbar. Es gibt jedoch in den Richtlinien für Straf- und Bußgeldverfahren (Nr. 86 Abs. 2 RiStBV) eine für die Staatsanwaltschaft grundsätzlich bindende Definition des öffentlichen Interesses. Auch für die relativen Antragsdelikte, bei denen die Staatsanwaltschaft nur bei einem besonderen öffentlichen Interesse Anklage erhebt, geben die Richtlinien für Straf- und Bußgeldverfahren der Staatsanwaltschaft Kriterien für einzelne Antragsdelikte vor (z.B. in Nr. 230 RiStBV für die Körperverletzung).

6. Einschränkung bei Rechtshilfeersuchen

Auch bei Rechtshilfeersuchen gilt das Legalitätsprinzip nicht uneingeschränkt. Die Staatsanwaltschaft führt den Rechtshilfeverkehr mit ausländischen Behörden hier nicht als Strafverfolgungsbehörde, sondern als Exekutive. Hier muss nicht jeder Ermittlungsansatz ausgeschöpft werden. Es kann im Hinblick auf den Grundsatz der Verhältnismäßigkeit von der Stellung eines Rechtshilfeersuchens abgesehen werden, wenn Verfolgungsansätze nicht erfolversprechend erscheinen. Diese Prognoseentscheidung steht ebenfalls im Ermessen der Staatsanwaltschaft. Diese Einschränkung weist in der Praxis eine hohe Relevanz auf.

IV. Fall aus der Praxis

Bevor ich die dargestellten Ergebnisse noch mal zusammenfasse, möchte ich einen kleinen Fall, den ich in der vergangenen Woche verhandeln wollte, darstellen. Dies möchte ich tun, um zu verdeutlichen, wie gerade im Bagatellbereich von Seiten der Staatsanwaltschaft und der Gerichte auf strafbares Verhalten auf unterschiedliche Weise reagiert werden kann. Und auch weil der Fall ein schönes Beispiel für das „bunte Leben“ an einem kleinen Amtsgericht darstellt. Es ging darum, dass eine Mutter mit ihren drei kleinen Kindern einen Linienbus bestiegen hatte. Hierbei hatten zwei der Kinder eine Schale mit Pommes Frites und Mayonnaise in der Hand. Der Busfahrer teilte der Mutter gegenüber mit, dass man im Bus keine

Pommes Frites essen und diese auch nicht offen tragen dürfe. Man solle diese entsorgen oder den Bus verlassen. Die Mutter weigerte sich jedoch dies zu tun. Daraufhin wurde ein Hausverbot von Seiten des Busfahrers für den Linienbus ausgesprochen. Dem kam die Mutter nicht nach, woraufhin der Busfahrer die Polizei rief. Insgesamt wurde der Bus ca. 45 Minuten aufgehalten. Sodann wurde eine Anzeige wegen Hausfriedensbruchs erstattet. Die Staatsanwaltschaft hat in der Folge das Verfahren nach Abschluss der Ermittlungen zunächst eingestellt und ausgeführt, dass die Verfolgung nicht im öffentlichen Interesse liegt. Sie hat das Busunternehmen insoweit auf den Privatklageweg verwiesen. Dagegen hat dann wiederum der mittlerweile bestellte Rechtsanwalt der Angeklagten, der gleichzeitig deren Ehemann war, Beschwerde eingelegt, da er der Auffassung war, dass ein Hausfriedensbruch nicht verwirklicht wurde und deshalb eine Verweisung auf den Privatklageweg nicht zulässig sei. Infolgedessen hat die Staatsanwaltschaft die Ermittlung wieder aufgenommen und Anklage beim Amtsgericht Essen-Steele erhoben. Ich habe dann das Hauptverfahren eröffnet, da auch ich einen hinreichenden Tatverdacht angenommen habe, und ein Verhandlungstermin mit Zeugen bestimmt. Ein Tag vor dem Hauptverhandlungstermin meldete sich dann der Rechtsanwalt telefonisch und teilte mit, dass er zur Hauptverhandlung mit allen drei Kindern, also mit der ganzen Familie und auch der Großmutter, die aus der Schweiz anreisen würde, am nächsten Tag erscheinen werde. Man habe keine anderweitige Möglichkeit der Betreuung für die Kinder. Er bat darum, dass während der Sitzung auch Pausen zum Stillen des jüngsten Kindes, einem Säugling, eingebaut würden. Zudem habe er nur ca. 3 1/2 Stunden Zeit, dies möge man berücksichtigen. Tatsächlich war für den Termin nur eine halbe Stunde angesetzt. Außerdem hätte er umfangreiches Beweismaterial in Form von Videoaufzeichnungen und weiteren Zeugen dabei. Gegebenenfalls müsse auch noch eine Zeugin aus Süddeutschland geladen werden für einen Fortsetzungstermin. Er würde in jedem Fall gegen eine Verurteilung vorgehen und habe bereits einen mehrseitigen Revisionschriftsatz vorbereitet. Da auch bezüglich der Wirksamkeit des Strafantrages Zweifel bestanden (dieser war nach Aktenlage nur von dem Busfahrer unterzeichnet worden) und das ganze Verfahren meines Erachtens ziemlich auszufern drohte, habe ich die zuständige Staatsanwältin angerufen, um zu erfragen, ob man das Verfahren nicht doch einstellen wolle. Für ein solches Vorgehen hatte auch der Verteidiger sich am Telefon offen gezeigt. Der Termin wurde sodann

aufgehoben und die Akte der Staatsanwaltschaft nochmal zur Stellungnahme übersandt. Nun wird wahrscheinlich doch eine Einstellung erfolgen. Ob mit oder ohne Zahlungsaufgabe hängt von der Wirksamkeit des Strafantrages ab. Dies ist jedenfalls von der zuständigen Staatsanwältin so angekündigt worden.

Dieser kleine Fall soll verdeutlichen, dass sich im Laufe eines Verfahrens gerade im Bagatellbereich verschiedene Möglichkeiten der Verfahrensbeendigung für die Strafverfolgungsbehörden ergeben können (hier: Privatklageweg, Anklage, Einstellung).

V. Zusammenfassung

Zusammenfassend möchte ich ausführen, dass die Staatsanwaltschaft bei hinreichendem Tatverdacht grundsätzlich verpflichtet ist, Anklage zu erheben. Das Legalitätsprinzip stellt als Leitbild den Regelfall dar.

Es gibt jedoch Ausnahmen hiervon. Diese müssen gesetzlich normiert sein. Innerhalb der Anwendung der gesetzlichen Ausnahmegesetze hat die Staatsanwaltschaft verschiedene Spielräume. Diese können durch das Ausüben von Ermessen oder bei der Beurteilung unbestimmter Rechtsbegriffe (z.B. dem öffentlichen Interesse) gefüllt werden.

Insgesamt lässt sich festhalten, dass das Ermessen der Staatsanwaltschaft ein wichtiges Instrument bei der Strafverfolgung darstellt, damit die Strafverfolgungsbehörden ihre begrenzte Kapazität im Kernbereich der Kriminalität gezielt einsetzen können.

**პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება
სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას ქართულ
სისხლის სამართლის პროცესში**

ბესიკ ქვარცხავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,
რაიონული პროკურორი

I. შესავალი

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს, განსაკუთრებით 2010 წლის 01 ოქტომბრიდან ამოქმედებულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, რადგან მანამდე მოქმედი 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სისხლისსამართლებრივი დევნის ასპექტები განსხვავებულად იყო მოწყობილი, რაც განაპირობებს აღნიშნული ინსტიტუტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. 2010 წელს ამოქმედებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ქართული სისხლი სამართლის პროცესის სისტემამ კონტინენტური სამართლის სისტემიდან გადაინაცვლა ანგლოამერიკული საერთო სამართლის სისტემის მოდელზე, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია მხოლოდ პროკურორს გააჩნია. ჩამოყალიბდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების/შენწყვეტის გამოყენება განრიდება მედიაციის საფუძველზე და მის გარეშე. ამასთან ახალი პროცესის ამოქმედების კვალდაკვალ აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით განხორციელდა ცალკეული ცვლილებები, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, რითაც ერთის მხრივ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მიმართ დაწესდა კონტროლის ბერკეტები და გაძლიერებულ იქნა დაზარალებულის ინსტიტუტი. ცხადია მცირე ნაშრომის ფორმატში რთულია მნიშვნელოვანი სიღრმისეული განხილვა, თუმცა წინამდებარე

ტექსტის მიზანია არსებული პრაქტიკის და ნორმათა თეორიული განხილვა და ამ მიმართულებით არსებული გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზების ირგვლივ ყურადღების გამახვილება, რაც იქნება დამატებითი ნაბიჯი აღნიშნული მიმართულებით ცალკეული საკითხების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით.

II. სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მით უფრო 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებულ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირობებში, როდესაც პროკურორს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება. „დისკრეციული“ [ფრანგ. Discretionnaire] ნიშნავს პირადი შეხედულებისამებრ მოქმედს.¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის² 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიან).

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დასრულების ეტაპს, სსსკ-ის თანახმად გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნა სრულდება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა/შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებით. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის კანონისმიერი საფუძვლები განსაზღვრულია სსსკ-ის 105-ე და 167-ე მუხლებში, რომლებიც გარდა დისკრეციულ უფლებამოსილებაზე დაფუძნებული გამონაკლისისა, სხვა შემთხვევაში არის იმპერატიული ხასიათის და სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში პროკურორი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით გაწერილი ნორმის შინაარსით, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ასევე არსებობს დისკრეციული

1 ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973, 110.

2 შემდგომში სსსკ.

საფუძვლები, რომელიც პროკურორს სძენს უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება, არგაგრძელების თაობაზე, რომლის ირგვლივ უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი. აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიების სტადიაზე, საქმის სასამართლოში წარმართვით ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მომენტში არ სრულდება, რადგან პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, - პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდეს, ბრალდება მოხსნილ იქნეს ან/და შეიცვალოს ბრალდება, ვრცელდება არამხოლოდ გამოძიების სტადიაზე, არამედ ეს უფლებამოსილება ვრცელდება სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. სსსკ-ის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული უფლებით ბრალდების მხარე სარგებლობს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე, გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა. ამდენად ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას მიმდინარეობს და გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებული და მსჯავრდებული პირის მიმართ.

III. სისხლისსამართლებრივი დევნის ძველი მოდელი

2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იყო, რაც შეიქმნა პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად არსებობდა

სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგი სახეები: საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო³.

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე.

სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის თანახმად დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ მხარი დაეჭირათ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებაზე. თუ პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე ან შეცვლიდა ბრალდებას, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ სასამართლოში მხარი დაეჭირათ წინანდელ ბრალდებაზე.⁴ სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვისას, იგი წინასწარი გამოძიების სტადიაზე არ მიმდინარეობდა.⁵

რაც შეეხება კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება) მუხლის პირველი ნაწილით, 138-ე (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება) მუხლის პირველი ნაწილით, 139-ე (სქესობრივი კავშირის იძულება), 153-ე (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა), 157-ე (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა), 167-ე (ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა), 175-ე (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება), 189-ე (სააგრორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა) და 189¹ (სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა,

3 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 23.

4 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 25.

5 *მემვილი/კორბენაძე*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2006, 90.

როცა სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას შეიძლება ზიანი მიეყენებინა როგორც დაზარალებულისთვის, ისე ბრალდებულისთვის.⁶

ხოლო, რაც შეეხება კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება) და 125-ე (ცემა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და ის უნდა შეწყვეტილიყო ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო.⁷

თანამედროვე სისხლის სამართალში სახელმწიფომ თავის თავზე აიღო დანაშაულის მსხვერპლის პოზიციის დაცვა და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ზრუნვა. [...] სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დანაშაულის დევნის უფლება ასევე კერძო პირებსაც.⁸

ამდენად, განსხვავებით გემოაღნიშნული ძველი მოდელისგან, თანამედროვე დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის მოდელის მიხედვით, პროკურორი ნაკლებად მძიმე, მძიმე და აგრეთვე განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ნებისმიერ დანაშაულზე საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას დაიწყოს და გააგრძელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამავდროულად, პროცესში არსებობს მხოლოდ ორი მხარე, ბრალდების და დაცვის მხარის სახით. დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს და მას არ გააჩნია უფლებამოსილება არ დაეთანხმოს პროკურორის გადაწყვეტილებას და თავად აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა, დაზარალებულს გააჩნია უფლებამოსილება, რომ თუკი არ დაეთანხმება პროკურორის გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/არდაწყების თაობაზე, იგი პირველ ეტაპზე გაასაჩივროს შემდგომ პროკურორთან, ხოლო მორიგ ეტაპზე კი ასევე სასამართლოში

6 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 26.

7 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 27.

8 *თუმანიშვილი*, დაზარალებული თანამედროვე სისხლის სამართლის სამართალში, სამართლის ჟურნალი, 2/2009.

ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აღჭურავს დაზარალებულს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მხრიდან კონტროლის ბერკეტებით.

IV. დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.⁹ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით. სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.¹⁰

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ორი მექანიზმი, ერთის მხრივ დისკრეციული დევნის არდაწყება/შეწყვეტა განრიდების გარეშე და მეორეს მხრივ დისკრეციული უფლებამოსილების, - სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება/შეწყვეტის გამოყენება განრიდების მეშვეობით.

რაც შეეხება დისკრეციული უფლებამოსილებით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება/შეწყვეტის გამოყენებას (განრიდების გარეშე), ასეთ დროს პროკურორს უფლება გააჩნია ნებისმიერი სიმძიმის და კატეგორიის დანაშაულზე მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან/და არ დაწყების გადაწყვეტილება, რასაც იგი აფორმებს დადგენილების სახით. პროკურორი, ასეთ დროს ვალდებულია წინასწარ კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და მას აცნობოს მოსალოდნელი გადაწყვეტილების შესახებ. ამასთან დადგენილების გამოტანიდან ერთი კვირის ვადაში პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს გაუგზავნოს დადგენილება, რათა დაზარალებული იყოს ინფორმირებული გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით და

9 სსსკ-ის მე-16 მუხლი;

10 სსსკ-ის 105-ე მუხლი

მოთხოვნის შემთხვევაში მას აქვს უფლება იგი გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო თუკი ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს, ასევე უფლება აქვს გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. სსსკ-ის თანახმად, თუ ზემდგომმა პროკურორმა ან სასამართლომ გააუქმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზეუარის თქმის ან/და შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდამზღოობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. ამ შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.

აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მკაცრ კონტროლს პირველ ეტაპზე ზემდგომი პროკურორის მხრიდან, ხოლო მეორე ეტაპზე სასამართლოს მხრიდან. სასამართლოს მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილებების სრული კონტროლის დაწესება განპირობებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული 2023 წლის 27 ივლისის №1/5/1355,1389 გადაწყვეტილებით,¹¹ რომლის თანახმად სასამართლომ დაადგინა, რომ არაკონსტიტუციურია ის ჩანაწერი, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების/შეწყვეტის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებას. სასამართლოს განმარტებით, - „ერთია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს პრეროგატივაა, მას აქვს კომპეტენცია და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც უნდა გამოიძიონ ნებისმიერი დანაშაული, გამოავლინონ დამნაშავე და მის მიმართ გამოიყენონ პასუხისმგებლობის პროპორციული ზომა, მაგრამ, იმავდროულად, ცხადია, სისტემა უნდა იყოს ეფექტიანად აწყობილი საიმისოდ, რომ არსებობდეს როგორც გამოძიების დაწყება-არდაწყების, ისე პროცესის და შედეგების სისწორის, მართლზომიერების შემოწმების

11 საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/5/1355,1389 გადაწყვეტილება ს. თამარიანი, მ. მაჩალიკაშვილი და მ. მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

შესაძლებლობა, რადგან კონტროლის ბერკეტების არარსებობა არის თავისთავადი პროვოკაცია ინდიფერენტული მიდგომისა და, შედეგად, შეცდომისთვის, ისევე როგორც თვითნებობისა თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის.“.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანებით დამტკიცდა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი. ასევე არსებობს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების კერძო ნაწილი, რომელიც არ არის საჯარო.

იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანებაში ასახულია ის ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რაც დაეხმარება პროკურორს სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

აღნიშნული ბრძანების¹² თანახმად გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ, როცა: საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი ტესტი და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – საჯარო ინტერესის ტესტი. ორივე ტესტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილება. როდესაც სახეზე არის მტკიცებულებითი ტესტი, ე.ი. საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტი პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივისთვის, შემდეგ განიხილება რამდენად არის სახეზე საჯარო ინტერესის ტესტი სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, თუ რამდენად ემსახურება დევნის დაწყება საჯარო ინტერესს.

საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მრავალი სხვადასხვა გარემოება, მათ შორის: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი

12 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების თაობაზე.

დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პირის კრიმინალური წარსული, გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლები, მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში და სხვა.¹³

აღნიშნულ ბრძანებაში წარმოდგენილია გარემოებები, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე, მათ შორის: ჩადენილი დანაშაული თუკი გავრცელებულია კონკრეტულ რეგიონში და სისტემატურ ხასიათის ატარებს, სახეზეა განსაკუთრებით საშიში დანაშაული – წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, კორუფცია, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება, ადამიანით ვაჭრობა, დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციული მოტივით, დანაშაული ჩადენილია მოწყვლადი პირის მიმართ და სხვა. რაც შეეხება გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე: თუკი სასჯელის მიზნები შესაძლოა მიღწეულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე, მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა, პირმა აუნაზღაურა დაზარალებულს დანაკარგი ან მიყენებული ზიანი (თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ ამ საფუძვლით), პირს მიუძღვის უმნიშვნელო როლი დანაშაულის ჩადენაში და სხვა.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებული კრიტერიუმები არ არის ამომწურავი ხასიათის და პრაქტიკაში თითოეული სისხლის სამართლის საქმე საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას და ანალიზს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან ზემოაღნიშნული ბრძანების დოკუმენტი მუდმივად საჭიროებს განახლებას- დახვეწას, არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

V. განრიდების ინსტიტუტი 21 წელს მიღწეულ პირებზე

2010 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის

13 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების თაობაზე.

ამოქმედებით საქართველოში შეიქმნა განრიდება-მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ნაწილს. განრიდება არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია პირს დაეხმაროს მისი ქმედებით გამოწვეული შედეგების გაცნობიერებაში და სამომავლოდ მისი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაში, ასევე ეს ხელს უწყობს პირის საზოგადოებაში ინტეგრაციას, ნასამართლობისა და იმ უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას, რაც თან სდევს სასჯელის მოხდას. აგრეთვე განრიდების ინსტიტუტი ხელს უწყობს იმას, რომ განრიდების სუბიექტს გაუჩნდეს დაზარალებულის მიმართ თანაგანცდა და წამახალისებელია დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება.

2023 წელს განრიდება გამოყენებულ იქნა 3550 სრულწლოვანი (21 წელს ზევით) პირის მიმართ, რომელთაგან 3158 პირი განრიდდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 392 პირი - მძიმე კატეგორიის დანაშაულზე. აღსანიშნავია, რომ დევნის ალტერნატიული მექანიზმი ძირითადად გამოიყენება ნაკლებად მძიმე კატეგორიის და არაძალადობრივი (ქურდობა, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში.¹⁴

სსსკ-ის 168-ე პრიმა და სეკუნდა მუხლები არეგულირებს 21 წელს მიღწეული და ზედა ასაკის მქონე პირებთან მიმართებაში განრიდების გამოყენებას, ხოლო არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე პირების მიმართ განრიდებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი,¹⁵ რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა განრიდების სუბიექტის მიმართ მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ განრიდების სუბიექტი შეასრულებს კანონით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე კონკრე-

14 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 8 იხ: <https://pog.gov.ge/uploads/6e00a257-2023-wlis-angarishi-15-maisi-2024-weli.pdf>.

15 შემდგომში ამკ.

ტულ პირობას, რომელშიც იგულისხმება: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება, დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა, მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი, საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე, ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. განრიდების სუბიექტისთვის შემოადინებული პირობების შესრულება არის ნებაყოფლობითი, თუმცა, თუკი იგი დადგენილ ვადაში არ შეასრულებს შემოადინებულ პირობას ან/და შესრულებისას დაარღვევს კანონს და ჩაიდენს ახალ განმეორებით დანაშაულს, პროკურორს გააჩნია უფლებამოსილება შეწყვიტოს განრიდების პროცესი და პირის მიმართ დაიწყოს/განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. 21 წელს მიღწეულ პირებზე განრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. განრიდება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ ორივე მხარე განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით ან/და მხოლოდ ერთი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დააბრუნოს საქმე პროკურორთან განრიდების მიზნით. 21 წელს მიღწეული და ზემოთ ასაკის მქონე პირებთან მიმართებაში სავალდებულოა ორივე მხარის შუამდგომლობა იყოს სახეზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ განრიდება არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახედ შეფარდებული აქვს პატიმრობა.

განსხვავებით 21 წელს მიუღწეველი და არასრულწლოვანი პირების მიმართ განრიდების მარეგულირებელი ნორმებისა, 21 წელს მიღწეულ პირებთან მიმართებაში სსსკ-ით არ არის რეგულირებული განრიდების

